სპეციალური გაზეთი

№36 (769)
ოთხშაბათი
23 ოქტომბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.

ანაკლიის პორტის მშენებლობა დაიწყო!

სიმსივნე თუ არ მოკვეთე - ის გავრცელდება!

ამონარიდები პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის ექსკლუზიური ინტერვიუდან

თქვენ ნახეთ, რამდენი ადგილობრივი თუ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, აქტიური არ ვყოფილვარ და არ დავდიოდი, არც მიტინგებზე გამოვდიოდი. ეს არ არის შემთხვევითი და ეს არ არის ჩემი ახირება. სიტუაცია არის ძალიან რთული. მე დღესაც მინდა სიამაყით გავიხსენო, სიყვარულით გავიხსენო ყველა ის ამომრჩეველი, ვინც მომისმინა. მახსოვს, რომ გადავიხედე, მოედანზე რა ხდებოდა 29 სექტემბერს, ის იყო გადამწყვეტი ბრძოლისთვის, დამიჯერეს და გამოვიდა, ყავარჯნებით გამოვიდა ხალხი. ორი დღით ადრე ამხელა თავყრილობა არცერთ პოლიტიკოსს არ ჰქონია არასდროს. ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი იდგა.

მე მქონდა მაშინ ძალიან სერიოზული შეხვედრები, ხელზე მექაჩებოდნენ, 49 % შენ და 51 იქით და მერე შენი იქნება ყველაფერიო; რა თქმა უნდა, ჩემს პოზიციაზე არ ვისაუბრებ.

ვაჩვენე, რომ არაფერი გამოვა, არა ნებით, ძალით გადავტეხავთ. მაშინ წავიდნენ და მათ ბელადს აუხსნეს, რომ ეგრე არ გამოგივათ და დღეს რომ ტრაბახობენ, ისინი წავიდნენ მშვიდობიანი გზით, სად წამსვლელები იყვნენ? ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი იყო, ამან მოიგო სიტუაცია. დღესაც ეს მინდა, რომ ვთხოვო ხალხს.

რატომ არ გამოვდიოდი მანამდე, განა სიტუაცია იყო გასახარელი და საამაყო წინა არჩევნებზე, ან იმის წინა არჩევნებზე კიდევ, მაგრამ არ იყო ასეთი სახიფათო, არ იყო ომი. ომმა შეცვალა ყველაფერი, ომი არ იყო; ჩვენ გვერდით ძალიან სახიფათო სიტუაციაა. ეს არის არანაკლებ მნიშვნელოვანი, ამიტომ მინდა, იგივე ხალხს ვუთხრა, ვისაც ქვეყანა უყვარს, ვინც ქვეყნის პატრიოტია, გამოდით, არ დაიზაროთ!

●

ოპოზიცია, ძირითადად, რით აპელირებს? პროგრამა არ აქვთ, მარტო ჩვენს კრიტიკაზე არიან გადასული და ცრუობენ მხოლოდ. ერთადერთი, რასაც ყველანი იმეორებენ, რაც ძირითადი მათი ლოზუნგია - ჩვენ წაგიყვანთ ევროპაში და „ქართულ ოცნებას“ მიჰყავხართ რუსეთში. ჯერ ამ ხალხს ვერაფრით ვერ გაუთვითცნობიერებია, რომ საქართველო არსებობს, რომ საქართველოა ჩვენი სამშობლო, რომ სახელმწიფოს არსი არის ის, რომ სამშობლო დაიცვას, იდენტობა და ა. შ. ჩვენ არავისთვის არ ვიღვწით, ჩვენ ვიღვწით საქართველოსთვის, არც დასავლეთისთვის და არც რუსეთისთვის, მით უმეტეს. ჩვენ ვიღვწით ჩვენი ქვეყნისთვის, ეს ვერაფრისთვის ვერ გაუთვითცნობიერებიათ.

●

ევროკავშირს რაც შეეხება, რამდენი რამ გავაკეთეთ ევროკავშირში შესასვლელად, აღარ ჩამოვთვლი. თვითონ ევროკავშირი რის კავშირია და რის საფუძველზე გახდა საინტერესო? სწორედ ქრისტიანულ ფასეულობებზე, ადამიანის ჰუმანურობაზე, თანაბარი კონკურენცია, ბიზნესის ხელშეუხებლობა, სასამართლო დამოუკიდებლობა - ისეთი მიღწევები გვაქვს ყველა მიმართულებით, მსოფლიოს ქვეყნებს ვედრებით, მსოფლიოში ან პირველი ვართ, ან სამეულში შევდივართ, ან ხუთეულში შევდივართ პროგრესით.

ევროპა ტერიტორია კი არა ევროპული ფასეულობებია, ჩვენ ვაჟას შვილიშვილები ვართ, ჩვენთვის ეს უცხო არ არის. ნახეთ ვაჟას ნაწერები და ნახეთ, ადამიანის ჰუმანურობაზე და ადამიანის უფლებებზე რამდენი უწერია. სხვათა შორის, გავიხსენებ, ერთი ადამიანის უფლებები მთავრდება იქ, სადაც ირღვევა მეორე ადამიანის უფლებები.

ევროკავშირში რით შეჰყავთ მათ და რით შეგვყავს ჩვენ - ომსაც დაიწყებდნენ და სანქციებსაც დაუწესებდნენ, აქ არის წინააღმდეგობა. „გამჭვირვალობის კანონსაც“ დააბრუნებდნენ, ლგბტ-ებსაც დააბრუნებდნენ. ეს არის სხვაობა, აი, ამით ბობოქრობენ. ქვეყანა არ უყვართ, უსამშობლოები არიან და ამით იქაჩებიან, რომ ჩვენ აი, ამას ყველაფერს გავუკეთებთ და ჩვენ შეგიყვანთ გრიალით ევროპაშიო.

●

რაც შეეხება არჩევნების შემდგომ პერიოდს. არ მინდა ამის გაუბრალოება, რომ ესენი არაფერს ცდილობენ. რაღაცებს წვალობენ, მაგრამ არავითარი რესურსი არ აქვთ. გაუბედურებულები არიან. უბედური ხალხია, ზოგადად. ხალხი, ვინც საკუთარ ქვეყანას და საკუთარ სამშობლოს ებრძვის, ამაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს. ფიზიზლად უნდა ვიყოთ. მე რატომ ვაწყნარებ ხალხს, იმიტომ, რომ კარგად მუშაობს ქართული სისტემა და სახელმწიფო სტრუქტურები მუშაობენ მომართულად და გვაქვს იმის რესურსი, რომ არ დავუშვათ, თუმცა სიფრთხილე არ უნდა დავკარგოთ.

●

არჩევნების მოგება არ არის გადამწყვეტი, იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენ გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომ ესენი ავკრძალოთ და მოვიშოროთ. „ქართულმა ოცნებამ“ საერთოდ შეაჩეროს მოძრაობა, იმდენ დეპუტატს, არც ჩვენ გვყავს პარლამენტში, ყველა შემთხვევაში ვიღებთ, ყველა რეიტინგით, არანაირი პრობლემა არ არის, მაგრამ ჩვენ გვჭირდება ასეთი ლეგიტიმაცია, რომ როგორმე მოვიშოროთ ეს ჭირი, ეს ძალა.

თუ არ მოკვეთე სიმსივნე - ის გავრცელდება. არადა, ოდესღაც დაძაბუნდება ორგანიზმი, „ქართული ოცნებაც“ ალბათ, ამოუვიდა ხალხს ყელში 12 წლის განმავლობაში, დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომ ერთი და იგივე ხელისუფლება აირჩიო, ძალიან რთულია, ჩემი გვარის გაგონება მე თვითონ მომწყინდა.

აღარ უნდათ ერთი და იგივე სახეები და ეს ხალხს შეიძლება ძალიან კარგად გაუგო. საკმარისია გარედან პატარა მიზეზი და მაშინვე სიტუაცია აფეთქდება. ძალიან საშიში ამ ხალხის პოლიტიკაში დატოვება, ეს არის ბოროტი ძალა, ეს არის ქვეყნის მტერი ძალა, პრეცედენტები უამრავია პოლიტიკაში პოლიტიკური პარტიების აკრძალვის. ასეთი კარგი საფუძველი, ჩვენ რომ გვაქვს, მხოლოდ შეიძლება ფაშისტურ გერმანიას ჰქონდა, როდესაც ნიურნბერგის პროცესი მოხდა. გახსოვთ და ჩვენც თითქმის მსგავსი დოკუმენტაცია გაგვაჩნია.

●

დავუბრუნდები ამ ჩემს მოუშუშებელ ჭრილობას, გახარიას... რა თქმა უნდა, შავით თეთრზე დავუმტკიცებ ყველაფერს, რას აკეთებდა, რისთვის აკეთებდა. „ნაციონალური მოძრაობის“ მოყვანას როგორ ეხმარებოდა და ეხმარება დღესაც და რა კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ მეორე დღესვე საქართველო ომში უნდა ჩართოს.

არავინ იცოდა, ეს ომი როდის დაიწყებოდა, რაღაც თვეებში და კვირებში ვერავინ გეტყოდათ ამას. აბა გაიხსენეთ, გახარია, პრემიერ-მინისტრი რატომ გადადგა ასე სასწრაფოდ 2021 წელს? რა თქმა უნდა, ამ მოვლენას ელოდებოდნენ სწორედ, რომ საქართველოს ჰქონოდა მზაობა ომში ჩასართავად. იცოდნენ, „ქართული ოცნება“ არ იომებდა და როგორმე „ქართული ოცნება“ უნდა ჩაეშალათ. ეს გააკეთებინეს გახარიას, შედეგი აქაც საბედნიეროდ, ვერ მიიღეს, ჩვენ მოვახერხეთ მობილიზება. მე მომიწია პოლიტიკაში დაბრუნებამ, ახალი წასული ვიყავი, ასე ახლოს არ ველოდი, თუ განვითარდებოდა. თვითონაც არ იცოდნენ, ეს როდის დაიწყებოდა და როგორ მოხდებოდა, მაგრამ, ეს რომ უნდა მომხდარიყო, რაც 2022 წლის თებერვალში დაიწყო, რა თქმა უნდა, ვინც ამას გეგმავდა, მას ეს გაცნობიერებული ჰქონდა, ზუსტი თარიღი არ იცოდა - ამისთვის ამზადებდნენ საქართველოს. ეს იყო გახარიას გადადგომის მიზეზიც, სხვა დანარჩენი მიზეზი არ ჩანს იქ, „ნაციონალური მოძრაობის“ და მელია არ დაიჭიროთ - რაღაც ზღაპრები იყო.

●

მთავარი მიზეზი ამის იყო ის, რომ ჩამოშლილიყო „ქართული ოცნება“ და მოსულიყვნენ ისეთები, ვინც საქართველოს მყისიერად ჩართავდნენ ომში. ეს მცდელობები გრძელდება დღესაც და გრძელდება დაჟინებით - აი, ეს არის ძირითადი საფრთხე, რისთვისაც საზოგადოება უნდა იყოს მზად. ამიტომაც არ გვაქვს არანაირი გადაცდომის ელემენტარული რესურსი. ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან მობილიზებული, ძალიან ფხიზლად, რომ არ მივიღოთ რაღაც უბედურება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ აღარ არის საუბარი იმაზე, რომ კარგია, ცუდია, კარგი მთავრობაა, კარგი რიტორიკა აქვს, კარგი ეკონომიკა - არა, ან ვიქნებით, ან არ ვიქნებით. ეს არის, ეს საფრთხე გველის.

ამავდროულად, იცით, რომ ახლო აღმოსავლეთშიც ძალიან დიდი დაძაბულობაა და იქაც არ არის მარტივი სიტუაცია, ისიც არ არის ჩვენგან ძალიან შორს. ეს არის ის დიდი საფრთხეები, რაც ჩვენს ირგვლივ ტრიალებს და ჩვენ გვჭირდება უაღრესად დიდი სიფხიზლე, რომ რამე გადაცდომა არ დავუშვათ, თორემ, მივიღებთ უბედურებას, რომელიც შეიძლება, ვეღარასდროს გამოვასწოროთ.

●

ჩვენ არ გვქონია ომამდე პრობლემები. ვფიქრობ და იმედი მაქვს, რომ ომი რამდენიმე თვეში, შეიძლება ამ წლის ბოლოსაც დასრულდეს. როდესაც სინგაპურში სასამართლო მოვიგეთ და ამის აღსრულებას ხელი ვეღარ შეუშალა „კრედიტ სუისმა“, მე მყისიერად, წინა კვირაში უკვე დავურეკე ამერიკის ელჩს, გვქონდა კომუნიკაცია და ვთხოვე შეხვედრა და ვთქვი, რომ ის მიზეზები, რაც იყო რეალურად, თავისით გადაწყდა, შესაბამისად, ჩემგან პრობლემა აღარ არის და მე მზად ვარ შესახვედრად. იქიდანაც რეაქცია იყო ძალიან ჯანსაღი, ამის სურვილი არსებობს და ჩვენ არჩევნების შემდგომ ვაპირებთ შეხვედრას, უკვე მოვილაპარაკეთ ამაზე. მე მაქვს იმედი იმის, რომ არა ერთი შეხვედრით და არა მყისიერად, მაგრამ დროში ჩვენ მცდელობას არ დავაკლებთ, მაგრამ ორმხრივი უნდა იყოს სურვილი. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი უნდა განვიხილოთ დინამიკაში. არჩევნები ამერიკაშიც დასასრულებელია, ევროპაშიც ახლა დასრულდა და ლაგდება, ბოლომდე არ დალაგებულა კიდევ ბიუროკრატია. იმედია, თანხვედრაში იქნება ომის დასრულება და ომის დასრულების შემდგომ სიტუაცია მგონი დაუბრუნდება.

●

რა თქმა უნდა, პრობლემები სულ იყო და პოლიტიკაში მოსვლის დღიდან სულ იყო ინტერესებში განსხვავება, არა ასპროცენტიანი თანხვედრა, მაგრამ ასეთი მსგავსი არ ყოფილა და საზოგადოებასაც არ ახსოვს, ეს დაძაბულობა გარეთ გამოვიდა და ყველა ხედავს ამას. ამერიკა სულ იყო პრიორიტეტული ჩვენთვის. ამას თუნდაც ჩვენი გუნდის ყოფილი წევრები, რომლებიც დღეს ოპოზიციაში არიან, ისინი კარგად გაიხსენებენ ჩემს დამოკიდებულებას. მე მქონდა ბიზნესთან შეხვედრა და მათ ეგონათ, რომ მე საოცრად ხისტი დამოკიდებულებები მაქვს, არა, ღმერთმა დამიფაროს. ჩვენ, ქართველებს, კარგი გენეტიკური გამოცდილება გვაქვს, ძალიან რთულ რეგიონში ვცხოვრობდით და ვიცით, ძალას ანგარიში როგორ უნდა გავუწიოთ, მაგრამ ისე არა, რომ ქვეყანა დავანგრიოთ და დავშალოთ. ამ ფონზე ასე არ გამოვა. მცდელობები ჩვენ გვქონდა და მე ამით გამოვირჩეოდი, კიდევ გავიმეორებ, გუნდის ყოფილ წევრებს ეს შეუძლიათ კარგად გადაამოწმონ და გაიხსენონ, და იმედი მაქვს და დარწმუნებულიც ვარ, რომ ომის დასრულების პარალელურად და პროცესში ჩვენ აუცილებლად მოვახერხებთ, უაღრესად რთული და არასასურველი დამოკიდებულებები შევცვალოთ უფრო პოზიტიურად. მაგრამ ვიმეორებ, რომ ეიფორია ნუ გვექნება, ამას სჭირდება ორმხრივი დამოკიდებულება, მარტო საქართველო ამას ვერ იზამს და ამავდროულად, ჩვენი ოცნება და სურვილი რეალობასთან თანხვედრაში უნდა მოვიდეს და დასრულდეს ეს ომი, რისი იმედიც ძალიან დიდია, რომ წლის ბოლომდე შეიძლება დასრულდეს, ან გაზაფხულზე დასრულდეს, აი, ასეთი იმედები არსებობს და ჩვენც მცდელობას არ დავაკლებთ, რომ როგორმე დავლაგდეთ.

USAმუშაბლოები

ფურუნკული დიდი ხანია გასკდა, ახლა მხოლოდ მისი ჩირქიანი შიგთავსი მოედინება უსამშობლოების ქმედებების სახით.

ტელეეკრანიდან ერთმა USAმშობლომ იმთავითვე განმარტა, რომ: „მიწა არ არის სამშობლო! სამშობლო — ეს არის ემოციური განმარტება... მე, მაგალითად, არც ვიცი, რა არის სამშობლო...“

იმ ახალგაზრდა ქალზე სულაც არ გავბრაზდი მაშინ, მხოლოდ მისი გამზრდელი, იმდროინდელი განათლების მინისტრი და საქართველოს ის მთავრობა და ის აღებული კურსი მოვიკითხე, რომელიც უსამშობლოებად აყალიბებს საკუთარ მოქალაქეებს.

„იავნანას“ რომ „გოიმობის“ გამოვლინებად ჩაუდებ თავში ბავშვს, დაბადების დღეს „ჰეფი-ჯანდაბით“ მიულოცავ, „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედას“ როგორღა გაიგებს?

სიტყვა „სამშობლო“ სიტყვა „ქვეყნით“ ჩაანაცვლეს და ისე გაუხედნეს ხალხს ყური, რომ, როცა ხელისუფლების წარმომადგენელი ამბობს, „მე ვამაყობ ჩემი ქვეყნით“, მგონი, აღარავის ეხამუშება რამდენიმე ქართველისა და ჩემ გარდა. რა ქვეყნით ამაყობ, შვილო, სამშობლო თუ აღარ გაქვს...

ის ახალგაზრდა ქალი მართალს ამბობდა ერთის მხრივ, — სამშობლოს სიყვარულს ვის მოსთხოვ, თუ შენც რაღაც მიწაზე ხარ ორ ზღვას შუა და არა — სამშობლოში... ამიტომ არის, რომ სამშობლო-საქართველოს ბეჭი და ხერხემლის ნაწილი ოკუპირებულად კი არა, არამედ ქვების გროვად და რაღაც სანაპირო ზოლად აქვთ აღქმული — ქვიშიანია თუ ქვიანი, ამდენი აღარ იციან და არც აინტერესებთ.

ამიტომ არის, რომ უსამშობლოებს არც ერთი ბომბის ჩამოყარდნა ანაღვლებთ საქართველოში და არც ბომბების წვიმა — მერე რა, რაღაც მიწა დაიბომბება, დახოცილი ხალხის რაოდენობა კი სტატისტიკაში ჩაიწერება.

ორი ტუტუცი მოწიფული ადამიანი, ერთ დროს მაღალი თანამდებობის პირებად საკარძლებში წამოპლაკულები, ამიტომაც გამოვიდნენ უსამშობლოების კრებსით სახედ და გადაღებეს წარწერა „არა ომს!“ კი, ომი უნდათ, რადგან დასაკარგი არაფერი აქვთ, სადაც კარგად იქნებიან და უზრუნველად იცხოვრებენ, ყველგან მიწა ექნებათ ფეხქვეშ და თავისუფალი საქართველო ერქმევა თუ მხოლოდ კოლონია, ოლქი, ვილაიეთი თუ საამირო, რა მნიშვნელობა აქვს მათთვის.

ამ USAმშობლოებს რომ ჰკითხო, რუსებს ჟანგიანი ტანკებიც აღარ ჰყავთ, ჩიპებს რაკეტებისთვის სარეცხის მანქანებიდან ხსნიან და სულაც იშლება რუსეთი, დრო უნდა იხელთოს საქართველომ და შეუტიოს, ლოზუნგით „დიდება ომს!“ შევარდეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ამ დროს კი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან, ტიმ ვალცი აცხადებს, რომ ქარიშხალ აშშ-ის სანაპიროზე ქარიშხალ „მილტონის“ გამოწვევა და მისი დამანგრეველი ზემოქმედება რუსების მიერ იყო პროვოცირებული: „მილტონი ხელოვნურად შექმნეს რუსმა მეცნიერებმა, მათ როგორღაც მოახერხეს დედამიწის გრავიტაციული ველის შეცვლა იმ მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც, ჩვენ ვიცით, რომ მათ აქვთ.“ ამ რუსეთთან ომი რომ უნდათ, საქართველოში თუ მის ფარგლებსაგარეთ, ზოგადად, იმათი ტვინის ხვეულების შემადგენლობა მაინტერესებს... სულ რომ ბუშმენების ტომი იყოს, მშვიდობას ომი რანაირად უნდა გერჩივნოს თუ ტვინში არ გაქვს შიზოფრენიაში გადასული რაღაც სამკურნალო დაავადება სახელად „ომი“...

ამერიკელი სკოტ რიტერი (წარსულში დაზვერვის მაღალი რანგის ოფიცერი და გაერო-ს ექსპერტი), ნამდვილი ქართველების სიძე რომ გვარით ქართველი USAმშობლოების თავზე ტრაქტორის გალესილი მუხლუხოებივით გადაივლის და ქართული მენტალობით აყვირდება, რაგინდ უსამშობლოები იყვნენ, ცოტა მაინც ხომ უნდა შერცხვეთ, მაგრამ „სირცხვილიც“ ხომ ემოციური განმარტებაა, რა იციან, რა არის სირცხვილის გრძნობა...

სკოტ რიტერი: „ნება მომეცით, შევახსენო ქართველებს, რა მოხდება, რომ იკლავენ თავს მეორე ფრონტის გახსნის გამო — სამუდამოდ დაკარგავ აფხაზეთს!

აი, შენ, ის სამუდამოდ დაკარგე, მაგრამ ეს ჩემთვის პირადულია, რადგან იქ დაიბადა და იქ გაიზარდა ჩემი მეუღლე, იქ მისი ოჯახი ცხოვრობდა... მათ დაკარგეს სახლი, დაკარგეს ყველაფერი და ის ისურვებდა, სიკვდილამდე შეძლოს აფხაზეთში დაბრუნება, სამშობლოს მონახულება — იქნებ, კიდევ ერთხელ დასახლდეს იქ, ან გაატაროს შვებულება და მას აქვს უფლება, რომ ეს სურდეს, რადგან ეს მისი სამშობლოა. ის არ არის ტურისტი, ის იქიდან გამოაგდეს... იქ დაიბადა, ქართველია... ის აფხაზეთიდან არის, სოხუმი კი მისი მშობლიური ქალაქია და ის ვერ წავა ახლა იქ იმ სულელი ადამიანების გამო, რომლებიც გამოსული არიან მოედანზე და ამბობენ სისულელეებს რუსეთის წინააღმდეგ ომში წასვლის შესახებ, რომელსაც საქართველო წააგებს... და, როცა ამას გააკეთებს, სამუდამოდ დაკარგავს აფხაზეთს, მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ ეს აქ დამთავრდება, მაშინ არ გინახავთ, რა გააკეთა რუსეთმა უკრაინაში...

როგორ ფიქრობთ, რა დაემართება ფოთს? მე ვიცი ფოთის შესახებ და ეს ყველაფერია, რაც საქართველოს შესახებ გვაინტერესებს, რადგან ფოთი მნიშვნელოვანი საზღვაო პორტია სადაც აშშ-ის რამდენიმე საზღვაო ხომალდია, რომელიც ჩვენ მოვეცით საქართველოს საზღვაო ფლოტს. რუსეთი აიღებს ფოთს და მასთან ერთად გურიას.

გურია არის პროვინცია იმ საკავშირო ზონაში, რომელიც აფხაზეთიდან ეშვება აჭარამდე — ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ საქართველო დაკარგავს მთელ შავიზღვისპირეთს, რადგან აჭარა არის მუსლიმანური და „ყარსის ხელშეკრულების“ მე-6 მუხლით, ჯერ კიდევ 1925 წელს, როდესაც თურქეთმა და საბჭოთა კავშირმა შეწყვიტეს ბრძოლა აჭარისთვის, თურქეთი გახდა აჭარის ავტონომიის გარანტი და თუ ქართველები თავს იკლავენ „მეორე ფრონტისთვის“, თურქეთი შემოვა და წაიღებს მას.

თუ გადახედავთ თურქულ რუკებს, რომლებიც მათ ახლახან გამოაქვეყნეს, გამოიცანით, რა ფერითაა აღნიშნული აჭარა — იგივე ფერით, როგორითაც თურქეთი. ასე რომ, თქვენ დაკარგავთ აჭარას! თქვენ დაკარგავთ გურიას! თქვენ დაკარგავთ მთელ შავ ზღვას!.. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის, რადგან რუსები შემოვლენ და აიღებენ გორს, აიღებენ ქუთაისს, შექმნიან გარკვეულ კავშირს და საქართველო შეწყვეტს არსებობას!

ასე რომ, თუ გინდათ რუსეთთან ომი, გახსენით „მეორე ფრონტი“, თუმცა, ამ პროამერიკელ ჭინკებს, ყველას პასპორტები აქვთ და გაიქცევიან ქვეყნიდან ისე, როგორც მშიშრები აკეთებენ, მაგრამ არიან ბიჭები, ჩვეულებრივი ქართველები — მათ გამოიძახებენ და გაგზავნიან სასიკვდილოდ იდიოტების სისულელეების გამო, მათ გამო, ვინც ამერიკულ დოლარს იღებს და არ უნდა ამის აღიარება.



რარტომ უარჰყოფენ ამ („გამჭვირვალობის კანონს“) კანონს? იმიტომ, რომ არ სურთ აღიარონ: ჩვენ გავიყიდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებზე; მათ არ სურთ აღიარონ, რომ არ აინტერესებთ საქართველო!

ამჟამად ჩვენ ფაქტობრივად პირდაპირ ვადევნებთ თვალს სახელმწიფო გადატრიალების პროცესს, რომლის განხორციელებასაც CIA ცდილობს.“

ამ ამერიკელ სიძეზე მოკლედ და კონკრეტულად ვერაფერს იტყვი. ახლა ის არის საინტერესო, რომ ფურუნკულიდან გადმომდინარე USAმშობლოებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სჭირდებათ, რათა მისი დახმარებით შექნილი ცრუ ამბები შეთხზან და კონკრეტული პირების გამოსახულებებს ხმა დაადონ, ან მხოლოდ აუდიოჩანაწერი იყოს კონკრეტული პირების ხმების დადებით. შედეგი ისე აქვთ წარმოდგენილი, რომ ერთმანეთს წაეკიდებიან ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუტები იქნება თუ უწყებები, ეკლესია და ხალხი. მართალია, გამოუაშკარავდათ ეს მავნებლობაც, მაგრამ მაინც.

გამეცინაღა!

ადამიანური ინტელექტი გონების, გაგებისა და შემეცნების ერთობლიობაა, პიროვნების თვისება, რომელიც აზროვნების უნარის, აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს; ენის გაგების უნარია, რომ შემდგომ, ვერბალური აღწერა მოქმედებაში გადაიტანოს და იმოქმედოს საკუთარი კულტურისა და წესების შესაბამისად. აბა, რაში ვლინდება მათი ინტელექტი? — თუ რამეში შენიშნავთ, მამცნეთ, არ დამამადლოთ!

ხელოვნური ინტელექტი რაც არის, თვით პირველივე სიტყვა ამბობს, რომ ეს კომპიუტერული მეცნიერების ერთ-ერთი სფეროა, რომელიც მიმართულია ადამიანის შემეცნების პროცესების მოდელირებისკენ.

წყლულიდან მომდინარე რა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ჩირქი უნდა იყოს ადამიანთა რაღაც ჯგუფი, ისე გაუჭირდეს, რომ ადამიანური რესურსები აღარ შველოდეს, — ფინანსები, პროპაგანდისტული მანქანები, მთელი კრებსითი დასავლეთის ჩართვაც ვეღარაფერს შველოდეს და უსულო საგნების, რობოტების ინტელექტის იმედიღა ჰქონდეს და ისიც რო ჩაუფლავდება...

მონათმფლობელურ ქვეყნებში არსებობდა წესი, რომ მონები გაუნათლებლები უნდა დარჩენილიყვნენ. მონათმფლობელი, რომლებიც თუნდაც ერთ მონას მაინც წერა-კითხვას შეასწავლიდა, სასტიკად ისჯებოდა. მიზეზი მარტივია, მონის მორჩილების შესანარჩულებლად საჭირო იყო მისი მორალური და გონებრივი ხედვის დახშობა — წერა-კითხვა და კრიტიკული აზროვნება საშიშია, მხოლოდ ისეთი შაბლონი უნდა იდოს მონის თავში, როგორიც მისი მფლობელისთვის არის მისაღები.

სწორედ ამიტომ დაიწყეს საქართველოზე შეტევა განათლების სისტემის ნგრევა და „ბოლონიის პროცესზე“ მიერთება — საქართველო ბერგენის სამიტზე, 2005 წელს შეუერთდა ბოლონიის პროცესს.

მათი შთამომავლები, ვინც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის თითქმის მთელი ადგილობრივი მოსახლეობა ამოხოცა, დღეს „ზრუნავენ“ უკრაინაზე, სირიაზე, ერაყზე, და ა. შ. სადაც გაუვათ, მათ შორის, საქართველოზეც.

არა — ომს! კმარა ჩემს სამშობლოში USAმშობლოების ბოგინი! ჩემი ხმა მშვიდობას და ღირსებას!

მაია ჭელიძე

თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი ყველანაირ შემოტევას გაუძლებს!

გვესაუბრება პოლიტოლოგი გია აბაშიძე

- ბატონო გია, რამდენიმე დღეც და, შეიძლება ითქვას, ჩვენი ქვეყნის ბედს ხალხი გადაწყვეტს. როგორ შეაფასებდით წინასაარჩევნო გარემოს და რა მოლოდინი გაქვთ, როგორ განვითარდება მოვლენები?

- როგორც მოსალოდნელი იყო, წინასაარჩევნო გარემო რადიკალების მხრიდან არის ტოქსიკური, მავნებლური, დეზინფორმაციებითა და მანიპულაციებით გაჯერებული. ბოლო 12 წელიწადია, ამას ვხედავთ, გინდ საპარლამენტო და გინდ ადგილობრივი არჩევნების წინ. შესაბამისად, სიახლე არ არის, რომ უსამშობლოთა წიაღიდან მოდის უსამშობლო გზავნილები და მოწოდებები დასავლეთისადმი მონურ მორჩილებაზე. თუმცა, იმდენად გაცვდა ნაცოპოზიციის ეს მეთოდი, რომ სხვა წინა არჩევნებისგან განსხვავებით, გარემო შედარებით მშვიდია. ამიტომ არის მოლოდინი, რომ გარდაუვალი მარცხის შემდეგ, თავიანთი სცენარის პირველი ეპიზოდით, რაღაცას იზეიმებენ, რომ ვითომ გაამხნევონ თავიანთი მიმდევრები. შემდეგ უკვე დაიწყება ჩვეული გაცვეთილი, ჩამოძონძილი სცენარის მეორე ნაწილი - გაპროტესტება, ბოიკოტი და დესტრუქციული ქმედებები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ასევე 2003 წლის ე. წ. ვარდების რევოლუციამდელი პერიოდისგან განსხვავებით, წლეულს განსაკუთრებით შეინიშნება თავხედური, უხეში ჩარევა დასავლელი აქტორებისგან.

აგენტოკრატიამ, იმავე გლობალური ომის პარტიამ, რომელიც გავლენას ახდენს როგორც ვაშინგტონის, ასევე ევროპის პოლიტიკურ წრეებზე, - ნახა რა, რომ ბოლო 12 წელია (განსაკუთრებით ბოლო წლებზე გავამახვილებდი ყურადღებას), საქართველოს ხელისუფლება მას აღარ ემორჩილება, - ნებისმიერ ფასად ცდილობს, მხარი თავიანთ ნაცნობ ვასალებს, კოლექტიურ ნაცმოძრაობას და მის სატელიტებს, ასევე უსირცხვილო სალომე ზურაბიშვილს, უსინდისო არასამთავრობო ორგანიზაციებს და ყველაფერზე წამსვლელ ნაცმედიას დაუჭიროს.

ამჯერად, ყველა წინა შემთხვევისგან განსხვავებთ, საერთაშორისო ორგანიზაციები ყველანაირად ცდილობენ, უხეში პირდაპირი დარტყმები მიაყენონ „ქართულ ოცნებას“. კიდევ უფრო შორს წავიდნენ ეს სამარცხვინო პოლიტიკური აქტორები დასავლეთიდან და უკვე პირდაპირ, როგორც გერმანიის ელჩი, ასევე ევროკავშირის ელჩი, გვეუბნება, რომ თურმე ხმა უნდა მივცეთ „პროევროპულ პარტიას“, რომელიც მათი აზრით, არის კოლექტიური ნაცმოძრაობა.

სად გაგონილა, რომ პოლონეთის ელჩმა, მაგალითად, ბერლინში მოუწოდოს გერმანელებს, ვის მისცენ ხმა, ან გერმანიის ელჩმა ვარშავაში მოუწოდოს ამომრჩეველს, ვინ აირჩიოს თავის ქვეყანაში!

- საინტერესოა, ასეთი გიგანტ ქვეყნებს, რომლებსაც თავადაც თავზესაყრელი პრობლემები აქვთ, როგორ იცლიან ამ პატარა საქართველოსთვის?

- სუპერ პარადოქსი სწორედ ეს არის, რომ ამ გლობალური ომების ფონზე, ცენტრალურ ევროპაში მიმდინარე უკრაინის ომის ფონზე, ახლო აღმოსავლეთში სისხლისღვრის თუ სხვადასხვა სახელმწიფოს გაძლიერების ფონზე, აგენტოკრატია იცლის საქართველოსთვის, რომ ჭკუა დაარიგოს

თავისუფალ ერს, თუ ვის მისცეს ხმა! აქ, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ჩვენი გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო არის ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა ფართო რეგიონში. ამიტომ, როგორც საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა სხვადასხვა იმპერია ამ ჩვენი დალოცვილი მიწა-წყლისთვის, იგივე გრძელდება, ოღონდ მათ ახლა სხვა სახელები ჰქვიათ. იყო ხელმწიფე, ვეზირები, შიკრიკები, ახლა კი არის რეზოლუციები, პარლამენტები, კონგრესები და ა. შ. არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, სახელწოდებები შეიცვალა, თუმცა, არც თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი შეცვლილა, რომელიც ყველანაირ შემოტევას გაუძლებს, როდესაც არის ერთობა!

სამწუხაროდ, მოღალატეები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან, მაგრამ თუ ადრე მათ შესახებ მხოლოდ გაგონილი და მოსმენილი ჰქონდათ, დღეს უკვე მათ პირდაპირ ეთერში, რეალურად ხედავს ქართველი საზოგადოება. პირდაპირ ეთერში ვხედავთ მოღალატე სალომე ზურაბიშვილს, მოღალატე, უსამშობლო ნაცრეჟიმის წარმომადგენლებს და ა. შ. მაგრამ მოღალატეები წარმოადგენენ უმცირესობას.

როდესაც ეს ბოროტი ძალა დომინირებს ოპოზიციურ ველზე, არა აქვთ გასაქანი სხვა მცირე კონსტრუქციულ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც ჟანგბადივით აუცილებელია საქართველოსთვის. „ქართული ოცნებისთვის“ საჭიროა, რომ ჰყავდეს ღირსეული, ძლიერი და შინაარსიანი კონსტრუქციული ოპონენტი, მაგრამ არ არის ეს ასე. ამითაც აიხსნება ერთ-ერთი დანაპირები ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა საჭიროა „ნაცმოძრაობის“ გასასამართლებლად სხვადასხვა დანაშაულების, მათ შორის საქართველოს მიწა-წყლის რუსეთისთვის ჩაბარების, მოსახლეობის დატერორების გამო... როგორც კი „ნაცმოძრაობა“ აიკრძალება, როგორც პოლიტიკური სუბიექტი და წნეხი მოშორდება ოპოზიციურ გარემოს, მერწმუნეთ, ძალიან მალე გაძლიერდებიან და გააქტიურდებიან ნამდვილი მამულიშვილები, ნამდვილი პატრიოტები და სამშობლოზე ნამდვილად შეყვარებული ადამიანები. ეს უკვე იქნება დემოკრატიის იდეალური ვარიანტი.

- მოისმენდით, ალბათ, რომ გიორგი გახარია „ერთ-ერთ საუკეთესო და მუშა ვარიანტად“ პრემიერ-მინისტრის პოსტზე სალომე ზურაბიშვილის დასახელებას მიიჩნევს...

- როდესაც ამ სასაცილო ოპოპერსონაჟების დაპირებები, მუქარები და პროგნოზები მესმის, ყოველთვის ვამბობ, რომ ბავშვები უფრო სერიოზულად ერთობიან სათამაშო მოედანზე, ვიდრე ნაცოპოზიციონერთა „პოლიტიკური აქტივობაა“! შევხედოთ რეიტინგულად, - რას წარმოადგენს სალომე ზურაბიშვილი, რას წარმოადგენს გიორგი გახარია, ან პრემიერობაზე მეოცნებე გიორგი-ჭიჭე ვაშაძე?! ეს უკანასკნელი, გიორგი-ჭიჭე ვაშაძე ხომ საერთოდ ტრაგიკომიკური ფიგურაა, მაგრამ მისდა საქებრად უნდა ითქვას, რომ მან ნამდვილად აჯობა, მაგალითად, ლევან ხაბეიშვილსა და შალვა ნათელაშვილს ჯამბაზობაში! ახალგაზრდაა მაინც, ენერგიული, კრეატიული და შალვასაც კი გადაასწრო! ამიტომ ამ გასაცოდავებულების პოლიტიკური პროგნოზები არაფერს ნიშნავს!

ორი წლის წინათ, კელი დეგნანისთვის საბედისწერო დღის შემდეგ, მარტში, როდესაც ის შეხვდა ბიძინა ივანიშვილს და სამი საათის განმავლობაში უმტკიცებდა, რომ მეორე ფრონტი უნდა გაეხსნა საქართველოში, მმართველმა გუნდმა გადაწყვიტა, რომ კმარა ჩარევა სუვერენული საქართველოს შიდა საქმეებში! - ჩვენ მოვძლიერდით. ხალხის ერთობით და ფასეულობებზე ორიენტირებით, კიდევ უფრო გავაღრმავებთ ქვეყნის სუვერენულ პოლიტიკასა და გავაძლიერებთ ეკონომიკას, მტერს მოვიგერიებთ და დავიცავთ საქართველოს! შესაბამისად, დაპირისპირება ლეგიტიმური ქართული ხელისუფლების წინააღმდეგ, ზუსტად რომ აქედან იწყება!

თუ მანამდე რუსულ პროპაგანდას ეძახდნენ იმას, როცა ვამბობდით, რომ ევროინტეგრაცია ლგბტ უფლებების განმტიცებაზეა ორიენტირებული, - მართალი აღმოჩნდა. ანუ, ახლა უკვე ევროკავშირიდან, სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებიდან და მათ შორის, ბუნდესტაგიდან გვესმის, რომ თურმე ოჯახური ფასეულობების დაცვა ყოფილა ე. წ. ანტილგბტ კანონი! ეს არის ტოტალური სიცრუე და ამ ფასეულობებზე დაყრდნობით ნამდვილად არ შეუქმნიათ ევროკავშირი მის დამფუძნებელ მამებს, ათწლეულების წინათ. ეს არის ლიბერალური ფაშიზმის ახალი გამოვლინება, რომ ე. წ. გენდერული პოლიტიკა, უმცირესობების პოლიტიკა, დომინირებდეს საზოგადოების უმრავლესობაზე!

აბა, ახლა შევხედოთ, რა მოხდა 2016 წელს დიდ ბრიტანეთში. რუსული გავლენები იყო, თუ რატომ გავიდა დიდი ბრიტანეთი, ევროპის ეს უზარმაზარი ქვეყანა ევროკავშირის შემადგენლობიდან?! - ევროპელი ჩინოსნების მხრიდან გადაჭარბებული დიქტატის გამო ბრიტანელებმა გადაწყვიტეს, დაეცვათ თავიანთი ეროვნული ინტერესები. ევროკავშირმა შემდეგ ცოტა შეცვალა თავისი პოლიტიკა, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რა ხდებოდა წელს, თუნდაც ევროპარლამენტის არჩევნებამდე - მასობრივი პროტესტი იყო ევროპაში ფერმერების მხრიდან, რადგან ყველა ფერმერს, ყველა სახელმწიფოს, პოლონეთი იქნება ეს, აღმოსავლეთ ევროპა თუ ესპანეთი, - აქვს საკუთარი ინტერესები, თავის ქვეყანას შესძინოს დოვლათი და არ დაემორჩილოს ბრიუსელის მავნებლურ კანონებს! მათ საქართველო დღემდე ეგონათ რაღაცა პატარა, დაბალი ღობე, რადგან აქ, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, ძალიან ადვილად ატარებდნენ ნებისმიერ თავიანთ ახირებას და მავნებლურ პოლიტიკას. ბოლო 2-3 წელიწადში კი დასავლეთი ხედავს, რომ უკვე საქართველო ნჯო-ჯორჯია აღარ არის, სადაც ფულის სანაცვლოდ მათ დაკრულზე იცეკვებენ და, ჩემი აზრით, ეს არის საბაბი იმისა, რომ ასე გაცხარდნენ. მაგალითად, **უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ** მიღებული კანონისა და ოჯახური ღირებულებების შესახებ მიღებული კანონის გამო!

- გრიგორი კარასინი პაველ ჰერჩინსკის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ქართული სიამაყისთვის მსგავსი მითითებები სერიოზულ გამოცდას წარმოადგენს. ამით კარასინი გვეუბნება, მეგობრად გვიგულეთო, თუ რას ნიშნავს მისი მხრიდან ეს კომენტარი?

- როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს უტევენ დიდი იმპერიები, არ აქვს მნიშვნელობა, ეს იმპერია ჩრდილოეთიდან არის, თუ დასავლეთიდან. დიდი იმპერიები ჩვენი მეგობრები ვერ იქნებიან, რადგან ყველას თავისი ინტერესები აქვს. ჩვენთვის მთავარია, დაბალანსებული პოლიტიკა ვაწარმოოთ ყველასთან და უგუნური ქმედებებით გოჯი მიწა-წყალი აღარ დავკარგოთ. ამიტომაც არის საჭირო დაბალანსებული პოლიტიკა ოკუპანტ რუსეთთან, თუმცა ჩვენთვის უწინარესი და უზენაესია საქართველოს ეროვნული ინტერესები. თუ კარასინი ამბობს, რომ ძაღლს აქვს ოთხი ფეხი და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ამბობს, რომ კატას აქვს ოთხი ფეხი - ძაღლი და კატა არ არის ერთი და იგივე. შეიძლება რუსის ინტერესები ანტიდასავლურია, მაგრამ ჩვენი ინტერესები არ არის ანტიდასავლური. თუმცა, როდესაც პაველ ჰერჩინსკი, ეს გამოცდილი ევროპელი დიპლომატი, უკადრებელს კადრულობს და ჩვენს ამომრჩეველს მიუთითებს, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ არჩევნებზე, ეს ჩვენი თავისუფალების მოყვარე ერის შეურაცხყოფაა. რაც მეტად დაამუნათებენ საქართველოს ხალხს და მის მიერ არჩეულ ლეგიტიმურ ხელისუფლებას, მით უფრო მეტად კონსოლიდირებული გახდება „ქართული ოცნების“ ელექტორატი.

20 ოქტომბრის ე. წ. ევრომარშის ორგანიზატორთა სიჭრელე იმის დასტურია, რომ „ევროინტეგრაცია-ლგბტ-პროპაგანდას“ საქართველოში დაეთანხმნენ “ნაცბაბლი” და მათი დასავლელი პატრონები. ღონისძიებას შეუერთდა უსამშობლო ფსევდოპრეზიდენტი ზურაბიშვილი და თბილისის ცენტრში პანოპტიკუმის დიდი ექსპოზიცია დაიგეგმა. არჩევნების წინ, პოლიტტექნოლოგიურად, საინტერესოა

8 ბ.

დასავლეთი ოპოზიციას ცვილის ფიგურებივით ათამაშებს

გვესაუბრება „ხალხის ძალის“ წევრი, ექსპერტი, საჯარო მმართველობის დოქტორი თამთა მეგრელიშვილი

— ქალბატონო თამთა, საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შედის. „ქართული ოცნება“ რეგიონებში ამომრჩეველს ხვდება, კოლექტიური ნაცმოძრაობა კი კამპანიას უცხოეთში აწარმოებს. როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო პროცესს?

— „ქართული ოცნება“ მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე პოლიტიკური პარტიაა, რომლის პოლიტიკა ეროვნულ ღირსებებზე გადის და მისი მოქმედებები ოპოზიციური სპექტრის ქმედებებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე 2012 წლიდან დღემდე. „ქართულმა ოცნებამ“ მისი მმართველობის ამ უწყვეტ პერიოდში მშვიდობის შენარჩუნება მოახერხა და ყველა მიმართულებით, მათ შორის, ევროინტეგრაციის კუთხით, ხელშესახები შედეგები დადო.

წინასაარჩევნო პროცესი ერთგვარი საზომია იმისა, თუ ვინ დგას ქვეყნის განვითარების სადარაჯოზე და ვინ — კოლექტიური დასავლეთის მხარეს, ერთი მთავარი მიზნით — ეს არჩევნები დესტრუქციისთვის იქნას გამოყენებული.

— დასავლეთი ქვეყნის ხელისუფლებაზე წინასაარჩევნოდ უპრეცედენტო ზეწოლას, წნეხს ახორციელებს, რასაც დემოკრატიის სახელით ფუთავს. ასევე, რას ემსახურება არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ულტიმატუმი ქართველი ხალხის მიმართ, სწორი არჩევანის გაკეთების თაობაზე?

— წინასაარჩევნოდ მმართველ რგოლზე უპრეცედენტო პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდება — კოლექტიური დასავლეთი თითს გვიქნევს და დიდი ძმა მზად არის პოლიტიკური ურჩობისთვის ყური აგვიწიოს და დაგვსაჯოს. იმისთვის ვისჯებით, რომ გვაქვს ეროვნული ამბიცია, რომ ევროპულ ოჯახში ჩვენი კულტურული ღირებულებებით, მისწრაფებებით გავწევრიანდეთ. ასევე გვაქვს პოლიტიკური მიზანი არ ჩავერთოთ ომში და რეგიონში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე პოლიტიკურად ტურბულენტური ზონა ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვით გავიაროთ.

დემოკრატიის სახით უკანონობა გვებრძვის. ევროპამ და ამერიკამ საკუთარი თავი დაკარგეს და მორალს ჩვენ გვიკითხავენ. ის მეტად უხერხულ პოლიტიკურ მდგომარეობაშია, მაგრამ დიდი ძმის სტატუსს ინარჩუნებს და თითის ქნევით გვესაუბრება. ამ მახინჯი პოზიციით გაგულისებული და წახალისებული ოპოზიციური სპექტრი კი ღიად მიდის ღალატზე და ფულს რომელსაც კოლექტიური დასავლეთიდან იღებს, საკუთარ ქვეყანაში დესტრუქციისთვის იყენებს. ღიად ხდება საზოგადოების პოლიტიკური დაშანტაჟება და აზრის ფორმირება, თითქოს, მმართველი ძალა ქვეყნის ინტერესებს არ ემსახურება და ერთადერთი სწორი არჩევანი ოპოზიციის მხარდაჭერაა.

არჩევანი მარტივია — ომი თუ მშვიდობა, ეროვნული ამბიციით ევროინტეგრაცია თუ ვასალური მორჩილება, ტერიტორიული მთლიანობის სამშვიდობო პოლიტიკით აღდგენა თუ დაპირისპირება და სისხლისღვრა. ყველაფერი ხელის გულზე დევს და დიდი პოლიტიკური წნეხის პირობებში გაწრთობილი ამომრჩეველი 26 ოქტომბერს მაღალი პოლიტიკური კულტურით სწორ არჩევანს გააკეთებს. კერძოდ, ის პოლიტიკურ „კი“-ს ეტყვის მისთვის სასურველ პოლიტიკურ ძალას და დესტრუქციაზე ორიენტირებულ ძალებს პოლიტიკურ სანაგვეზე მოისვრის, რისიც მე მტკიცედ მჯერა.

— როგორ ფიქრობთ, არჩევნების შედეგები რა გავლენას მოახდენს დასავლეთის აღქმებზე?

— 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები დესტრუქციულად მოქმედი აქტორებისთვის პოლიტიკური ვერდიქტი უნდა იყოს. „ქუდზე კაცი“ უნდა გავიდეთ, რათა ერთიანობით ძალების მობილიზება მოვახერხოთ, რითაც გარე და შიდა აქტორებს ვეტყვით, რომ ეს სუვერენული სახელმწიფოა და აქ გადაწყვეტილებებს ქართველი ხალხი იღებს. არჩევნების საბოლოო შედეგი კოლექტიური დასავლეთისთვის პოლიტიკური მტკიცებულება იქნება, რომ ქართველ ხალხს მაღალი პოლიტიკური შეგნებით სურს მშვიდობა, საქართველოს გაერთიანება. დრო მოვიდა ქვეყნის მოღალატეები გასამართლდნენ. ესეც ხალხის სურვილია. მტკიცე პოზიციას რასაც ამომრჩეველი 26 ოქტომბერს დააფიქსირებს, ქართველი ხალხის ხელწერილის ეფექტი ექნება — ვირჩევთ განვითარებას და ამ განვითარების ეტაპზე სუვერენიტეტის განცდას არ ვკარგავთ.

— როცა დასავლეთსა და საქართველოს შორის ასეთი მწვავე დაპირისპირებაა, როგორ გაგრძელდება მასთან ურთიერთობა არჩევნების მერე, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში?

— კოლექტიური დასავლეთი პოლიტიკურ და კულტურულ ომს გვიცხადებს — მოითხოვს გავაუქმოთ „გამჭვირვალობის კანონი“. ასევე მოითხოვს უზნეობა ზნეობრივად დავაკანონოდ და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონი გავაუქმოთ. ფაქტობრივად, მათი განცხადებებიდან იკითხება, რომ ისინი არ აპირებენ ჩვენი არჩევნები ლეგიტიმურად ცნონ. ანუ, გარე და შიდა აქტორები ხელისუფლებასთან და ქართველ ხალხთან ურთიერთობაში ვა-ბანკზე მიდიან, რაც მათთვის სასურველი შედეგით არ დასრულდება, რაც მინიმუმ პოლიტიკურ ხიდჩატეხილობას გააღრმავებს.

„ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ დასავლეთთან გადატვირთვის პოლიტიკა იქნება ის ზომიერი ნაბიჯი, რომელსაც ეს გუნდი გადადგამს. დიდი იმედი მაქვს, კოლექტიური დასავლეთი საკუთარ დასკვნებს გააკეთებს და გააზრებული პოლიტიკით გააგრძელებს ქართველ ხალხთან და ქართულ სახელმწიფოსთან ურთიერთობას.

— ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა არაერთი რეზოლუცია, სადაც ერთხმად გვეუბნებიან, რომ დემოკრატიის უკუსვლა გვაქვს. რას ემსახურება ეს მუქარები და რას გამოიწვევს თუნდაც უვიზო მიმოსვლის შეჩერება?

— რეზოლუციები ლობიზმის შედეგია და ის აცდენილია რეალურ პოლიტიკურ საჭიროებებს. რეზოლუციები არის პოლიტიკური იარაღი, რომლითაც პოლიტიკური განწყობების ფორმირებას ცდილობენ და მას მხოლოდ დამაშინებელი ეფექტი აქვს. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ცალკეული ევროპარლამენტარის ინიციატივებით გაჟღერებული რეზოლუცია არ გამოხატავს ევროპარლამენტართა ერთიან განწყობას. მაგალითად, უსაფუძვლოა მუქარა უვიზო მიმოსვლის შეჩერების შესახებ. ეს არის პოლიტიკური ხაფანგი, რომელშიც მხოლოდ ის გაებმევა, ვინც არ იცის, რომ უვიზო მიმოსვლის შეჩერებას წმინდა სამართლებრივი პროცედურის გათვალისწინებით ერთეული ევროპარლამენტარის გამოსვლით საფრთხე არ ემუქრება, რადგან ეს პროცედურულად ერთიანად მისაღები გადაწყვეტილებაა და მისი არც მიღება და არც გაუქმება ასე მარტივი არ არის.

— სუსის ინფორმაციით, არჩევნების წინ „ყალბი ჩანაწერების“ გავრცელება იგეგმება. რა საფრთხეები არსებობს ამ მიმართულებით?

— სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პროფესიული მოწოდების სიმაღლეზეა. მათ აღკვეთეს არაერთი საფრთხე და ახლაც დიდი პროფესიონალიზმით უმკლავდებიან გარე და შიდა აქტორების მიერ წინასაარჩევნოდ გამოცხადებულ „ომს“. ფალსიფიცირებული ვიდეო ჩანაწერებით პოლიტიკური თამაში „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერის გაგრძელებაა. თუ ისინი თავიანთი მმართველობის პერიოდში, პირადი სახის ჩანაწერებს საკუთარი თანაგუნდელების დასაშანტაჟებლად იყენებდნენ, ახლა, ფალსიფიცირებულ ვიდეო ჩანაწერებს იყენებენ. ეს ძალა გუნდის წევრებს სწორედ ასე ინარჩუნებდა და ინარჩუნებს. შანტაჟი, დაშინება, მოსყიდვა მათი თამაშის წესია. მათ სხვაგვარად არ ძალუძთ და თუ რაიმე გავრცელდება ეს მათი მხრიდან კონკრეტული პოლიტიკური მიზნის მიღწევის დამატებითი საშუალება იქნება და მეტი არაფერი.

— ეუთო/ოდირის შუალედურ ანგარიშში პოლარიზაციის დასრულებისკენ მოგვიწოდეს, ამ დროს პოლარიზაციის პროვოცირებას თავად ახდენენ.

— საქართველოში არსებულ წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით ეუთო/ოდირის დადებითი შეფასება დაიდო, რაც არის პირდაპირი აღიარება იმისა, რომ ცესკო-ს მხრიდან გატარებული ღონისძიებები მათ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მათი შუალედური ანგარიში მოიცავს ბევრ საკვანძო საკითხს, მათ შორის, საარჩევნო სისტემას, საარჩევნო ადმინისტრაციას, საარჩევნო ტექნოლოგიებს, ამომრჩეველთა და კანდიდატთა უფლებებს და რეგისტრაციას, საარჩევნო გარემოს და დაფინანსებას და სხვა. ყველა მიმართულებით ეუთო/ოდირის მოსაზრება მნიშვნელოვნად პოზიტიურია და მასში ხაზგასმულია, რომ წინასაარჩევნო კამპანია უპრეცედენტოდ მშვიდი და თავისუფალია და ყველაფერი არსებითი დარღვევების გარეშე, კონკურენტულ გარემოში ხორციელდება.

აქცენტი, ასევე, პოლარიზაციის დასრულებაზე კეთდება, თუმცა აქ „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“ — პოლარიზაციის დასრულებისკენ მოგვიწოდებს ძალა, რომელიც, როგორც თქვენც აღნიშნეთ, პოლარიზების პროვოცირებას თავად ახდენს. **მაგალითად გვეუბნებიან: საკაშვილის რეჟიმი ხელისუფლებაში დააბრუნეთო და ამ პროცესს ღიად აფინანსებენ. ამიტომ 26 ოქტომბერს ისეთი არჩევანი უნდა გავაკეთოთ, რითაც ოპოზიციას და კოლექტიურ დასავლეთს პოლიტიკურად ურთიერთგამომრიცხავი დირექტივების მოცემის საშუალებას არ დავუტოვებთ.**

— ევროპა ჩვენი ტრადიციული ღირებულებებით ევროკავშირში გაწევრიანების სასტიკი წინააღმდეგია.

— ზნეობრივი აქტი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ ეროვნული ღირსების სამართლებრივი აქტია. ეს არის ღირსების აქტი, რომელიც სალომე ზურაბიშვილმა უარყო, მაგრამ აქტი, რომელიც მიიღო „ქართულმა ოცნებამ“, რათა დაიცვას ერის საერთო ინტერესები, რათა ჩვენს ქვეყანაში არ დავაკანონოთ უზნეობა ზნეობად. ჩვენ როგორც ერს ზნეობრიობაზე, რწმენაზე ამბიცია გვაქვს და ნამდვილ ევროპას სწორედ ასეთი ვჭირდებით. ამიტომ ევროპა რომელმაც დაკარგა ძირითადი და მისაბაძი ფასეულობები, საკუთარ თავს უნდა დაუბრუნდეს და ღირსებად განიხილოს ჩვენი მისწრაფებები და სურვილი, დავიცვათ ჩვენი იდენტობა, კულტურა, რწმენა და ტრადიციები.

— როგორც ცნობილია, დასავლეთი წინასწარ ემზადება არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადოს, რისთვისაც მხარის აბმას ჩვენი პრეზიდენტიც აპირებს. როგორ გესახებათ მოვლენების შემდგომი განვითარება?

— დიახ, დასავლეთი ემზადება არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადოს, რისთვისაც მათ მხარს უბამს პრეზიდენტი. ოპოზიცია ემზადება არა არჩევნებისთვის,

13 გვ.

ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ არ იყოს ომი!

გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ხათუნა ხოფერია

- ქალბატონო ხათუნა, „ქართული ოცნება“ ამჯერად უკვე მეოთხედ ემზადება ხელისუფლებაში მოსასვლელად. უამრავი გამოწვევის ფონზე, წინასაარჩევნო გარემოს როგორ შეაფასებდით?

- საქართველო დღეს არის დამოუკიდებელი, სუვერენული, ეკონომიკურად მზარდი სახელმწიფო. საქართველოს ჰყავს ხელისუფლება და არის ყველა უმაღლეს დიპლომატიურ დონეზე საკმაოდ აქტიური, - ამ რეალობაში ვიმყოფებით.

გარკვეული პოლიტიკური ძალები, გლობალური ომის პარტია და მათი მიმდევრები ამბობენ, რომ არ არსებობს, მაკკეინის ინსტიტუტი და მის მიერ შემუშავებული ანტიქართული სახელმწიფოებრივი გეგმა: საქართველოს დანგრევის, ჩამოშლის, ხელისუფლების შეცვლისა და ჩვენი ქვეყნის ომში ჩაბმის გეგმა, მაგრამ პირდაპირ შავით თეთრზეა დაწერილი, რომ სამოქმედო გეგმა არსებობს და ის ეხება როგორც არჩევნებისწინა, ასევე მის შემდგომ პერიოდს: თუ როგორ უნდა დაიწყოს მიტინგები, როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები და როგორ უნდა გაკონტროლდეს ეს ყველაფერი.

მაკკეინის ინსტიტუტი არის გლობალური ომის პარტიის რეალური სახე. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია შევიდეთ ინტერნეტში და ვნახოთ, ვინ არიან ამ ორგანიზაციის, მაკკეინის ინსტიტუტის დონორები. იქ ვნახავთ მსოფლიოში უდიდეს იარაღის მწარმოებელ კორპორაციებს, რომლებიც მთელ მსოფლიოს ამარაგებენ იარაღით და უზარმაზარი ფინანსური ინტერესები აქვთ.

საქართველოში დღეს უკვე გადაწყვეტილი თემაა ანაკლიის პორტის მშენებლობა. ეს იქნება სატვირთო ნავსადგური, სადაც შემოედინება დიდი რაოდენობის ტვირთი. შესაბამისად, ანაკლიის პორტის არსებობა ცვლის მსოფლიო საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვებს, მათზე კონტროლს, ფინანსურ ნაკადებს, და ა. შ. რა თქმა უნდა, ამის გამო არიან შეშფოთებულები ჩვენი დასავლელი „მეგობრები“. მათთვის ხომ ამოსვალი წერტილი ფულია, ისე, როგორც იმ სულგაყიდული ქართველებისა, რომლებიც მრავლად გვყავს და რომლებიც ღლიცინებენ, რომ ომის პარტია არ არსებობს! ხსენებულ პოლიტიკურ ძალებს აქვთ სურვილი, რომ ეს პროექტი ჩაიშალოს, დაიმორჩილონ საქართველო სრულიად და წაართვან სუვერენიტეტი. მათი თითოეული განცხადება თუ სანქციების დაწესება ფინანსურ ანგარიშებზე, იმის დემონსტრირებაა, დაანახონ მსოფლიოს, თუ როგორ მართავენ საქართველოს და რამდენად არის საქართველო მათზე დამოკიდებული.

- მათი დამოკიდებულებაც, გარკვეულწილად, მას შემდეგ შეიცვალა ჩვენი ქვეყნისადმი, როცა დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას, წინამორბედისგან განსხვავებით, იოლად ვერ დაიმორჩილებდნენ...

- რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ხალხი ამას არ ეგუება და ვერც შეეგუება. რაც უნდა იძახონ ჩვენმა რადიკალებმა, „ჩვენ ვართ ქართველი ხალხიო“, ვნახეთ მათი 30-ათასიანი „შინ ევროპაში გვინდა“ მიტინგი და ნახევარ-მილიონიანი და მილიონიანი მსვლელობა სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე, როდესაც ადამიანები თავიანთი ოჯახების ღირსებისთვის, ტრადიციებისთვის და ქართული სახელმწიფოებრივობისთვის გამოვედით ქუჩაში. ეს ფაქტები მათაც აქვთ.

სკკპ-ის ყრილობებზე განსაზღვრავდნენ ხოლმე 5-წლიან გეგმას, თუ ვის როგორ უნდა ემოქმედა, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. რომ ჩახედოთ, ზუსტად ანალოგიურია ევროპარლამენტის, მაკკეინის ინსტიტუტის, ამერიკის კონგრესისა თუ სხვათა დოკუმენტების შინაარსი!

- სულ მაინტერესებს, რატომ აქვთ ასეთი გაცხოველებული ინტერესი ამ პატარა ქვეყნის მიმართ? რა ხელს აძლევს ევროპას თუნდაც სახელმწიფო გადატრიალება ჩვენს ქვეყანაში?

- ჩვენს დაუძინებელ მეგობრებს აქ სჭირდებათ მარიონეტული ხელისუფლება. ისინი ძალიან დიდხანს, 9 წელი მართავდნენ თავიანთ მიერ შექმნილ „დემოკრატიის შუქურას“, რომელმაც 2004 წელს უკვე სიტუაცია გაამწვავა და ომის წინაპირობა შექმნა, 2008 წელს კი, საერთოდ, ამხელა მსხვერპლზე

წავიდა. მათ საქართველოში დასაყრდენი სჭირდებათ და ჰყავთ კიდევაც, თუმცა, რატომღაც ეგონათ, რომ ეს სტრუქტურები იყო ძალიან მყარი და ჰქონდა ხალხის მხარდაჭერა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მიხვდნენ, რომ მათ არა აქვთ ისეთი ძლიერი მხარდაჭერა, როგორიც აქვს „ქართულ ოცნებას“, რომელიც მათი მარიონეტი არ გახდება, - დაიწყეს ზეწოლა ცალკე ბიძინა ივანიშვილზე და ცალკე ქართულ სახელმწიფოებრიობაზე. ბიძინა ივანიშვილი არის ადამიანი, რომელმაც გააკეთა ძალიან მნიშვნელოვანი განაცხადი, რომ საქართველო მისთვის, უპირველესად, არის სამშობლო და შემდეგ - სახელმწიფო! ასე რომ, სამშობლოს არ ყიდიან, სამშობლოს არ აბარებენ, სამშობლოში ომს არ იწყებენ!

არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომლებსაც ბოღმა ახრჩობთ, ცდილობენ, ვითომ პროტესტი გამოხატონ და ამბობენ, „კარგი რა, რა გამიკეთა ბიძინამ?!“ მე მათ ვეკითხები: და რა უნდა გაეკეთებინა ბიძინას შენთვის?! რა იყო, მამაა შენი და გერგება?! თუ ვალი აქვს შენი ოჯახის ივანიშვილს და არ გიბრუნებს?! მერე ვფიქრობ, რა უნდა გაეკეთებინა პირადად ჩემთვის ივანიშვილს იმაზე მეტი, რაც გამიკეთა? ან ჩემი შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის? - მშვიდობა და წყნარი, სტაბილური გარემო მომცა!

აი, ნახეთ: რამდენიმე დღის წინ ღვინო დავაგემოვნეთ სუფრაზე - დანახარის ჯიშის ყურძნის...გაგებულიც არ მქონდა ასეთი ჯიში. „ბიძინას სანერგედან წამოვიღე ნერგი და პირველი მოსავალიაო,“ - გვითხრა კარგმა ქართველმა. ეს ის სანერგეა, ბიძინამ რომ აჩუქა ქართველ ხალხს, ანუ, ქართულ სახელმწიფოს, ანუ, მე და ჩემს მონაგარს! ამისთვის ვართ მადლობელნი;

ახლობელმა ოპერაცია გაიკეთა. გადარჩა. არც სახლი ჩაუდია ხაზარაძის ბანკში და არც საცხოვრებელი გაუყიდია, როგორც მიშას დროს ხდებოდა. მერიამ, ჯანდაცვის სამინისტრომ, ცოტაც მეზობლებმა შევუქუჩეთ და... აგრძელებს ცხოვრებას! ამისთვისაც მადლობა ჩვენგან!

მამიდაჩემი დააწვინეს რუხის საავადმყოფოში. ღამე ჩავედი სამ საათზე... უკვე აპარატზე იყო მიერთებული. თეთრი გედივით იდგა აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის ეს იმედის სახლი. ბევრი აფხაზისა და ქართველის სიცოცხლე

8 გვ.

უცხო ძალა საქართველოში არჩევნების ბედს ვერ გადაწყვეტს

ზურაბ ქადაგიძე, პარტია „ხალხის ძალის“ წევრი:

ჩემი მოლოდინია, რომ „ქართული ოცნება“ აიღებს საკონსტიტუციო უმრავლესობას და ყველა, ვინც უცხოეთიდან გვიკიჟინებს, მინდა დავამშვიდო, რომ ყველაფერი გადალაგდება ისე, როგორც საჭიროა! რა თქმა უნდა, ვიღაცები გამოვლენ და არჩევნების შედეგებს გააპროტესტებენ, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ოპოზიციის რადიკალურ ნაწილს ექნება მცდელობა, რომ ქუჩაში გადაიტანონ პროცესები, მაგრამ ეს მათი უფლებაა და იქნებიან ქუჩაში იქამდე, სანამ რაიმე პასუხს არ მიიღებენ თავიანთი ლიდერებისგან. საერთო ჯამში, ეს იქნება არჩევნები, როდესაც ჩვენ გადავლახავთ ეგზისტენციალურ საფრთხეს. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო საზოგადოებას, რომ ეს არის ჩვეულებრივი პროცესი, ჩაივლის მშვიდ გარემოში, „ქართული ოცნება“ აიღებს უმრავლესობას და, შესაბამისად, ამ უმრავლესობის მიერ გაცემული მანდატებით, ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ გამოუცხადებს ნდობას ხელისუფლებას! ყველა საერთაშორისო პარტნიორს მოუწევს რეალობასთან შეგუება, რადგან ცალსახაა, რომ საქართველოში ხელისუფლებას განსაზღვრავს ქართველი ხალხი და ვისაც მათი უმრავლესობა მიანიჭებს მანდატს, ის იტვირთავს ამ პასუხისმგებლობას. ასე რომ, ვერანაირი უცხო ძალა ვერ გადაწყვეტს არჩევნების ბედს ჩვენს ქვეყანაში.

ზაალ ანჯაფარიძე, ანალიტიკოსი:

მოვლენების განვითარების რამდენიმე სცენარი არსებობს, განსაკუთრებით არჩევნების შემდეგ. მე პირადად, მიმაჩნია, რომ ამ არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და იმედი მაქვს, უმრავლესობას მოიპოვებს იმ რაოდენობით, რომ მთავრობა თავად დააკომპლექტოს, სხვებთან კოალიციის გარეშე. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეაფასებენ არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლები. რადგან, რაც შეიძლება მოხდეს არჩევნების მეორე დღეს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წინასწარ შეფასებას დადებს ეუთო და ოდირი, წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ. შეიძლება რაღაც პერიოდი იხმაურონ, აქციები მოაწყონ, მაგრამ ისევე, როგორც 2020 წელს, ეს ყველაფერი მალევე დაცხრება.

მეორე უარესი სცენარი არის ის, რის ალბათობაც, ჩემი აზრით, არსებობს, იქიდან გამომდინარე, თუ რა დამოკიდებულებაც აქვს დასავლეთს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების კიდევ ერთი ვადით დარჩენასთან დაკავშირებით. ეს დამოკიდებულება ცალსახად უარყოფითია, რასაც არც მალავენ და შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ როგორი პოზიტიურიც უნდა იყოს ეუთო-ოდირის შუალედური ანგარიში, საბოლოოდ მათ მაინც შეიძლება განაცხადონ, რომ არჩევნები არ ჩატარდა ლეგიტიმურად და არ შეესაბამებოდა ქართველი ხალხის ნებას. 2003 წელს, სწორედ ეუთო-ოდირის ასეთმა ნეგატიურმა დასკვნამ მისცა ბიძგი „ვარდების რევოლუციას“ და შეიძლება, მსგავს შემთხვევაში, ოპოზიციამ დაიწყოს საპროტესტო აქციები ხელისუფლების დამხობის მიზნით.

თამარ ჩიბურდანიძე, პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი:

არჩევნებს, როგორც მოსალოდნელია, დამაჯერებლად იგებს „ქართული ოცნება“ და „ხალხის ძალა“. ეს იცის ყველამ, როგორც ხელისუფლებამ, ასევე ოპოზიციამ: დასავლეთმა, აღმოსავლეთმა, ჩრდილოეთმა, სამხრეთმა... ყველანაირი კვლევაა საქართველოში ჩატარებული, მაგრამ ბუნებრივია, ამისათვის არ ემზადება ოპოზიცია.

რადიკალები ემზადებიან არჩევნების შემდგომი არეულობისთვის, ემზადებიან რევოლუციისთვის, მაიდანისთვის. ეს დაგვიანონსეს კიდევაც არამხოლოდ მათ, არამედ მათმა ლობისტებმაც დასავლეთიდან, რომ საქართველოში აუცილებლად იქნება მაიდანი. მაგრამ საქართველოში მაიდანი ვერ შედგება, იმიტომ, რომ საქართველოს ყველა ძალოვანი სტრუქტურა, მთელი ხელისუფლება მობილიზებულია იმისათვის, რომ ვერავინ შეძლოს სახელმწიფოს გადატრიალება.

მთავარი მიღწევა ამ ხელისუფლების, არის მშვიდობის შენარჩუნება და მშვიდობა წონის ყველაფერს! აქედან გამომდინარე, ხალხი ირჩევს მშვიდობას და არა ომს! ქართველი ხალხი გააკეთებს თავის არჩევანს და იტყვის ისტორიულ სიტყვას ამ საპარლამენტო არჩევნებში!

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ლალი მოროშკინა:

— ქალბატონო ლალი, 26 ოქტომბერი ქართველი ერისთვის მნიშვნელოვანი თარიღია. როგორ ფიქრობთ, არჩევნების შემდეგ სად იქნება საქართველოს ადგილი მსოფლიოში?

— წინასაარჩევნო კამპანიას მე ასე ვუწოდებდი — მარში და დემარში. მარში, ანუ მწყობრი ნაბიჯით სიარული პირდაპირ „ქართული ოცნების“ ძალიან კარგად გათვლილ საარჩევნო კამპანიაზე ითქმის. სხვები ამ პროცესს თვალს შეიძლება თბილისიდან ადევნებენ, მე რაიონებიდან ვაკვირდები და ნათლად ვხედავ, რა კეთდება. კახეთის მაგალითზე გეტყვით, რომ ყველაზე შორეულ სოფელშიც კი დაგებულია კარგი ტრასა, მოძრაობს ტრანსპორტი, გაყვანილია წყალი. კი ბატონო, 21-ე საუკუნეში ამაზე ლაპარაკი შეიძლება სირცხვილია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ „ქართულ ოცნებას“ მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. წინამორბედის მიერ ჩადენილი შეცდომების გამოსწორებას, ალბათ, წლები დასჭირდება. ახლა გადავხედოთ, რით არის დაკავებული წინასაარჩევნოდ ოპოზიცია, გარდა მავნებლობისა — არც შეხვედრებს მართავენ, მეტიც, მათი კოორდინატორების ხილვაც კი სანატრელი გახდა. ასეთი შეგრძნება მაქვს — ოპოზიცია იმდენად დარწმუნებულია, რომ წააგებს, ზედმეტ თანხებს აღარ ხარჯავს — კოორდინატორების მუშაობა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ამიტომ კოლექტიური ნაცები დემარშზე არიან გადასული. სამეგრელოში მმართველმა ძალამ იმდენად ხალხმრავალი შეხვედრა ჩაატარა (მოგეხსენებათ, სამეგრელო ის რეგიონია, სადაც საარჩევნო კამპანია რთულად მიმდინარეობს), რომ ოპოზიციას ეს მითიც დაემსხვრა, თითქოს „ქართულ ოცნებას“ ამ რეგიონში მხარდამჭერები არ ჰყავს.

მარში და დემარში

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ სიას, იქ ახალი თაობის ბევრმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. ზოგს პოლიტიკაში გამოუცდელი ახალგაზრდის ხილვა არ უნდა და ძველი გამოცდილი კადრი ურჩევნია. საღად მოაზროვნე თაობას შანსი უნდა მივცეთ. ახლა ექსპერიმენტულ ფაზას გავდივართ. თუმცა ის, რომ სიის პირველი ნომერი ბიძინა ივანიშვილია, თავისი უზარმაზარი გამოცდილებით, დაკვირვებით, გამჭრიახობით, ქველმოქმედებით, საკუთარი თავისა და ოჯახის სამშობლოსთვის შეწირვით, იმედს მაძლევს, რომ გადავრჩებით. დღეს საქართველოს მშვიდობის გარდა, სხვა არჩევანი არც აქვს. უფრო ზუსტად, არჩევანია ცუდსა და კარგს, ბოროტსა და კეთილს, ღვთის გზასა და ეშმაკის გზას, წარსულში ყურებასა და წინ სვლას შორის. არ მგონია, ვინმემ არაევროპელობა დამწამოს. მთელი ჩემი ოჯახი ევროპაში ცხოვრობს, იქ გავიზარდე და ეს ფასეულობები ჩემზე კარგად ბევრმა არ იცის. მაშინ, როცა ვიღაცები „ევროპა, ევროპას“ ახლა გაიძახიან, მე ნახევარი ცხოვრება იქ მაქვს გატარებული. მაგრამ რასაც ოპოზიცია ღაღადებს, ეს ევროპული ფასეულობა არ გახლავთ. ევროპაში მცხოვრები ჩემი სანათესაოც კი არ იზიარებს იმ **კვაზიევროპულობას,** რასაც ამჟამად იქ აქვს ადგილი.

დღეს ჩვენ წელში გადატეხილ ევროპას ვხედავთ. შევხედოთ, თუნდაც რა ხდება უკრაინაში, რომლის მიმართ არასწორი პოლიტიკა ტარდება. იმის ნაცვლად, რომ გაერო და სხვა ორგანიზაციები მხარეებს ომის დასრულებისკენ მოუწოდებდნენ, პირიქით ომზე საუბრობენ, რასაც უდანაშაულო ადამიანები ეწირება. ეს ნიშნავს, რომ ევროპა არასწორი მიმართულებით ვითარდება. ჩვენ გვეძლევა ისტორიული შანსი „ერთი გზა, ერთი სარტყელში“ ჩართულობით კავკასიის შვეიცარია გავხდეთ. ბოლო დროს სრულიად მსოფლიო აირია, რისი ლაკმუსის ქაღალდიც შემოგდებული თემა — კოვიდი იყო. კაცობრიობამ ეს გამოცდა ვერ ჩააბარა — ნიღბები აიფარა და უაზრო აცრები გაიკეთა, რის შედეგებსაც ახლა ვიმკით. ამით ადამიანების აზროვნება დააქვეითეს, მერე თავს ომები მოგვახვიეს. რაც დღეს საქართველოში ხდება, ეს კონტექსტიდან ამოგლეჯილად არ უნდა განვიხილოთ. ეს ერთი დიდი გეოპოლიტიკური თამაშია, რაც ადამიანების ტვინის არევით დაიწყო. ლაო ძი ამბობდა: იმისთვის რომ დაალაგო, კარგად უნდა აურიო. არეულობა კოვიდით დაიწყო, რასაც უკრაინის ომი მოჰყვა, სადაც სლავებს ერთმანეთს ახოცვინებენ. ჩვენ არავის ვჭირდებით, არავის ვაინტერესებთ, უბრალოდ, აღმოჩნდა, რომ მათთვის ჩვენი ტერიტორიაა მიმზიდველი. დიახ, ვიღაცას ტერიტორია სჭირდება, ვიღაცას — ფულის გათეთრება, ზოგსაც — ახალი იარაღის გამოცდა... ჩვენ ისტორიულად იმ ადგილას აღმოვჩნდით, რომელსაც გვერდს ვერ აუვლიან. მთელ მსოფლიოს ძვალივით ყელში ვყავართ გაჩხერილი.

საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტია 58-60%-ს აიღებს

დიმიტრი ლორთქიფანიძე, დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი:

ღრმად მწამს, რომ ქართული საზოგადოება მზად არის, 26 ოქტომბერს ის არჩევანი გააკეთოს, რაც ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის განმტკიცებას, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას ხელს შეუწყობს. ნიშანდობლივია, რომ პარლამენტმა საკანონმდებლო ტრილოგია დაამტკიცა. კერძოდ, მიიღო გამჭვირვალობის კანონი, რითაც არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოური დაფინანსება გამჭვირვალე გახადა. ასევე ცხრამეტ კანონში შეიტანა ცვლილებები და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონზე ხელმოწერით ლგბტქ+ პროპაგანდა აკრძალა, რაც დასავლეთის ხელში მთავარი ტექნოლოგიური მართვის გლობალური ინსტრუმენტი გახლავთ. ბუნებრივია, გლობალური ომის პარტიის მარწუხებისგან თავის დაღწევა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, რასაც პასუხი 26 ოქტომბერს გაეცემა. ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვებს, რაც სისტემური ცვლილებების საწყისი იქნება. არჩევნების მოგების შემდეგ მმართველი ძალა შეასრულებს დანაპირებს და „ნაციონალურ მოძრაობას“ კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გაიყვანს, ანუ ამ პარტიის დენაციფიკაცია მოხდება და სამართალი სამუდამოდ იზეიმებს.

დესტაბილიზაციის, პროვოკაციული მცდელობების მოლოდინი არსებობს. არეულობის მოწყობის შემთხვევაში, პროვოკატორებთან გამკლავებას, პოლიციასთან ერთად, უბრალო ხალხიც შეეცდება, რაც მსოფლიოსთვის მტკიცე გზავნილი იქნება, რომ ჩვენ — ქართველი საზოგადოება სამშობლოში დესტაბილიზაციას არ დავუშვებთ და პოლიციასთან ერთად პროვოცირების ნებისმიერ მცდელობას აღვკვეთავთ.

ედიშერ გვენეტაძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი:

ჩემი აზრით, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტია 58-60%-ს აიღებს. ჩემი გადმოსახედიდან, ყოველგვარი პათეტიკურობისა და გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ ეს არჩევნები იგივე დიდგორის ომის ტოლფასია. მოგახსენებთ, თუ რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს: თურქ-სელჩუკები, რომლებიც საქართველოში მე-11 საუკუნის ბოლოს და მე-12 საუკუნის დასაწყისში შემოვიდნენ, ფაქტობრივად, ქართული ცხოვრების წესის მტრები იყვნენ. ისინი განსაკუთრებით ჩვენი ცხოვრების მთავარ საყრდენს — ქრისტიანულ რელიგიას ეწინააღმდეგებოდნენ. დღესაც ანალოგიური სიტუაციაა. დასავლეთი სწორედ ქართული ცხოვრების წესის ასაოხრებლად მოდის. მაგალითად, ვიღაც ორჯერ გათხოვილი მიხაილ როთი ქართველებს ჭკუას გვასწავლის და ე. წ. ლიბერასტული ხროვა ამ ორნაქმარევ კაცს — საქართველოს კულტურის, ისტორიის მაგინებელს ტაშს უკრავს. თურქ-სელჩუკებიც მსგავსად, ე. წ. ლიბერასტული დასავლეთიც ქართული ტრადიციული ცხოვრების წესის წინააღმდეგია. ისინი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. ანუ, მათ სურთ, რომ ქართულ ტრადიციულ ოჯახებში ლგბტქ+ პროპაგანდა ჩანერგონ. ასევე, ამ პროპაგანდამ ახალგაზრდებში ფესვები სკოლამდელი დაწესებულებებიდანვე უნდა გაიდგას. აი, რის წინააღმდეგ იქნება 26 ოქტომბერს ბრძოლა. ვფიქრობ, ქართველი კაცი ჯერ ისე არ დაძაბუნებულა, რომ ასი ადამიანიდან მინიმუმ სამოცი, გაუკეღმართებული ცხოვრების წესისა და ქართული ტრადიციების გადაგვარების წინააღმდეგი არ იყოს. სწორედ ეს მასულდგმულებს და იმედს მაძლევს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება ისევე, როგორც ეს დიდგორის ბრძოლის დროს მოხდა.

ოპოზიციის პარპაში — ეს ბაკქანალია უნდა დამთავრდეს. ამას ოპოზიციას ვერც ვუწოდებ, ეს მეხუთე კოლონაა, რომელიც უკვე ოცდაცამეტი წელია, გარე ძალების დაკვეთით, ქართულ სახელმწიფოს არყევს. კოლექტიური ნაცმოძრაობა ქართული სახელმწიფოდან უნდა მოიკვეთოს და მისი ადგილი ჯანსაღ ოპოზიციურ ძალებს დაეთმოს, რომლებიც ქვეყნის განვითარებაზე იქნებიან ორიენტირებულნი.

ჩინეთი გაერო-ს, ნატო-ს ბაზებით არის გარშემორტყმული. ერთადერთი მშვიდობიანი სატრანსპორტო დერეფანი საქართველოზე გადის. შუა დერეფნის პროექტის განხორციელებაში „აზიის ბანკს“ დიდი თანხები აქვს ჩადებული. ხომ უნდა გვესმოდეს, რომ ჩინეთს იმხელა ფული აქვს შუა დერეფნის პროექტში ჩადებული, რომ აქ არეულობას არ დაუშვებს. ეს მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გზაა, ჩვენ კი გარკვეულ დივიდენდებს მივიღებთ. ამიტომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს. მეორე მხარეს არის ნგრევა, 50 წლით უკან დახევა, ვიღაცის თამაშებს ზვარაკად შეწირვა. შედეგად მივიღებთ პროქსიომს, როგორც უკრაინაში, სადაც ახალგაზრდები ზვარაკად შეწირეს. ჩვენ შესაწირი ბარტყი არ გვყავს. ჩვენი დარჩენილი გენოფონდი ამ პროცესს არ უნდა შევწიროთ. ოსებს, აფხაზებს გენოფონდი არ აქვთ. მთელი კავკასია გენოფონდის გარეშეაE დარჩენილი. სისხლისმღვრელმა ომებმა ყველა გაანადგურა. ამიტომაც ალიევმა ღიად განაცხადა: კავკასიას არ აგარევინებთო. ის ამიერკავკასიის ლიდერად გამოიკვეთა.

ვიმეორებ, ჩვენი არჩევანი, მხარი დავუჭიროთ მშვიდობას, უალტერნატივოა. ზოგჯერ მინდა, საქართველოს ერთი დიდი საბა-

9 გვ.

მთელი ქართველი ხალხი დადგება ფეხზე თავიანთი არჩევანის დასაცავად

მერაბ ჩხეიძე, მწერალი, რეჟისორი:

ვფიქრობ, რომ ამჯერადაც „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს და ყველაფერი არეულობის გარეშე ჩაივლის. თუ მაინც წამოიწყეს არეულობა რადიკალებმა, დარწმუნებული ვარ, მთელი ქართველი ხალხი დადგება ფეხზე თავიანთი არჩევანის დასაცავად და ოპოზიციას არ მისცემენ დესტრუქციული ქმედებების საშუალებას. ჩემ გარშემო უამრავი ადამიანია, ვინც „ქართულ ოცნებას“ უჭერს მხარს და გარდა ამისა, ვხედავ, რა განწყობაა საზოგადოებაში. მომხრეები ოპოზიციასაც ჰყავს, რადგან ამ ბავშვებს ტვინი აურიეს, მაგრამ არ არის ეს საკმარისი! იმხელა ძალაა ჩვენს მხარეს, ვისაც არევა არ აინტერესებს, რომ ცოტა რთულად განსახორციელებელი მგონია რადიკალების გეგმები. ეს სცენარი ჩვენ უკვე არაერთხელ გვაქვს ნანახი და როგორც კი გაფაჩუნდებიან, დარწმუნებული ვარ, ხალხს დაძახებაც არ დასჭირდება! მე მაინც ვფიქრობ, გაცილებით მეტი შანსია, რომ ყველაფერი მშვიდობიანად და ქვეყნის სასიკეთოდ დასრულდეს.

პავლე კახიძე, პარტია „ხალხის ძალის“ წევრი:

არჩევნებში უალტერნატივოდ გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“, როგორც ამას კვლევები გვიჩვენებს. მე ვხედები მოსახლეობას წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, უმეტესწილად, თბილისში და შემიძლია ვთქვა, რომ „ქართული ოცნება“ უპირობოდ ლიდერობს და ამ არჩევნებს კიდევ ერთხელ მოიგებს. რაც შეეხება ოპოზიციას, ისინი კვლავაც არ აღიარებენ არჩევნების შედეგებს. ისინი ემზადებიან არეულობისთვის, რევოლუციისთვის და მაქსიმალურად ცუდი სცენარისთვის, რათა როგორმე შეძლონ და ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება, არალეგიტიმურად და უკანონოდ. თუმცა, ქუჩის აქციების შემდეგ მაინც შევლენ პარლამენტში. წარმოუდგენელია, რომ ნიკა მელიამ მანდატი დათმოს რაიმეს სანაცვლოდ. ამ ხალხს პარლამენტის წევრობის, მისი ხელფასისა და იმ სარგებლის გარდა, რასაც იქიდან იღებენ, ხომ არაფერი არ აინტერესებთ!

უბრალოდ, ეს წინააღმდეგობები თვალის ახვევაა მათი ისედაც მცირერიცხოვანი ამომრჩევლისთვის, აი, ჩვენ ჩვენი ვეცადეთო! მერე მათი უცხოელი პარტნიორები ეტყვიან, რომ უნდა შევიდნენ და ესენიც შელაგდებიან პარლამენტში. რადიკალები ყველანაირად ეცდებიან, რომ სიტუაცია აურიონ, მაგრამ ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მოწოდების სიმაღლეზე არიან და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ქვეყანაში მშვიდობა იყოს.

ბონდო მძინარაშვილი, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი:

წინასაარჩევნო პროცესი გვიჩვენებს, რომ ამ არჩევნებში „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად გაიმარჯვებს. თუმცა, ამ გამარჯვებას აუცილებლად მოჰყვება რადიკალური ოპოზიციის მხრიდან საპროტესტო აქციები. არჩევანი უნდა გააკეთოს საქართველოს მოსახლეობამ, მაგრამ რადიკალური ოპოზიცია მაქსიმალურად ცდილობს, რომ ამ არჩევნებში „სუბიექტად“ შემოიყვანოს საერთაშორისო თანამეგობრობა, ვგულისხმობ როგორც აშშ-ს, ასევე ევროკავშირს. ევროკავშირის ელჩის ბოლოდროინდელმა განცხადებებმა, მისმა აგრესიულმა თავდასხმამ საქართველოს ხელისუფლებაზე, გვიჩვენა, რომ ამ არჩევნების შედეგებს და „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ევროკავშირში ადვილად არ შეეგუებიან და ამას მოჰყვება მათი მხრიდან მწვავე რეაქცია. თუმცა, საქართველოს მოსახლეობა გააკეთებს იმ არჩევანს, რომელიც მას სურს და გააკეთებს ისე, როგორც მას სურს!

რადიკალური ოპოზიციის გამარჯვება (რაც წარმოუდგენელია) ნიშნავს იმას, რომ საქართველოსი კი არ იქნება ეს ხელისუფლება, ეს იქნება დასმული ხელისუფლება, რომელიც გაატარებს არა ქართველი ხალხის, არამედ ევროკავშირის ინტერესებს საქართველოში. ჩვენი პრობლემა მუდმივად, 30 წლის განმავლობაში არის სწორედ ის, რომ საქართველოს პოლიტიკურ ველზე ხშირად პოზიციონირებენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც საქართველოში ატარებენ უცხო ქვეყნების ინტერესებს. არადა, პირიქით უნდა იყოს. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს საქართველოს სახელმწიფოზე, საქართველოს მოსახლეობაზე და ქართული ინტერესები უნდა დაიცვას სხვა ქვეყნებშიც. პოლიტიკის ამ გაუკუღმართებული გაგების შედეგია სწორედ ის კოლონიზაცია, რომლის მომსწრენიც ჩვენ ვართ და რომელშიც ძალიან აქტიურად არის ჩართული ქართული მედია, განსაკუთრებით ტელევიზიები, რომლებიც მხარედ არიან წარმოჩენილი და მოსახლეობის მიუკერძოებლად ინფორმირებას კი არ ემსახურებიან, არამედ ერთმანეთს ეჯიბრებიან მიკერძოებულობაში!

ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ არ იყოს ომი!

4 გვ.

გადაარჩინეს საოცარმა ექიმებმა ამ საოცარ გარემოში, 18 დღე უვლიდნენ პრაქტიკულად გარდაცვლილს... არც ერთი თეთრი არ მოუთხოვია არავის, სახელმწიფო აცოცხლებდა! მადლობის მეტი რა მეთქმის!

მთელი ევროპა მოვიარ-მოვიმუზეუმეთ ყველამ ერთად და ცალ- ცალკე. ზოგი დასაქმდა და ზოგიც - დასახლდა... აბა, როგორ არ უნდა ვუმადლოდე, როცა ვიცი, რომ ვიზალიბერალიზაციაც მისი პოლიტიკის დამსახურებაა!

აღარ ჩამოვთვლი ეკლესია-მონასტრებს, მუზეუმებს, გამოქვაბულებს, ფიროსმანის შედევრებს და სანუკვარ ხელნაწერებს! არც ბოტანიკურ ბაღებს და ქართულ ტყე-ველში გაშვებულ ათასობით ენდემური ჯიშის ფრინველს, არც ბიძინას პირად პენსიონერებს და გადარჩენილ სიცოცხლეებს, არც გადაფარულ კრედიტებს... აღარ გავაგრძელებ! ისედაც ყველამ იცის და თუ სიკეთის დანახვა უნდათ, თუ ცოდვას მადლისგან ასხვავებენ, თუ შუბლის ძარღვი ბოლომდე არ გაწყვეტიათ, მიხვდებიან, რომ ეს ყველაფერი მე გამიკეთა, შენ გაგიკეთა, ჩვენ გაგვიკეთა ამ ერთმა ქართველმა კაცმა!

- მაინც, რომ დაუშვათ, როგორ წარმოგიდგენიათ, რა გველოდება ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში?

- მაგაზე არ ვფიქრობ, რადგან არანაირი საფუძველი არა მაქვს, დავუშვა, რომ შეიძლება სხვა პოლიტიკურმა ძალამ გაიმარჯვოს. ამომრჩეველს ხომ ვიცნობ, ამომრჩევლის რაოდენობა ხომ ვიცი, ხომ ზუსტად ვიცით ამ წლების განმავლობაში ჩატარებული არჩევნების შედეგები. იმასაც ვხედავთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ყველაზე მაღალ პროცენტს დებდა არჩევნებზე, სხვა ოპოზიციურ პატრიებთან შედარებით, არის დაშლილი. ანუ მათი ხმები იყოფა. ხალხის ის რაოდენობაც კი, რომელიც არის გაბრაზებული, გაბოროტებული და ბოლმაში ჩამხრჩვალი, თავის ხმებს ხაზარაძესა და გახარიას შორის გაანაწილებს. ამიტომ, ამ ადამიანებს, რეალურად 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის პრობლემა შეექმნებათ.

იმ დღეს ვკითხულობდი, ჯაფარა გამოსულა და მთელი დიპლომატიური კორპუსი დაულანძღავს, მორალზე ლაპარაკობდა, თურმე... ეს ნიფხავჩახდილი კაცი, რომელიც თავის ეროვნებას არ ცნობს, თავის წარმომავლობას არ ცნობს, რომელიც ამოფარებულია ქართულ გვარს და ოს ხალხს აყენებს შეურაცხყოფას - ლაპარაკობს მორალზე! ან ის მამაო, რომელიც პატრიარქს არ ცნობს და ამბობს, რომ ერთსქესიანთა ქორწინება დასაშვები უნდა იყოს... პრაიდში მონაწილეობა თუ უნდოდათ, პარტიებს რატომ ქმნიდნენ? რა „ლელო“, რა „საქართველოსთვის“... თან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ პროგრამებს რომ ელოდებიან მათი მხარდამჭერები... 20 ოქტომბრის ლგბტ-პრაიდი - აი, არის მათი პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმიც!

რატომ დავიწყებ ამათზე მსჯელობას და ფიქრს! ჩემი საფიქრალი ის არის, რომ, რადგან ბიძინა ივანიშვილმა თამასა ასწია და თქვა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა უნდა ავიღოთ, რამდენად მოხერხდება კიდევ 10-15 ხმის მობილიზება, რომელიც საკონსტიტუციო უმრავლესობისთვის არის საჭირო. ჩემს ქვეყანას „ქართული ოცნების“ უბრალო უმრავლესობაც ყოფნის იმისათვის, რომ სახელმწიფო სრულფასოვნად მართოს, მაგრამ არ მინდა, ბიძინა ივანიშვილს იმედი გაუცრუვდეს, ადამიანს, რომელსაც ამდენი სიკეთე აქვს გაკეთებული ჩვენი სამშობლოსთვის და რომელიც უკვე 13 წელია, არანაირ პროგნოზში, არანაირ გადაწყვეტილებებში არ შემცდარა, ზუსტად ასახელებდა ეკონომიკურ მაჩვენებლებსაც კი! ის ერთი-ერთში სვამდა 2-წლიან პროგნოზებს, 5-წლიან პროგნოზებს და როგორც თავიდანვე იყო გათვლილი, დღემდე ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ იქითკენ, რომ 2030 წლისთვის სწორედ ისეთი იყოს ჩვენი ქვეყანა, როგორზეც სამშობლოსმოყვარე თითოეული ქართველი ოცნებობს!

ასე რომ, „ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ მამული გაყაო“, ვეტყოდი მათ, მაგრამ ეს ანდაზა ცოტა რთულად გასაგები იქნება ჩვენი „ლათინურენოვანი“ ოპოზიციისთვის! უფრო მარტივად კი ვეტყვი, რომ თქვენ, ვინც დღეს უკანალს ათამაშებთ, თავს იშტერებთ და „რა გამიკეთა ბიძინამო“ - გაიძახით, ხართ ჩემი, ჩემი შვილების, ჩემი სამშობლოს მტრები! ხართ უტვინო, გამოპრუტუნებული ბოღმის ბუკეტები, თავმოყვარეობა დაკარგულები და იცით, რატომ?! - იმიტომ, რომ თქვენში ბუდობს ფარსმან სპარსის ზნედაცემული სული... ჩვენ გავიმარჯვებთ! ჩვენ გადავარჩენთ საქართველოს ომისა და ნგრევისაგან! ჩვენ არა ვართ ხალხი, ვისაც ასე უბრალოდ ართმევენ ქვეყნის სუვერენიტეტს, სახელმწიფოებრიობას და, ფაქტობრივად, მომავალს! ბოლომდე ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ არ იყოს ომი და კიდევ მრავალი ათასწლეული არსებობდეს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო - საქართველო!

ნონა ქარქაშაძე

თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი ყველანაირ შემოტევას გაუძლებს!

4 გვ.

იმაზე დაკვირვება, თუ როგორი თვითდესტრუქციის რეჟიმში არიან რეალურად ანტიდასავლელი ლუზერები და ევროპიდან მხოლოდ პირადი სარგებლის მომლოდინე პირდაფჩენილი პერსონაჟები.

პოლიტტექნოლოგიურად თუ შევაფასებთ, ეს არის მმართველი გუნდის ირიბი მხარდაჭერა, რადგან, როცა შენ მეუბნები, რომ თურმე ოჯახური ფასეულობები ნაკლებად პრიორიტეტულია და უმცირესობების უფლებები უნდა დავიცვათ, უნდა იცოდე, რომ ქართველ ტრადიციულ საზოგადოებაში ამის ტირაჟირება კატეგორიულად მიუღებელია. თუ ამას ვერ ხვდებიან, ან იდიოტები არიან და მართლა არ იციან ქართველი ხალხის რეალური განწყობა, ან ავტომატურად მიჰყვებიან სახელმძღვანელოს, რომლის პრინციპებიც ყოველთვის, ყველა ქვეყანას არ ერგება. და თუ როგორ აისახება მათი უნიჭო მცდელობა ქართულ რეალობაზე, ამას 26 ოქტომბერს ამომრჩეველი დაგვანახებს - და არამხოლოდ „ქართული ოცნების“ ელექტორატი, არამედ, ის ადამიანებიც, რომლებსაც ბევრი პრეტენზია აქვთ მმართველი პარტიის მიმართ, მაგრამ ჩვენს სამშობლოში მშვიდობიან პოლიტიკას, სუვერენიტეტისა და ფასეულობების დაცვას ემხრობიან!

ნონა ქარქაშაძე

7 გვ.

მარში და დემარში

ნი გადავაფარო, რომ დავიფარო იმისგან, რაც მსოფლიოში ხდება. არავინ იცის, რით დასრულდება დიდი თამაში ახლო აღმოსავლეთში. ამინდის მიხედვითაც შეიძლება განსაზღვრო, როგორ აირია კლიმატი — ზაფხულში არცერთ შაბათ-კვირას წვიმის გარეშე არ ჩაუვლია. ტყვიით გაჟღენთილ ჰაერს ვსუნთქავთ. რომ გავიძახით, დასავლეთი გვემუქრებაო. რად გვინდა მუქარა? — წყლის არხში ათი წვეთი შხამი რომ ჩაგვისხან, მთელი საქართველოს მოსახლეობა ამოწყდება ისე, რომ ომიც არ იქნება საჭირო. აქ ომი იმიტომ არ არის, რომ ჩვენი მიწა ჰექტრობით ძალიან ცოტაა და, შედეგად, ომის წარმოება გაჭირდება. ამიტომ ომი უფრო დიდ ტერიტორიაზე გადაიტანეს. თუმცა 2008 წელს აქ მინიომის ექსპერიმენტი ჩატარდა.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ისე ვერ განვითარდა, რომ ნამდვილი ოპოზიცია ჩამოყალიბებულიყო. მიზეზი იმ ოპოზიციის დაუსჯელად დატოვებაა, რომელიც დღეს ასე ყელყელაობს. ამაში ლობისტების წვლილიცაა. დააკვირდით, რა განცხადებებს აკეთებენ ნჯო-ების დონორი ორგანიზაციები, როგორ აღვირახსნილად იქცევიან. ამის შემხედვარე ხომ მაინც უნდა ვაცნობიერებდეთ, რა ბრძოლებს გადის პიროვნულად ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი.

„ქართული ოცნების“ მიმართ პრეტენზიებიც ბევრი მაქვს, ვიცი რიგი რეგიონული მმართველების გადაცდომების შესახებაც, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. მოვა დრო და მათზე, ვინც „ქართულ ოცნებას“ სახელს უფუჭებს, აღვირახსნილად იქცევა, სამართლის თქმას ვერავინ დამასწრებს. დიახ, მოვა დრო და ითქმება: ვინ უღალატა გუნდს და პიროვნულად ბიძინა ივანიშვილს. კარგად მესმის იმ გულნატკენი ადამიანებისაც, რომელთაც „ქართული ოცნება“ მხრებით მოიტანეს და სიებში ვერ მოხვდნენ. ჩემი აზრით, სამომავლოდ ქვეყნის პრეზიდენტი ბიძინა ივანიშვილი უნდა გახდეს, პარლამენტი კი, რომელიც 2024 წლის არჩევნების მერე შედგება, უნდა დაიშალოს. ვფიქრობ, ეს დროებითი პარლამენტი იქნება, სადაც მაინც მოხვდებიან ოპოზიციის ოდიოზური ლიდერები, რომელთა ადგილი იქ აღარ არის. ალბათ, მათ სრულად მოსაშორებლად დრო არ გვეყო. თუმცა, დადგება დრო და პარლამენტში მართლა სახალხო ლიდერები შევლენ და იქ აღარ იქნებიან არც ნაცები და არც მათი სატელიტი პარტიები. ამასობაში, იქნებ, ჯანსაღი ოპოზიციაც ჩამოყალიბდეს.

— რა როლი აქვს ამ პროცესებში ზურაბიშვილს?

— სალომე ზურაბიშვილს ამრევის როლი აქვს. მან იცის, დგება დრო, როცა სცენა უნდა დატოვოს. მთავარი თამაში სწორედ მისი სცენიდან გასვლის შემდეგ დაიწყება. დასავლეთიდან რაც უფრო იზრდება ზეწოლა, ამომრჩეველი მით უფრო ირაზმება 41-ის შემოსახაზად. საომარი რიტორიკა არავის სურს, ამომრჩეველს მშვიდობა უნდა. ამის ერთადერთი გარანტორი კი ბიძინა ივანიშვილია.

— ამერიკა სამართლიანი არჩევნების ჩატარებისკენ მოგვიწოდებს. 5 ნოემბერს იქაც არჩევნებია. როგორ ხედავთ მოვლენების განვითარებას?

— საოცარი იცით, რა არის, ამის პარალელურად იდება მსოფლიო ბანკის მონაცემები საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის გაუმჯობესების შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკა 7,5%-მდე გაიზარდა. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს! თუ ამხელა წინსვლა გვაქვს, მაშინ ჩამორჩენილი ქვეყანა როგორღა ვართ. ვფიქრობ, მთავარია, საარჩევნო პერიოდი ფრთხილად გავიაროთ. „საბოტაჟნიკები“ ყოველთვის არსებობდნენ. აქვე აღსანიშნავია, რომ სუს-მა ჯერ კიდევ აკერმანის ჯგუფის გამოვლენისას, უშეცდომოდ იმუშავა. იქ, სადაც სუს-ი ქვეყნის ინტერესებს ითვალისწინებს, სანერვიულო არაფერია. ძალოვანი სტრუქტურები თუ თავის ადგილზე დგას და ეკონომიკა წინ მიდის, ქვეყანას ვერაფერი მოერევა. ჩვენთან ორივე მოწოდების სიმაღლეზეა. დღეს ქვეყნის არევის წინაპირობა არ არსებობს.

რაც შეეხება რუსეთს, ის ჩვენთან პარტნიორული ურთიერთობის სურვილს გამოთქვამს. მეორე მხრივ, ეს თუ არ გვინდა, მაშინ რუსული ტანკი შემოვა, რომელიც თბილისიდან იმდენად ახლოს დგას, რომ საწვავის ჩასხმაც კი არ სჭირდება. სულელი უნდა იყო, რომ ეს არ გათვალო. მოცემულობა ასეთია: ჩვენ ალპებში კი არა, არამედ კავკასიონზე ვართ. ის მეზობელია და მორჩა.

მთავარი, რასაც ყურადღებას არავინ აქცევს, ის არის, რომ საუბარია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაზე ისე, რომ სხვა რელიგიური ეთნოჯგუფების ინტერესები არ დაკნინდეს. ეს მნიშვნელოვანია. მაშინ როცა პეჩორის ლავრა დაეცა და იქ ეკლესიებში სატანისტურ რიტუალებს ატარებენ, საქართველოში ქრისტიანობა მოწოდების სიმაღლეზეა. აქ დაბალანსებულია რელიგიაც, ადამიანებთან ურთიერთობაც, მშვიდობის სურვილიც, ეკონომიკური ზრდაც და სტრუქტურების გამართული მუშაობაც.

— სუს-ის ინფორმაციით, პოლიტიკურ წრეებთან დაკავშირებული ჯგუფები ფალსიფიცირებული ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გავრცელებას გეგმავენ.

— ნაცების ხელწერაა ის, რომ ყველაფერს იღებდნენ. როცა ეს კადრები გვაჩვენეს, მაშინ პირველი, ვინც გავარდა და თქვა: ეს კადრები უნდა განადგურდესო, ახლა იმ ოპოზიციურ ავანგარდშია. როგორც წესი, ასეთი ფაილები არ ნადგურდება. ოპოზიციამ იცის, რომ სუს-ს ეს კოზირი აქვს.

ოპოზიციამ აღარ იცის, რა გააკეთოს — აგერ, ახლა „პოლის ჯოხით“ დარბიან და „ქართული ოცნების“ ბანერებს ღებავენ. იმიტომაც დავარქვი ამ წინასაარჩევნო კამპანიას — მარში და დემარში. ყველაფერზე დემარშს აწყობენ. მათი დღის წესრიგი არეულობების მოწყობაა, მაგრამ ტყუილად წვალობენ, ეს წაგებული ომია. თავის გადასარჩენად სჭირდებათ, რომ ოპოზიციური ნიშა დაიკავონ. სხვა რა გამოსავალი აქვთ? — წითელი ხიდი დაკეტილია და ამ გზით ვერ გაიქცევიან. შესაბამისად, ბევრი ოპოზიციონერი, რომელიც ყელყელაობს, საარჩევნო სიაშიც კი არ არის, რადგან იცის, რომ ეს წაგებული თამაშია და ალბათ, თავად არჩევნების შედეგებს საზღვარგარეთიდან დააკვირდება. საბედნიეროდ, მოსახლეობა წინა წლებთან შედარებით ძალიან გაზრდილია. ნებისმიერ სოფელში გლეხი გეტყვით, თუ ვის, რატომ აძლევს ხმას.

ოპოზიციასაც ხომ აქვს ეს შიდა კვლევები და იცის, რომ მისი თამაში დამთავრებულია — „Game over“. ახლა მათი მთავარი საზრუნავია, როგორ გამოვიდნენ ამ თამაშიდან. ასე რომ, გასაქცევად იბარგებიან. დიდი ნაწილი უკვე წასულიც არის.

— ზელენსკიმ ევროპის საბჭოს სხდომაზე გამარჯვების გეგმა წარადგინა. მან აღნიშნა, უკრაინას ან ბირთვული იარაღი უნდა ჰქონდეს ან ალიანსთან ურთიერთობაში იყოსო...

— ორი წლის წინაც ზუსტად იგივე თქვა, რის მერეც ომი დაიწყო. თამაში მანაც დაასრულა. ბირთვულ იარაღს ვინ მისცემს, როცა შეიარაღებასაც კი მინიმალური რაოდენობით აწვდიან. უკრაინას ნატო-ში არასდროს მიიღებენ. ომი უმძიმესი შედეგებით მთავრდება. ჩვენი ოპოზიციონერებივით, მისი საზრუნავიც ის არის, როგორმე ამ თამაშიდან გამოვიდეს და სიცოცხლე შეინარჩუნოს. მაგრამ ასე არ ხდება — ასეთ მოთამაშეებს ყოველთვის კლავენ. ზელენსკიმ მშვენივრად იცის, რაც ელის, ამიტომ დარბის მისი ცოლი მიწებისა და ბრილიანტების საყიდლად. ასეთ მოთამაშეებს ოჯახებიანად ანადგურებენ.

— ქალბატონო ლალი, „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება ტერიტორიული მთლიანო-

13 გვ.

რობინ დანიგანიც დაწყნარდა და დაშოშმინდა

პეტრე მამრაძე, პოლიტიკოსი: არჩევნების შედეგების პროგნოზირება რთულია, თუმცა, სუბიექტურ მოლოდინებზე საუბარი შეიძლება. მიმაჩნია, რომ „ქართულ ოცნებას“ ძალიან კარგი შანსი აქვს, ხმების ნახევარზე მეტი მიიღოს. ვგულისხმობ, ადგილებს პარლამენტში და არა პროცენტულ მაჩვენებელს. გასაკვირი არც ის იქნება, თუ მმართველი პარტია 2/3-ის, ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას შეძლებს. ეს მოლოდინი მაქვს. რა თქმა უნდა, სააკაშვილის „ნაცმოძრაობა“, მასთან ასოცირებული პარტიები და დასავლელი პარტნიორები ყველაფერს გააკეთებენ, რომ სიტუაცია არიონ. და, რაც მთავარია, ნებისმიერ საბაბს მოძებნიან, ან თავად შექმნიან საბაბს იმისთვის, რომ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადონ. ვფიქრობ, სახელმწიფოს, სახელისუფლებო სტრუქტურებს საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდათ, რათა კანონმდებლობის დაცვით ყოველგვარი დესტაბილიზაციის მცდელობა დროულად აღკვეთონ არაპროპორციული, გადამეტებული ძალის გამოყენების გარეშე.

ზოთა გლურჯიძე, მხატვარი: ვფიქრობ, 26 ოქტომბერს არჩევნები კეთილი შედეგით დასრულდება. ერთი ასეთი არაჩვეულებრივი ფილმი არსებობს „კავკასიელი ტყვე ქალი“. გახსოვს სცენა, სადაც ნინას იტაცებენ. მანამდე რაიკომის მდივანი შურიკას ეუბნება: ნინა ყვირილს დაიწყებს, მაგრამ არ ინერვიულოთ, ასე მოქცევა ჩვენი ძველი ტრადიცია, ადათიაო. აქაც სწორედ ანალოგიური ვითარებაა. არჩევნების მეორე დღეს ოპოზიცია გამოვარდება და ყვირილს დაიწყებს: ხმები მოგვპარეს, არჩევნები გაგვიყალბესო, საშველად არასამთავრობო ორგანიზაციებს მოიხმობენ, ვიღაცები გამოვლენ და „გაყალბებულ“ არჩევნებს დაგმობენ, მაგრამ მერე ყველაფერი მიწყნარდება. რაიმე ექსცესების განვითარებას არ ველოდები. 2020 წლის არჩევნების შემდგომაც ასე იყო — ოპოზიციამ ბოიკოტი გამოაცხადა და პარლამენტში არ შედიოდა. ახლაც ასე იქნება და საბოლოოდ, პარლამენტში მაინც შევლენ. „იმედის“ დაკვეთით „გორბის“ სოციოლოგიური კვლევის შედეგები გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც „ქართულ ოცნებას“ 60%-მდე აქვს. დაახლოებით, იგივე შედეგი იქნება რეალურადაც. აგერ, აშშ-ის ელჩი — რობინ დანიგანიც დაწყნარდა, დაშოშმინდა და აღფრთოვანებულმა თქვა: არაჩვეულებრივი რამ ვნახე, ეს რა კარგი ყოფილა თქვენი ცესკო-ო. ისიც კი დაამატა: ჩვენ, თქვენს საქმეებში ჩარევას ვინ გვეკითხება, გადაწყვეტილება თავად ქართველმა ხალხმა უნდა მიიღოსო. ასე რომ, აქ რაიმე ექსცესები მოსალოდნელი არ არის, თუ, რა თქმა უნდა, ქვეყნის გარეთ არ მოხდა რაიმე უბედურება და მონღოლები, ან სპარსელები არ შემოგვესიენ. ვფიქრობ, ჩვენს გარშემო, ზოგადად, მსოფლიოში ისეთი პროცესები მიდის, რომ აქ, ჯერჯერობით, არეულობის, დესტაბილიზაციის მოწყობა არ აწყობთ. უფრო სწორად, არეულობა კი აწყობთ, მაგრამ ვერ მოახერხებენ, ამ ეტაპზე ამისგან თავს შეიკავებენ. ვფიქრობ, რევოლუცია გადაიდო.

„ქართული ოცნება“ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ნაცების ანტიკონსტიტუციურად გამოცხადებას გვპირდება. მე თუ მკითხავთ, ისინი აქამდეც უნდა დაესაჯათ. ამის დიდი მოლოდინი არ მაქვს, მაგრამ ვნახოთ, რა მოხდება.

სამშობლო ვიზებში არ იცვლება!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი ნიკუშა შენგელაია

— ბატონო ნიკუშა, ევროკავშირმა მოლაპარაკებების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც გვითხრეს, თუ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩება, ასევე, თუ ნაცებს გაასამართლებენ, ევროპის კარი ჩვენთვის სამუდამოდ დაიკეტება...

— ეს განცხადებები ნამდვილი ევროპული სამართლისგან ძალიან შორს დგას. მსგავსი მოთხოვნები პირდაპირ სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევაა. ევრობიუროკრატები პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობენ და დირექტივებს ისე გვაძლევენ. დამოუკიდებელი ქვეყნის მიმართ ასეთი დამოკიდებულება სხვა არაფერია, თუ არა ავტორიტარიზმი, დიქტატურა. ვწუხვარ, რომ დღეს ევროკავშირი ევროპული ფასეულობების აღმსრულებელ ორგანოს ნამდვილად არ ჰგავს.

— ევროპული საბჭოს სხდომაზე ნიდერლანდების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონი, ევროპულ ფასეულობებს ეწინააღმდეგება...

— ამ ევროპარლამენტარებს მალე პასუხს თავიანთი ევროპელი ამომრჩევლები გასცემენ. ოთხიხუთი წლის შემდგომი ევროპა სულ სხვაგვარად მესახება. ევროპის დიდი თუ პატარა ქვეყნების ხელმძღვანელებად ის ადამიანები მოვლენ, რომლებიც საკუთარი ქვეყნების ინტერესებზეც იზრუნებენ და სხვა ქვეყნების ინტერესებსაც პატივისცემით მოეპყრობიან, ჩვენს ღირსეულ საქციელს დააფასებენ და საბოლოოდ, ევროპისკენ გზა გაგვეხსნება. იქამდე კი როგორმე უნდა გადავრჩეთ, შევინარჩუნოთ მშვიდობა, სახელმწიფოებრიობა. ახლა თუნდაც ცალ ფეხზე დავდგეთ, ან ცალ ყურზე, საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებას მაინც არავინ აპირებს. ისინი არც საქართველოს ბედნიერ, კარგ მომავალზე ფიქრობენ, არც საკუთარი ქვეყნები ანაღვლებთ, მხოლოდ პირად მერკანტილურ ინტერესებზე ზრუნავენ.

— მაკრონმა ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები დაიწუნა...

— ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ შფოთდებიან ასე ყველაფერზე — აქაური ოპოზიცია ძალიან სუსტი და უვარგისია, ამიტომ მაკრონი, შოლცი, ბორელი და სხვები, საარჩევნო მარათონში თავად ჩაერთნენ. ქართველი ხალხის არჩევანი ან ქვეყნის ბედის გადარჩენა და მშვიდობის შენარჩუნება, ან ამ უზნეო, სიცრუით სავსე განცხადებებზე აყოლაა. დიახ, ჩვენ ქვეყნის კეთილდღეობა, მშვიდობა, აღმშენებლობა უნდა ავირჩიოთ. მოკლედ რომ ვთქვა, არჩევანი ომსა და მშვიდობას, ფასეულობებს შორის უნდა გაკეთდეს. ასევე, დედას დედა დავუძახოთ, თუ ნომერ პირველი მშობელი, სხვა ქვეყნის ინტერესების გამო ქვეყანა დავანგრიოთ, თუ სტაბილურობა შევინარჩუნოთ და როგორც ერმა — ქართველებმა არსებობა განვაგრძოთ, თუ არა.

დასავლეთი ქართველ ხალხს პირდაპირ მოუწოდებს, ნაცები აირჩიეთო, რადგან მას საქართველოს ხელისუფლებაში ყველაფრის მკადრებელი ადამიანები სჭირდება, რომლებიც მიღებულ დავალებას — ქვეყნის დანგრევა-განადგურებაზე, უსიტყვოდ შეასრულებენ. დანგრეულ ქვეყანას ევროკავშირში კი არა, არანაირ კავშირში აღარასდროს მიიღებენ. ჩვენ მომავალი თაობა უნდა დავიცვათ, ამიტომ ბრძნული, ჭკვიანური გადაწყვეტლებაა მისაღები. ევროკავშირში ღირსეული პოლიტიკოსები რომ მოვლენ, გზა ევროპისკენ სწორედ მაშინ გაგვეხსნება. ეს 2030 წლის შემდგომ მოხდება. მანამდე ევროკავშირში გაწევრიანება ერთი დიდი ტყუილია. ხალხს სიმართლე უნდა ვუთხრათ. ჩვენ დასავლური ქრისტიანული კულტურის ნაწილი ვართ. სამწუხაროდ, დღევანდელი ევროკავშირის ბიუროკრატია თვითონ ევროპის კეთილდღეობას, მის ნამდვილ ფასეულობებსაც კი არ ემსახურება. აბსოლუტურად გაუგებარ იდეოლოგიას ავრცელებენ და უნდათ, ეს სხვა ქვეყნებსაც თავს მოახვიონ. ქართველი კაცი თავმოყვარე, ამაყი, ღირსების მატარებელია და ისეთ გაერთიანებაში არასდროს შევა, სადაც სანაცვლოდ უზნეობის დაკანონებას მოსთხოვენ.

— ბორელის შეშფოთებაზე რაღას იტყვით — საქართველო ავტორიტარიზმისკენ მიდისო...

— ავტორიტარისგან მესმის — პირდაპირ ასე დაწერეთ. ავტორიტარიზმია ზუსტად ის, რა ფორმითაც ჩვენს არჩევნებში ერევიან.

— ასეთი მწვავე რეზოლუციების ფონზე როგორ გაგრძელდება არჩევნების შემდეგ დასავლეთთან ურთიერთობა?

— ეს სამარცხვინო რეზოლუციები ევროპის ისტორიას უნდა დარჩეს. მომავალ ევროპარლამენტში ეს რეზოლუციები ჩარჩოებში ჩასმული კედლებზე უნდა ჩამოკიდონ — მომავალმა ევროპარლამენტარებმა უნდა იცოდნენ, ვინ იყვნენ მათ ადგილას და როგორ რეზოლუციებს იღებდნენ.

— ხუთ ნოემბერს ამერიკაშიც არჩევნებია, რამაც უნდა გადაწყვიტოს, სად იქნება საქართველოს ადგილი მსოფლიოში...

— ამერიკის არჩევნები მნიშვნელოვანია არამხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ზოგადად, მსოფლიოსთვის. პირველ რიგში, ომები უნდა შეჩერდეს და პროცესი მოლაპარაკების ფაზაში გადავიდეს. დიდმა ქვეყნებმა თავიანთი პრობლემები მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყვიტონ. ამერიკაში არჩევნების გზით მომხდარი ცვლილება სწორედ იმას უნდა ემსახურებოდეს, რომ მსოფლიოში მშვიდობამ დაისადგუროს. მეორე მხრივ, მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ამ დიდი გლობალური მსოფლიო გადანაწილების პროცესში აღმოვჩნდით, სადაც საქართველოს ფუნქციები გაზრდილია. ვგულისხმობ შუა დერეფნის პროექტს. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელი ქვეყანა ვხდებით, რომლის მეშვეობით — ლოჯისტიკით, ტვირთბრუნვით საქართველო ეკონომიკურად წინ წაიწევს. ეს ნიშნავს, რომ, როცა ჩვენი ბიუჯეტი ორჯერ ან ერთ-ნახევარჯერ გაიზრდება, ეს ხელფასების, პენსიების გაზრდაზე, ხალხის დასაქმდებაზეც აისახება. თუ საქართველოში მშვიდობა შენარჩუნდება, ხუთ წელიწადში წინსვლა ხელშესახები იქნება და სიმდიდრე ყველა ოჯახში შევა. ამიტომ კარგად დავფიქრდეთ, რაში ვცვლით სამშობლოს. სამშობლო ვიზებში არ იცვლება. ევროპაში შესვლა მაშინ გვენდომება, როცა იქ სამართლიანობა იქნება. მსოფლიოში სიმართლემ, სამართალმა უნდა გაიმარჯვოს. დამოუკიდებელი ქვეყნის არჩევნებში ასეთი პირდაპირი ჩარევა გინახავთ სადმე? ეს ევროპული საქციელია?

ქართველები თავმოყვარე ხალხია და გრძნობენ, მათ როგორ ეპყრობიან — პატივისცემით, თუ როგორც მონას. ჩვენ ღირსება და თავისუფლება უნდა შევინარჩუნოთ. ამისთვის თაობები იბრძოდნენ და ახლაც ასე განვაგრძობთ. ქართველებს არც ხელის ჩამორთმევა გვეშლება და არც ერთგულება, ოღონდ ეს თანასწორუფლებიანობას უნდა ეფუძნებოდეს.

— „ქართულმა ოცნებამ“ განახლებული სია წარადგინა. თქვენი აზრით, არის ეს გამარჯვების სია?

— ჩვენ სიით კი არა, საკუთარი სამშობლოს სიყვარულით უნდა გავიმარჯვოთ. „ქართულ ოცნებას“ სიაში ღირსეული ადამიანები ჰყავს. ამ სიაში აბსოლუტურად ყველა ქართველი ვართ. ეს უნდა იყოს სია, რომელიც საკუთარი სამშობლოს გადასარჩენად იბრძვის. ეს საეტაპო არჩევნებია. სამყარო მსოფლიო გადანაწილების პროქსიიმშია გახვეული. ის ქვეყნები გადარჩებიან, რომლებიც საკუთარ იდენტობას შეინარჩუნებენ. სხვის ნარატივში არ უნდა მოვექცეთ, თორემ

ჩვენც ისე მოგვექცევიან, როგორც რიგ ქვეყნებს ექცევიან. პატივისცემა უნდა დაიმსახურო და მერე დაგაფასებენ. დიახ, მთელი მსოფლიო პატივისცემით მოგვეპყრობა როგორც ღირსეულ ერს, რომელიც სამშობლოს გადასარჩენად ფეხზე დადგა. აი, რა უნდა გავაკეთოთ. მაშინ მეტ ნდობასაც დავიმსახურებთ და ევროკავშირშიც ამაყად წელგამართული შევალთ და არა ასკინკილით.

— „ქართული ოცნების“ ახალ სახეებში ერთ-ერთი თქვენი მეუღლეც არის. რატომ გადაწყვიტა მან, ამ გუნდს შეერთებოდა?

— ქალბატონებს მომავალი თაობების, შვილების დაცვის ძლიერი ინსტინქტი აქვთ. განსაკუთრებით, ქართველ ქალბატონებს. ეკამ ჩათვალა, რომ უფრო აქტიური უნდა იყოს, რათა მომავალი თაობა გადაარჩინოს — ისინი სხვისი ინტერესების გამო სხვის ომში სანგრებში არ უნდა აღმოჩნდნენ. ეკამ გადაწყვიტა, ამ ინიციატივით დედებს, ქალბატონებს ხმამაღლა მიმართოს. ისტორიულად არაერთმა ქალმა გადაარჩინა ქვეყანა, შეგვინარჩუნა იდენტობა. ისინი სამშობლოს ღირსეულ ვაჟკაცებს უზრდიდნენ.

— რა შედეგით დასრულდება არჩევნები?

— თუ სამართალი არსებობს, „ქართულმა ოცნებამ“ დიდი უპირატესობით უნდა გაიმარჯვოს, რადგან საქართველოში ცხოვრობს ხალხი, რომელსაც თავის სამშობლო უყვარს და ძალიან კარგად ესმის, რა საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა.

— ოპოზიციურ კონფიგურაციებს რა შანსები აქვთ არჩევნებში?

— ამ კონფიგურაციებზე საერთოდ არ ვფიქრობ, რადგან ისინი ნულზე დაბლა არიან. ოპოზიცია ლობისტების განცხადებებზე დგას. მათ არც სინდისი აქვთ, არც ნამუსი, არც ნიჭი, არც გონიერება. მარში მოაწყვეს, რითაც დასავლეთს უთხრეს: მზად ვართ, თქვენი თავდახრილი, ყურმოჭრილი მონები ვიყოთო. ეს აქცია ევროპის, თავიანთი ლობისტების ინტერესების გამო გამართეს.

— ევროპა ივანიშვილს დასანქცირებით ემუქრება, სამაგიეროდ, მიშას გათავისუფლებას მოითხოვს...

— ეს ხომ აბსურდია. მათ, ვინც ივანიშვილის დასანქცირებას ითხოვს, ამის გამო მალე შერცხვებათ. ზოგადად, ადამიანი მის მიერ გაკეთებული საქმეებით ფასდება. ივანიშვილმა და მისმა ოჯახმა ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს. მათი სახელი არაერთ თაობას დარჩება, ოპოზიციის სახელი კი არავის ემახსოვრება. დავსვათ შეკითხვა: ვინ ჩამოიტანა იოანე ზოსიმეს ხელნაწერი, ვინ ააშენა სამების საკათედრო ტაძარი, ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, დენდროლოგიური პარკი, ვინ დააბრუნა საქართველოში ფიროსმანის ნახატი, ვინ აღადგინა ეკლესია-მონასტრები, სპორტი ვინ ააღორძინა — ბიძინა ივანიშვილმა. ეს მოკლე ჩამონათვალია, რაც მან და ფონდმა „ქართუმ“ ქვეყნისთვის გააკეთეს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: ივანიშვილს უსამართლოდ დაუყადაღეს 2-მილიარდიანი აქტივი. ეს თანხა რეალურად, ივანიშვილს კი არა, ქართველ ხალხს დაუყადაღეს, რადგან მას ამ ფინანსებით ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტები უნდა განეხორციელებინა. ადრე თუ გვიან სამართალი გაიმარჯვებს. მოდი, იმაზე ვიზრუნოთ, რომ ჩვენი, როგორც ქვეყნისა და ნაციის არსებობა, გაგრძელდეს. ქვეყნის სათავეში ცუდი ხელისუფლება მაშინ მოდის, როცა კარგი ადამიანები არჩევნებზე არ მიდიან. ამიტომ, მოვუწოდებ კარგ ადამიანებს, საკუთარი ქვეყნის ღირსების დასაცავად არჩევნებში იაქტიურონ.

თამარ შველიძე



საბრალდებო დასკვნა

„მე ხვალ თქვენთან ერთად ვიქნები! — 19 ოქტომბერს გაამხნევა სალომე ზურაბიშვილმა 20 ოქტომბერს ევროპისკენ მიმავალი „არჩევნებამდე ბოლომარშელები“. მანამდე, „თბილისი პრაიდის“ დირექტორი, თამარ ჯაყელი გამოურკვეველსქესდა და განაცხადა: „ორი პარასკევი დარჩათ ქოცებს, დავიწყებთ ქვეყნის ევროპულ რელსებზე დაბრუნებას!“ — დაგვექადნა და 20 ოქტომბერიც დადგა.

ამ ორი სუბიექტის ერთად დგომა არ გამკვირვებია, სალომე ზურაბიშვილი ხომ იმ ქალთაგანია, რომელსაც „განა ყველა ქალი ქალია“ ჰქვია. შესაბამისად, არც მათი ევროპისკენ ერთად სწორება გამკვირვებია, მხოლოდ ის მაინტერესებდა, რამდენნი იყვნენ, ჩაეტეოდნენ თუ არა ერთ ეშელონში წარწერით: „საქართველოს წინააღმდეგ!..“

მიხაილ როთმა, თითქოს მართლა ფრიად საყურადღებო პერსონა იყოს, წინსწრებით განაცხადა, რომ 100 000-იანი მარში, ევროპისკენ მიმავალი ლაშქარი იკრიბებოდა. ძალიან მაინტერესებდა, რამდენი მკვლელი მანიაკი, ლგბტ და რუსეთთან მეომარი უსამშობლო იყო სრულიად საქართველოში, ამიტომ, თვალი მივადევნე.



„ხალხის ორგანიზებული“ დაარქვეს ამ შეკრებას და დაე, აბრიყვონ, ვისაც გაბრიყვება უნდა, მაგრამ სრულიად საქართველო ასე ცოტა ხალხია და ისიც, 50-ლარიანები? მეტი არ ღირან?

კამერებს რომ გაურბოდნენ, მეტწილად, საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონიდან (ჩემი საყვარელი ქალაქია, არ დავასახელებ, კილო-კავი ჰყიდით ყოველთვის) ჩამოყვანილები, ისინი რომელ ევროპაშიღა მიდიან ნეტავ, იმ ხვავ-ბარაქიან კუთხეში ამ შუა შემოდგომაზე საქმე გამოელიათ, თუ სოფლის ტიპიური „ბირჟავიკები“ არიან, მუქთაზე თბილისში გამოისეირნეს და თან მცირე ხეირიც ნახეს?

მე რაც ვნახე, მოკლედ ასე გადმოიცემა: 20 ოქტომბერს შეიკრიბნენ „თავისუფლება მიშას!“ მუდმივი ფანატი კონტინგენტი, „თბილისი პრაიდის“ მუდმივი ჟამკარარეული კონტინგენტი, გრანტიჭამია უსამშობლოებით დაკომპლექტებული 140 არასამთავრობო ორგანიზაცია და ე. წ. რადიკალური ოპოზიცია, ანუ ყველა ამ ძირითადი ჩამონათვალიდან გამოცალკავებული, წარმატებული უსაქმური და ხელობის არმქონე „ფულისტი“ მავნებლები. შეიკრიბნენ, დადგნენ ევროპულ რელსებზე და მიუხედავად „დიდი მუსიკოსების“ მიერ გასამართი „დიდი კონცერტის“ რიგითობისა, საიდანაც მოიყვანეს, იქით გაუყვნენ გზას თავიანთ სახლებში 50-ლარიანები. დარჩა „ნაღები“ და ევროპულად უსმენდნენ კონცერტს იმ მუსიკალური ჯგუფებისა თუ ცალკეული შემსრულებლების მონაწილეობით, რომლებიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ, იმავე წელსვე, დიდი სიხარულით მღეროდნენ რუსეთში და, ფაქტობრივად, რუსეთიდან აიდგეს ფეხი სცენაზე, ამის შემდეგ წამოყელყელავდნენ და გახდნენ ცნობადები.

აუტანლად საყვარლები არიან, საქართველოს ლამის მთელი ენერგომატარებლები რუსეთს მიჰყიდეს და ახლა თვითონ ევროპაში მიდიან სამშობლოს ღალატში აღებული რუსული ფულით, გნებავთ, ევროპული და ამერიკული ფულით... ვინ სად წამსვლელია, რომელი მათგანი სჭირდება ევროპას ლაქიად მაინც? კრებსითი დასავლეთისთვის ესენი აქ არიან საჭირო, შავი სამუშაოების შესასრულებლად...

ძალიან ცდილობდნენ, ევროპულად შეეფუთათ თავისუფლების მოედანზე უსამშობლოების, მკვლელებისა და პიდარასტების შეკრება, მაგრამ ვერ შედგა მათი გამიზნული იერსახის მარში. პარალელურად მიმდინარე თემქის ხევის გახსნაზე, თემქიდან და მიმდებარე რაიონებიდან მისული მეტი ხალხი და მეტი ევროპულობა იყო, „თავისუფლების მოედანზე“ სრულიად საქართველოდან მიყვანილების ნაკრების თავყრილობაზე.

სრულებით არ დამაინტერესებდა საქართველოსა და ქართველი ხალხის ფსკერზე მოგდებული ნალექის ამბავი, მაგრამ ის ქალი, სალომე ზურაბიშვილი, რაგინდ „კოჭლი იხვი“ იყოს, მაინც საქართველოს პრეზიდენტად ითვლება და მის ნაცვლად მე მრცხვენია, რომ ის ასეთი უვარგისი გამოდგა ჩემი სამშობლოსთვის...

ზოგადად კი, იქნებ, არც არაფერს უნდა ვერჩოდეთ ამ ქალს, საქართველო ხომ მისი სამშობლო არ არის, ის ხომ უსამშობლოა და ყოველთვის ისე მოიქცევა, როგორც უსამშობლოსგან უნდა ელოდე... მასზე ის ნათქვამიც კი ვერ გადადის, რაც პრეზიდენტმა რუზველტმა დიქტატორ ანასტასიო სომოსაზე თქვა: „შეიძლება იგი ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილია“...

1992 წელი დადგა. 6 იანვარი უკვე მომხდარი იყო, როდესაც გავიგე, რომ ვიღაც სალომე ზურაბიშვილს სამადლობელი დეპეშა უფრენია: „ზვიად გამსახურდია, როგორც დიქტატორი, დაამხო დემოკრატიულმა ძალებმა. ამისთვის თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ სიგუასა და მთელ ოპოზიციას — დიდი მადლობა. სალომე ზურაბიშვილი. 1992 წელი, 7 იანვარი.“ მაშინ ვიკითხე მისი ვინაობა, მაგრამ გვარ-სახელმა არაფერი მითხრა...

სააკაშვილი ახალი მოსული იყო ხელისუფლებაში, როდესაც ფეხდაფეხ მოიდევნა ვიღაც ქალი, საფრანგეთში გაზრდილი ქართველი, სალომე ზურაბიშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა. ხან ვის ვკითხე და ხან ვის, ეს ის ქალია, ზვიად გამსახურდიას მტერ სამეულს, „პუტჩისტებს“ მადლობის წერილი რომ გამოუგზავნა-მეთქი? ვისაც ვეკითხებოდი, არცერთი აზრზე არ იყო, რა სამადლობელ წერილზე ვეუბნებოდი.

ერთ დღეს დიდი ხნის უნახავი ამხანაგი შემხვდა. მოვიკითხეთ ერთმანეთი და აღშფოთებულმა მითხრა, ეს ვინ მოათრია ამ ვირიშვილმა სააკაშვილმა, ვინ არის ეს ქალი, ლამის ქუჩაში დამიტოვა უსაბუთოდ მამა შუაგულ ევროპაში, ოფიციალური საბუთები გაუქმა ქართველებსო. მაშინ მასაც ვკითხე, იყო თუ არ იყო, „ეს ქალი“ და „ის ქალი“ ერთი და იგივე ადამიანი, მაგრამ არც მან იცოდა.

ეს რა სამარცხვინო ქალია, ოღონდ, თავი რამედ წარმოეჩინა და, ახლა ევროკავშირის ელჩსაც კი მოსცხო ჩირქი, მხარს ჩვენ გვიჭერსო, — თავის სამართლებლად გაუხადა საქმე...

იმ დროისთვის მე უკვე ვიცნობდი ცხონებულ იაკობ ახუაშვილს და მას ვკითხე, ბატონო იაკობ, ეს ის ქალია, „პუტჩისტებს“ რომ სამადლობელი წერილი გამოუგზავნა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის გამო-მეთქი? ძლივს სწორად მივაგენი შეკითხვის ადრესატს — გვარებზე უნდა გვესაუბრა და გვერდზე გადავუხვიეთ...

ჩვენი საუბარი პირველად შარშან გამახსენდა, ამ ქალმა, სალომე ზურაბიშვილმა, საქართველოს პრეზიდენტად წოდებულმა „კოჭლმა იხვმა“. ნიკა გვარამია რომ შეიწყალა. რამდენად სწორად იყო ინფორმირებული ბავშვივით ალალი ბატონი იაკობი, არ ვიცი, მაგრამ რაც უცბად გამახსენდა, მისი მოკლე ჩამონათვალი ასეთია: „300-თა კომიტეტმა“ საექსპერიმენტო ქვეყნად საქართველო აირჩია და ახორციელებდნენ და კვლავაც განახორციელებენ თავიანთ მიერ დაგეგმილ პროექტებს;

სალომე ზურაბიშვილი და ჯანრი კაშია „მასონთა ლოჟის“ აქტიური წევრები იყვნენ და იმ დრომდე სოროსისა და „300-თა კომიტეტის“ მიერ იმართებოდნენ;

ზურაბიშვილმა ფრანგული კარიერა თავისი ბიძაშვილის, დანკოსის დახმარებით დაიწყო. ელენ დანკოსი საფრანგეთის ექსპრეზიდენტის, ჟაკ შირაკის მრჩეველი იყო; ასეთი ახლობლისა და „მალტის ორდენის“ წყალობით დაინიშნა იგი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად...

კიდევ ბევრი ვისაუბრეთ, უკვე გვარებზე, მაგრამ ერთი ფრაზა დამამახსოვრდა: აგერ, შეხედე, უკვე რამდენჯერ უყივლა როსკიპი ბებიის გენებმა და კიდევ უარესს იზამს, რადგან „მაგარი ზურგი“ აქვსო... რა იგულისხმა, მივხვდი, მაგრამ აღარ ჩავძიებივარ, რაღაცნაირად, ვერ ვიჯერებდი და ვერც ახლა ვიჯერებ, მით უფრო, რომ ჭორიკანა კაცმა, ნიკა გვარამიამ წამოაძახა...

საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია, — ამ ქალის გამო ვიდექი იპოდრომზე იმ ქარაშოტში და ამ ქალის გამო ვზილე იპოდრომის ტალახი? ამ ქალის დაძახილზე წავედი? ამ ქალის გამო, შეიძლებოდა, ჩემთვის ნეკნები ჩაემტვრიათ მიშას ზონდერებს და მაინც წავედი?!

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საარჩევნო უბნისკენ არც გამიხედავს, მაგრამ მეორე ტურზე წავედი და ამ ქალს მივეცი ხმა, რადგან არჩევანი ცუდსა და უარესს შორის უნდა გაკეთებულიყო — ერთ მხარეს გრიგოლ ვაშაძე იდგა, მეორე მხარეს — სალომე ზურაბიშვილი...

ამ ქალზე უარესი რანაირადღა იქნებოდა ძია „შტაბ-კვარწირა“ გრიგოლი, უარესს რას მოიმოქმედებდა, რუსეთთან „მეორე ფრონტის“ გახსნას მაინც არ მოითხოვდა და კიდევ „რაღაცებს“, მაგრამ სანქცია „ნაცი“ ისეთი ამაზრზენია, ამ უსამშობლო ქალს მივეცი ხმა, სხვა არჩევანი არ იყო...

...და ბოლოს, როდესაც მკვლელების, მწამებლების, სამშობლოს უარმყოფელებისა და პედერასტების გვერდზე დგახარ, მათ აზრებსა და შენი სამშობლის წინააღმდეგ მავნებლურ შეხედულებებს იზიარებ, შენც იგივე ხარ, რაც ისინი!..

26 ოქტომბერს შევხვდებით!

მაია ჯელიძე

შეხვედრის ადგილი - ლიბერალური ფაშიზმის საფლავი

„ბელა ჩაო“ — ამ სიმღერის გამო უფრო გამეტებით სცემდნენ სააკაშვილის ზონდერები დაკავებულ ადამიანებს 26 მაისის დადგომისთანავე შეძახილით – „აბა, ეხლა იმღერე „ბელა ჩაო“, მე შენი დედაო“...

მოდენის მთებში დაბადებულ იტალიური წინააღმდეგობის მოძრაობის ჰიმნს ბევრგან ასრულებდნენ ადამიანთა ჯგუფები გარკვეული დამოკიდებულების გამოსახატად, მაგრამ ევროპარლამენტშიც თუ წაიმღერებდნენ, ნამდვილად არ მოველოდი.

მაშასადამე, ევროპარლამენტარების გარკვეულმა ჯგუფმა, ყოველ შემთხვევაში, იმათ მაინც, ვისაც სრულიად ევროპისა და ამჯერად უკვე საქართველოს მმართველ-მბრძანებლებადაც მიაჩნიათ თავი, ვიქტორ ორბანი ფაშისტური მიდრეკილების ადამიანად მონიშნეს, მისი სამართლიანი შენიშვნა-მითითებები კი ფაშისტურ გამოვლინებად. არადა, რა თქვა ორბანმა ასეთი — უნგრეთმა ანგარიში წარადგინა უნგრეთის თავმჯდომარეობის პერიოდის შესახებ და საჩვენებელი განქიქება მოუწყო ევროკავშირის წყალწაღებულ, კორუმპირებულ ლგბტ-პროპაგანდისტებსა და აშშ-ის მარიონეტებს.

წლების წინათ, როდესაც საქართველო სააკაშვილის დესპოტიზმისა და დიქტატურის ქვეშ გმინავდა, „გარდიანში“ გამოქვეყნებული იყო ფაშიზმის დამახასიათებელი 10 პუნქტი, რაც სრულად ესადაგებოდა საქართველოში არსებულ ვითარებას. იგივენი, ევროკავშირელები, დღეს რომ ორბანს „ბელა ჩაო“ წაუმღერეს, დაბრმავებულები, დაყრუებულები და ენაჩავარდნილები ბეჭედდარტყმული ფურცლით გვამცნობდნენ, რომ ის მანიაკი დიქტატორი „დემოკრატიის შუქურა“ იყო, ხოლო საქართველო „დემოკრატიის ზღვაში ნებივრობდა“.

ვნახოთ ათივე პუნქტი და შემდეგ დავასკვნათ, ვინ რა სულისაა, ვინ ფაშისტია და ვინ — წაიფაშისტებს...

1. შექმენით შიდა და საგარეო მტრის შემაშინებელი სახე;

2. ააშენეთ ციხეები – გულაგის მსგავსი – აუტანელი პირობებით;

3. შექმენით ხალხის შესაშინებლად საკუთარი მოიერიშე ბრიგადები;

4. მოახდინეთ მოქალაქეებზე თვალთვალი;

5. მოსვენება არ მისცეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

6. მოაწყვეთ თვითნებური დაჭერები და გათავისუფლებები;

7. შეაშინეთ ინტელიგენცია, მოაზროვნე ადამიანები;

8. დააწესეთ კონტროლი მედიის საშუალებებზე, განსაკუთრებით ტელევიზიაზე;

9. სხვანაირად/განსხვავებული აზროვნება აქციეთ სამშობლოს ღალატის სინონიმად;

10. მთელ ძალაუფლებას საკუთარ ხელში მოუყარეთ თავი.

დასავლელი ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებას, რომელიც ამ პუნქტებს იცავს – ქვეყანა ფაშიზმისაკენ მიჰყავს.

10-ივე პუნქტს 10-იანზე ასრულებდა სააკაშვილის ხელისუფლება, ანუ როგორც მათივე ექსპერტები აყალიბებდნენ, სააკაშვილს საქართველო ფაშიზმისკენ მიჰყავდა.

კარგი, ბატონო, მას ფაშიზმისკენ მიჰყავდა, მაგრამ თვით სააკაშვილი ვის მიჰყავდა საბელჩაბმული ცხვარივით სასაკლაოზე, საქართველო კი უფსკრულისკენ, მათვე ხომ არა, დღევანდელ ევროპასაც რომ იმავე საბელით მიაჩინდრიკებენ?

შემდეგ რა მოხდა — 2012 წელს სააკაშვილის მოფაშისტო დიქტატურა გადაიფიქრეს ახალი მსოფლიო ფაშიზმის გამოაშკარავებულმა „ძალიან დემოკრატებმა“ და თავიანთივე შექმნილი გაკაცებული თოჯინა-კაცუნა კვარცხლბეკიდან ჩამოაგდეს — ირანზე სერიოზული დარტყმა და რუსეთის გამოწვევით მესამე მსოფლიო ომის წამოწყება გადააგადეს დროებით და მანიაკი თოჯინაც დროებით აღარ სჭირდებოდათ, პირიქით, მათ უტეხდა სახელს, როგორც ტირანი მანიაკის შემქმნელებს.

ისევე, როგორც არ არსებობს ყოფილი ბოზი, ყოფილი კგბ-შნიკი, პროკურორი და ა.შ. ბევრი რამ ყოფილი, ისე არ არსებობს ყოფილი მონათმფლობელი, ან ყოფილი ფაშისტი, მით უმეტეს, თუ ფაშისტური სულის ადამიანში მონათმფლობელიც ცხოვრობს. სწორედ ამიტომ, მონაფლობელ-ფაშისტ-კოლონიზატორული სულის ნაკრები გაერთიანდა და გაჩნდა ახალი კასტა „კრებსითი დასავლეთი“. ამ კასტამ აიძულა ახალშობილი „ქართული ოცნება“, რომ კრიმინალური სახელმწიფო სისტემის შემქმნელების წინააღმდეგ სამართლებრივი ქმედებები არ წამოეწყო, ამავდროულად, მნიშვნელოვანი ფიგურები განარიდა საქართველოს — მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი დროებით გაიყვანა საქართველოს ავანსცენიდან, მიზანში ამოღებულ უკრაინაში გადაამისამართა და მეორადი გამოყენების მასალის ვარიანტში დაიბეგა.

ახლა რა ხდება — მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს, რომ არჩევანში შეცდნენ, „ქართული ოცნება“ ისე არ იცეკვებს, რომ კისერი მოიტეხოს დამკვეთი მაყურებლის საამებლად და საცეკვაო სცენის ფიცარნაგიც ჩახლიწოს, მყისიერად იფეთქა ყველა ლატენტური მონათმფლობელის, კოლონიზატორისა და ფაშისტის სულის ქვეცნობიერმა და ყველას, ვინც კი მიუთითა მათი რეალური სახისკენ — ნიღაბი გაისწორეთ, ჩამოგიცურდათო, თავს ესხმიან...

ჩვენ ბატონები კი არა, მეგობრები და პარტნიორები გვჭირდება, — თქვა კახა კალაძემ და გერმანიის ელჩმა, პიტერ ფიშერმა იფიქრა, წავიგველებო — „დღეს ვიღაცამ ავტოგოლი გაიტანა“, — განაცხადა კმაყოფილმა. „ავტოგოლები“ ამ უსირცხვილო ზნედაცემულების ნაკრებს რომ გააქვს, ისეთი უნდა, მათი ორგანიზაციის წევრებს საკუთარ კარებში შეგნებულად გააქვთ „გოლები“. თავიანთივე კავშირის წევრები ხან ერთი ბრალდებით რომ უყვირიან და ხან მეათე ბრალდებით დაჰკივიან.

პოლონელი ევროპარლამენტარი ახალგაზრდა ქალბატონი ისე დაჰკიოდა ურსულა ფონ დერ ლაიენს, რომ მე შემეშინდა: „თქვენ ხართ „მწვანე“ ევროპული შეთანხმების სახე, რომელიც ანგრევს ევროპის ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობას და ევროპის ეკონომიკას უკან ხევს. თქვენ ხართ კლიმატის სიგიჟის სახე, რის გამოც ევროპელები სულ უფრო და უფრო ღარიბდებიან. და ბოლოს, თქვენ ხართ ევროპის მიგრაციული პაქტის სახე და მე მოგმართავთ როგორც ქალი ქალს, დედა — დედას: როგორ არ გრცხვენიათ ასეთი მიგრაციული პაქტის მხარდაჭერის გამო, რის გამოც ევროპაში მილიონობით ქალი და ბავშვი საკუთარი ქალაქების ქუჩებში საფრთხეშია! თქვენ ხართ პასუხისმგებელი თითოეულ გაუპატიურებაზე, მკვლელობაზე, ტრაგედიაზე, რომლის მიზეზი არალეგალი მიგრანტების შემოდინებაა. ზუსტად თქვენ ეპატიჟებით მათ ევროპაში და, იმის გამო, რასაც აკეთებთ, თქვენ უნდა იყოთ ციხეში და არა ევროკომისიის პრეზიდენტი!“

ამ გახსენებაზე, ბრიუსელში სკანდალი რომ ატყდა, 6 ქვეყანა იყო დადანაშაულებული რუსულ ფონდებთან კავშირში (ჰოლანდია, პოლონეთი და ჩეხეთი დანამდვილებით მახსოვს, დანარჩენი სამი — არა), ეს ორგანიზაციები რუსული ფულით რუსულ საქმეს აკეთებენ ევროკავშირის ქვეყნებშიო და 16 დეპუტატი რომ იყო ეჭვმიტანილი, ეს ამბავი როგორ დამთავრდა ნეტავ, რა ჰიმნი უმღერეს მათ, „კატიუშა“? რას გაიგებ ფულისტებისას — „არა რუსულ კანონს!“ კი აყვირებენ ჩლუნგებს, აბა, „არა რუსულ ფულს!“ რომ აყვირონ, რა ხეირია, არა და ნუო, ეტყვიან და დარჩებიან ხახამშრალი.

კიდევ ერთი ევროპარლამენტარის გამოსვლას გაგახსენებთ იმის ნიშნად, რომ იქაც ყველაფერს კარგად ხედავენ: „საქართველოსთან დაკავშირებული რეზოლუცია წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ უცხო სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევას. ევროკავშირის წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება, მხარი დაუჭირონ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ დინებებს. ევროკავშირის პროპაგანდისტები დისკრიმინაციას უწევენ „გამჭვირვალობის კანონს“ იმის მიუხედავად, რომ ეს კანონი სრულად ლეგიტიმური და ლეგალურია. ამ კანონში არ არის არცერთი მუხლი, რომელსაც ვერ ვნახავთ იაპონიაში, ისრაელში ან აშშ-ში. ჩემი წინამორბედი მოსაუბრე, ბატონი როთი და ევროკავშირის სხვა უცხოელი აგენტები, გამოვიდნენ დემონსტრაციაზე თბილისში და პროპაგანდას ეწეოდნენ არჩეული პარლამენტისა და მთავრობის წინააღმდეგ. ამით მათ ხელი შეუწყვეს ქვეყნის შიდა დაყოფას და კონფლიქტს. დასავლეთიდან მოდიან პოლიტოკოსები, რათა დემონსტრანტებს მხარი დაუჭირონ და სიტუაციის რადიკალაზაცია გამოიწვიონ. არ აქვს მნიშვნელობა, რა მიზანს ემსახურება ჩარევა, ჩარევა არის ჩარევა!“

ერთი რამ მაინტერესებს და, ვფიქრობ, სრულიად მართებულია, ვიკითხო კიდეც: ამ მეტწილად მიკერძოებული, კორუფციაში ეჭვმიტანილი და მართული ორგანიზაციის დროშის დაწვის, დახევის ან ჩამოგლეჯის გამო დასჯილი ადამიანების შეხედვის, მას შემდეგაც არ შერცხვება მათ ბრალმდებელს, როცა ეს ორგანიზაცია საბოლოოდ ჩამყაყდება? ევროპაში წვავენ და აბიჯებენ უკვე ყელში ამოსული სახელგატეხილი ორგანიზაციის დროშას და, საქართველოში რა დიდებულება სცხია ვარსკვლავებიან ლურჯ ჩვარს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფლიდი ორგანიზაციის დროშაა, ვერაფერი გამიგია.

რანაირადაც იქცევა ევროკავშირელების უმრავლება საქართველოს მიმართ, კარგად ვხედავთ, ვიქტორ ორბანი კი იქვეა და ბევრად უკეთ ხედავს, რასაც სხვა პატიოსან ევროპარლამენტარებთან ერთად ხმამაღლაც ახლის პირისპირ დგომისას მოურიდებლად: „2023 წელს ევროპამ რუსეთისგან იყიდა 44%-ით მეტი ნავთობი, ვიდრე მანამდე. ამ კომპანიების საგადასახადო შემოსავლები რუსეთის ბიუჯეტში შევიდა და, ამის

შემდეგ თქვენ ჩვენ გვდებთ ბრალს რუსეთთან მეგობრობაში? — თქვენ აფინანსებსთ რუსეთს! უკრაინაში კონფლიქტის დაწყების შემდეგ შეიძინა ევროკავშირმა თურქეთისა და ინდოეთისგან 8,5 მლრდ ევროს მოცულობის რუსეთის ნავთობი... მე მოვიტან ციფრებს — ყოველ თვეში, ევროკავშირს ცენტრალურ აზიურ ქვეყნებში ექსპორტზე გააქვს მილიარდობით დოლარით მეტი საქონელი, ვიდრე კონფლიქტამდე. რატომ? იმიტომ, რომ ამ სახით ევროპის ქვეყნები გვერდს უვლიან სანქციებს. გერმანული, ფრანგული და ესპანური კომპანიები ასე გაურბიან სანქციებს“.

შემდეგ ფონ დერ ლაიენის პრეტენზიას გადასწვდა, უნგრეთში რუსები მუშაობენო: „გასულ წელს ჩვენ ნებართვა 3000 რუსს მივეცით, რომ უნგრეთში ემუშავა. ჩვენთან სულ 7000 რუსი მუშაობს, გერმანიაში — 300 000 და ჩვენ გვადანაშაულებთ? ესპანეთში 100 000 რუსი მუშაობს და შენიშვნებს მე მაძლევთ? საფრანგეთში 60 000 რუსი მუშაობს და ამის შემდეგ თქვენ უნგრეთს აკრიტიკებთ, სადაც მხოლოდ 7000 რუსი მუშაობს?“

ურსულა ფონ დერ ლაიენს დიდსულოვნად აცალა სათქმელისგან დაცლა და შემდეგ ვიქტორ ორბანმა კიდევ ერთხელ აიღო სიტყვა, რითიც მიწასთან გაასწორა იგი ერთი შეხედვით, უბრალო შეკითხვით: „თქვენ გინდათ გვასწავლოთ ჩვენ კორუფციასთან ბრძოლა? თქვენ ამას სერიოზულად ამბობთ?“ რაზე მიანიშნა საჯაროდ ორბანმა, როგორც ფონ დერ ლაიენი მიხვდა, ისე მიხვდა ყველა — ადგილზეც, ევროკავშირშიც, მსოფლიოში და თვით საქართველოშიც — ცხადია, გამობენტერებულებს არ ვგულისხმობ.

არც ეკონომიკურ ურთიერთობებზე საუბრისას მოერიდა ვინმეს, — ჩვენ ღიად და გამჭვირვალედ ვეჯრობთ რუსეთთან, თქვენ კი, ვინც საიდან ხართ ჩამოსული, აზიის ქვეყნების მეშვეობით ვაჭრობთ და ასე არიდებთ თავს თქვენ მიერვე დაწესებულ სანქციებს, ანუ ფლიდები და მატყუარები ხართო. კაცმა ორმაგი სტანდარტების ქონაში პირდაპირ დაადანაშაულა ყველა მათგანი.

სიყალბეშია ჩაძირული ის ევროკავშირი, რომლისკენაც კურსი აქვს აღებული საქართველოს და რა ხიბლავს მასში, ვერაფრით გავიგე, მხოლოდ სახელი „ევროპა“, რომელიც ბავშვობაში ესმოდა და მხატვრულ ფილმებად ან მხატვრულ ნაწარმოებებში აღწერილ ამბებად აქვს წარმოდგენილი?

ევროკავშირის საბჭოს მოქმედი თავმჯდომარე, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ევროპარლამენტის წინაშე სიტყვით გამოვიდა, პრობლემებზე ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა პრობლემებზე გლობალური კონკურენტუნარიანობის კუთხით, არალეგალურ მიგრაციაზე, ბლოკის გაფართოებასა და ევროპის უსაფრთხოებაზე. ამ საკითხებისა და რუსეთ-უკრაინის, რეალურად კი ნატო-რუსეთის ომის შესახებ საკითხებზე წარმოიშვა მწვავე უთანხმოება მასსა და ფონ დერ ლაიენს შორის.

„რას ვხედავთ დღეს უკრაინაში, ევროპაში? ომი მძვინვარებს. სერიოზული კონფლიქტები იწვევს ნგრევას ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში. ყველა კონფლიქტი ესკალაციის საფრთხის წინაშეა. მიგრაციის დონე 2015 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ მაჩვენებელზეა. არსებობს მრავალი საფრთხე და არსებობს შენგენის ზონის დაშლის რისკი. ამავდროულად, მარიო დრაგი ამბობს, რომ ევროპა კარგავს გლობალურ კონკურენტუნარიანობას. ბატონმა მაკრონმა კი თქვა, რომ ევროპა შეიძლება მოკვდეს. ჩვენ ვართ ევროკავშირის ნაწილი იმის გამო, თუ რად შეიძლება იქცეს იგი მომავალში. თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ევროპის გაუმჯობესება შესაძლებელია, მაშინ ვიბრძოლებთ ამისთვის. უნგრეთი დაინტერესებულია ევროკავშირის გაუმჯობესებით. გვჯერა, რომ ჩვენი თავმჯდომარეობის წარმატება მთელი ევროკავშირის წარმატება იქნება. მოდით, ევროპა კვლავ დიდებული გავხადოთ “, — ფაქტობრივად, ორბანმა თქვა, ასეთი ევროკავშირი არ გვხიბლავსო და ატყდა ალიაქოთი, ევროპარლამენტარების ნაწილი მხურვალე აპლოდისმენტებით გამოეხმაურა, ნაწილმა კი „ბელა ჩაოს“ სიმღერა წამოიწყო.

აქ რა უცნაური ხალხი შეკრებილხართ, მე ის გითხარით, რომ ცვლილებებია საჭირო და მინდოდა შემომეთავაზებინა ჩემი ხედვა, თქვენ კი პარტიულ რინგად აქციეთ აქაურობაო;

ბოდიში, მაგრამ არ ვაპირებ, ვალში ვიყო ვინმესთან, თუ თავს დაესხმებით უნგრეთს, მე ჩემს ქვეყანას დავიცავო;

ეს რა პოლიტიკური ინტიფადა მოაწყეთ — უნგრეთის შესახებ მთელი ეს მემარცხენე სიცრუე სუფთა წყლის პროპაგანდაა;

არ მიკვირს, მაგრამ ევროკომისიის პრეზიდენტის ბრალდებები გასაოცარია, ევროკომისია ნეიტრალური ორგანო მეგონა და პოლიტიკური ორგანო ყოფილაო;

ევროკავშირს უკრაინის დამარცხება თუ არ სურს, უნდა მიმართოს პირდაპირ და ირიბ დიპლომატიას, მაგრამ ამათ რამეს გააგებინებო? — ბოლოს ასე გამოუვიდა ნათქვამი.

არც ქალისა და მამაკაცის, დედისა და მამის განსაზღვრება დავიწყებია და უფრო შეუნთო უსქესო ევროპარლამენტარებს, გათხოვილ თუ გამოთხოვილ მამაკაცებსა და ცოლიან თუ უცოლო ქალებს: „ჩვენს კონსტიტუციაში წერია, რომ ქორწინება — ეს არის ქალსა და მამაკაცს შორის კავშირი. ასევე, ნათქვამია, რომ მამა — ეს მამაკაცია, ხოლო დედა — ეს ქალია. თქვენ ამას ვერ გახდით სადავოდ. თუ თქვენ დაიწყებთ შეტევას ჩვენს ქვეყანაზე, მე დავიცავ ჩვენს ქვეყანას!“

ორბანმა ის ვერ გაიგო, ევროკავშირი ნეიტრალური ორგანოა თუ პოლიტიკური, მე კი ის ვერ გავიგე, საერთოდ, რა ორგანოა?

გადმოდგა ეს უსირცხვილო ჰერჩინსკი და კიდევ ერთხელ გაიმეორა მუქარა და აღარც მალავს, რომ ის და მისი ამფსონები ღიად ერევიან საქართველოს შიდა საქმეებში, არ აქვს მნიშვნელობა, ეს საქმე პოლიტიკურია თუ გარაჟების განაწილებას ეხება. სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ ვენის კონვენციაც და დიპლომატების ნეიტრალურობის შეგონებანიც, ბრძანებაა, რომ საქართველომ ბრიუსელისა და ვაშინგტონის მიერ მითითებული გზით იაროს — წადი, თქვენი სუვერენიტეტიცა და დამოუკიდებლობაცო.

რა გახდა ამ დედაფეთქებულების ქვეყნიდან დათხოვა?

ახლა 26-27 ოქტომბერს დაველოდები და მე-9 დღეს, როდესაც ლიბერალური ფაშიზმის საფლავზე გავალ, მაშინ დავდებ გადაწყვეტილებას, რა ჰანგი ვიმღერო, „ბელა ჩაო“, თუ „ჩაო ბამბინო, სორი“...

ზურა ოშხერელი

დასავლეთი ოპოზიციას ცვილის ფიგურებივით ათამაშებს

5 გვ.

არამედ არჩევნების მეორე დღისთვის — 27 ოქტომბრისთვის. მაგალითად, 11 ოქტომბერს ცესკოს თანამშრომლებთან მუქარის შემცველი სმს-ები გაიგზავნა. ანუ, ცესკო მიზანმიმართული დარტყმის ობიექტია, თანამშრომლებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხდება, რათა რომელიმე მათგანს ნებისყოფამ უმტყუნოს და ოპოზიციის პროვოკაციაზე წამოეგოს. არსებობს ინფორმაცია, რომ იგეგმება (ნაცმოსთან დაკავშირებული) თანამშრომლის მიერ ცესკოს დატოვება, თითქოს, მას უკანონობის შესრულება მოსთხოვეს და მან ეს დავალება არ შეასრულა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად ვრცელდება სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევები, რომელთა ნაწილი ოპოზიციური პარტიებისადმი მიკერძოების მაღალ ხარისხს აჩვენებს. საყურადღებოა, რომ ამ კვლევებით ხაძარაძეს და გახარიას ორნიშნა მონაცემები აქვთ, არადა რეალურად საარჩევნო ბარიერს ვერ ლახავენ. ამ კვლევებს სატყუარას ეფექტი აქვს, რათა ამომრჩეველი დაარწმუნონ, თითქოს ოპოზიციას არჩევნები გაუყალბეს და ამ მოტივით ხალხი ქუჩაში გამოიყვანონ.

კოლექტიური დასავლეთი ოპოზიციას როგორც ცვილის ფიგურებს, საკუთარი პოლიტიკური დირექტივის შესაბამისად, ათამაშებს. მიღებულია დავალება — არ იქნას აღიარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები და ხალხის ქუჩაში მობილიზება მოხდეს. ოპოზიციას სურს უმართავი პროცესები მაშინ, როცა პოლიტიკურად გაზრდილ ამომრჩეველს სურს პოლიტიკური გადაწყვეტილება საარჩევნო ურნასთან მიიღოს.

თამარ შველიძე

მარში და დემარში

9 გვ.

ბის აღდგენაა. ამის სიგნალი არსებობს?

— დიახ. ეს ძალიან რთული, ფრთხილი პროცესი იქნება. მით უმეტეს, რომ მზაობა არის. ოღონდ, ნურავის ეგონება, რომ ხვალ ცხინვალს და სოხუმს ჩაგვახუტებენ. ეს მოლაპარაკებების რთული პროცესია. არსებობს ბოდენის დოკუმენტი. როცა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში მინისტრის მოადგილე ვიყავი, ამ დოკუმენტის ბევრი პუნქტი გავიარეთ, რჩებოდა მხოლოდ პატარა ნაბიჯი იქამდე, რომ 2002 წელს გალში ლტოლვილების დაბრუნება დაწყებულიყო. და სწორედ ამ დროს გადმოსხეს დესანტი საკაშვილისა და რულოვსის სახით. მათ საქართველო არიეს, არადა, უკვე მოლაპარაკების პროცესი იწყებოდა. გალში პირადად ვიყავი, რუსლან ქიშმარიას შევხვდი, მოლაპარაკებებში ვმონაწილეობდი და ზუსტად ვიცი, ეს როგორადაც დამთავრდებოდა, რომ არა საკაშვილის გამოჩენა. აქვე მინდა ვთქვა, ამ დესანტის მთავარი სულისჩამდგმელი რულოვსი იყო. იგი გახლდათ პირველი ვიოლინო. ახლახან რულოვსმა განაცხადა, რომ საქართველოდან მიდის. ეს იყო სიგნალი იმისა, რომ საქართველოში გადმოსხმული დესანტი ქვეყანას ტოვებს. ანუ მისია ან შესრულებულია, ან ვერა და გადიან. ასე რომ, ვიცი, რას ნიშნავს, როცა მოლაპარაკება ამოიქექება.

— ოპოზიცია ამტკიცებს, ხელისუფლება ოკუპირებული ტერიტორიების რუსეთისთვის გადაცემას აპირებსო...

— „ქართულმა ოცნებამ“ კი არა, მიშამ თავის ხელით ჩააბარა რუსეთს ყველაფერი. დაურთეთ ინტერვიუს გადაცემული სტრატეგიული ობიექტები და ყველაფერი ცხადი გახდება. ჩემი აზრით, მიშა ამდენ ხანს საავადმყოფოში რომ არის, ეს ჩრდილოვანი მოლაპარაკების შედეგია, რათა ციხეში არ ჩასვან. ციხე კონტროლის ქვეშაა. თუმცა ის ისეთი სტრუქტურაა, სადაც პატიმრის მკვლელობა თუ მოინდომეს, ამას კიდეც გააკეთებენ. საკაშვილს გარანტიები სჭირდება და ვფიქრობ, სახელმწიფოსგან კიდეც მიიღო. ეს თამაშის ნაწილია. მთელი მსოფლიო თამაშობს. ჩვენ პატარა ჭანჭიკები ვართ. ღმერთსა და ეშმაკს შორის საჭადრაკო პარტიაა გამართული. ვინც უფალს ვიწამებთ, გადავრჩებით.

თამარ შველიძე

ვინ გააამხილა ისრაელის საიდუმლო გეგმა?

მსოფლიოში დულილის პროცესმა მაქსიმუმს მიაღწია, მაგრამ არავინ იცის, რა იხარშება პოლიტიკურ ქვაბში. უკვე ერთი წელია, ცეცხლის ალშია გახვეული ახლო აღმოსავლეთი, მაგრამ ომი გასცდა ღაზას სექტორის ფარგლებს და მეზობელ ლიბანში გადაინაცვლა. ისრაელის ხელისუფლება სამხედრო ოპერაციის დასრულებას არ აპირებს. უფრო მეტიც, ირანზე თავდასხმისთვის აქტიურად ემზადება, რისთვისაც შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა.

სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა გასულ კვირას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისრაელში შემუშავებული ირანზე თავდასხმის საიდუმლო გეგმა პრესისთვის ხელმისაწვდომი გახდა. როგორც იუწყებიან, ისრაელის ხელისუფლებამ აღნიშნული გეგმა აშშ-ში ჩაიტანა თეთრი სახლისთვის გასაცნობად და პენტაგონთან კონსულტაციებისთვის.

როგორ მოხდა საიდუმლო დოკუმენტის გაჟონვა, ჯერ უცნობია. აშშ-ის სპეცსამსახურებმა უკვე დაიწყეს მომხდარზე მოკვლევა. რა შედეგებს დადებს გამოძიება, მომავალში გამოჩნდება. დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გასაჯაროებულ საიდუმლო დოკუმენტებზე დაწყებული საქმის მიჩუმათებას ძალოვანები ვერ შეძლებენ.

ამ დროს კი, ლიბანსა და ღაზას სექტორში ისრაელის არმია განურჩევლად ბომბავს საცხოვრებელ სახლებსა და საავადმყოფოებს, რის შედეგადაც იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა, ძირითადად, ბავშვები და ქალები. გასული კვირის ბოლოს ერთ დღეში ისრაელის არმიამ ლიბანსა და ღაზაში 175 სამიზნე დაბომბა. მნიშვნელოვნად დაზარალდა საცხოვრებელი კვარტლები, დაინგრა საავადმყოფო, არის მსხვერპლი მოსახლეობას შორის.

შემაშფოთებელია ის გარემოებაც, რომ ისრაელის არმიის სამიზნე გახდა გაერო-ს ლიბანში განთავსებული დროებითი სამშვიდობო ძალები, რომლის თანამშრომლები უკვე ღიად ჩივიან, „ხალხი ჩვენგან ელოდება დაცვას, მაგრამ დასაცავები ჩვენ გავხდითო“. შეგახსენებთ, სამშვიდობო ძალები იქ 1972 წლიდან იმყოფებიან, მაგრამ მსგავსი შეტევები მათზე არასოდეს განხორციელებულა.

მომხდარით შეშფოთებულები არიან ისრაელის უახლოესი მოკავშირე ქვეყნები. საფრანგეთში, საგარეო საქმეთა სამინისტროში საბჭოს დახურულ სხდომაზე გამოიძახეს ისრაელის ელჩი. საფრანგეთის პრეზიდენტმა მკვეთრად გააკრიტიკა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ. „ბატონმა ნეთანიაჰუმ არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი ქვეყანა თანამედროვე სახით გაერო-ს გადაწყვეტილებით შეიქმნა და ამიტომ არ უნდა დაარღვიოს ამ ორგანიზაციის მიერ დაწესებული წესები“, — განაცხადა მაკრონმა სხდომაზე“. იუწყება გამოცემა „პარიზიენი“.

მაკრონს მხედველობაში ჰქონდა გაერო-ს 1947 წლის გენასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილება — ტერიტორიის გაყოფა და იქ ორი სახელმწიფოს, არაბული ქვეყნისა და ისრაელის ჩამოყალიბება. ისრაელის სახელმწიფო კი ჩამოყალიბდა, მაგრამ პალესტინა დღემდე არაღიარებულია.

ისრაელსა და საფრანგეთს შორის პოლიტიკური ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც ორი კვირის წინ მაკრონი გამოვიდა წინადადებით, ისრაელს შეიარაღების მიწოდება შეუწყვიტონ. მაშინ ევროპული ქვეყნები დუმილით შეხვდნენ მაკრონის წინადადებას, გასულ კვირას მისი აზრი უკვე გაიზიარეს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-ნოელ ბარომ განაცხადა: „...სამშვიდობო ძალები რეგიონში უნდა დარჩნენ და შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ცეცხლის შეწყვეტის მისაღწევად“.

სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ისრაელის ხელისუფლებაზე, აშშ-ია. თუმცა, ახლა იქ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გაცხოველებული სამზადისია. თეთრი სახლის ადმინისტრაციას არავისთვის სცალია, რითიც ისრაელის მაღალჩინოსნები სარგებლობენ. მიუხედავად ამისა, გასულ კვირას აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა და თავდაცვის მინისტრმა ენტონი ბლინკენმა და ლოიდ ოსტინმა ოფიციალური წერილები გადასცეს თავიანთ კოლეგებს — რონი დერმერს და იოავ გალანტს. ისრაელის ტელეკომპანია „მე-12 არხის“ ინფორმაციით, დოკუმენტებში აშშ შეშფოთებას გამოთქვამს ღაზას სექტორში შექმნილი კატასტროფული ჰუმანიტარული სიტუაციის გამო და მოუწოდებენ, ნოემბრის შუა რიცხვებამდე გამოასწორონ ვითარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იარაღის მიწოდების შეწყვეტით იმუქრებიან.

აღნიშნული მუქარა-ულტიმატუმი მას შემდეგ გადასცეს, რაც ცნობილი გახდა, რომ აშშ ისრაელში ჰაერსაწინააღმდეგო უახლოეს დანადგარებს განათავსებს. მხოლოდ იმ დათქმით, რომ აღნიშნულ ტექნიკას ამერიკელი სამხედროები გაუწევენ ექსპლუატაციას. სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ დანადგარების ეფექტიანობას და იმას, რომ მათ ბალისტიკური რაკეტების განეიტრალება იოლად შეუძლიათ. აღნიშნული იარაღი დაეხმარება ისრაელის სამხედროებს, წარმატებით მოიგერიონ ირანის მხრიდან საჰაერო შეტევები. ირანის მხარეს განთავსებული დანადგარების შესახებ ჯერჯერობით ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია. ისრაელის ხელისუფლება წაყენებულ პრეტენზიებს არ იღებს და აცხადებენ, რომ ანკლავში 900 ათასი ტონა ჰუმანიტარული ტვირთი შეიტანეს.

ისრაელის მოსახლეობა კვლავ ჯიუტად ითხოვს მოქმედი ხელისუფლების გადადგომას. ყოველ დასვენების დღეებში მართავენ საპროტესტო აქციებს მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. მოსახლეობა უკვე ღიად აცხადებს, რომ ნეთანიაჰუს მძევლების ბედი ნაკლებად აინტერესებს და ამიტომაც უნდა დატოვოს თანამდებობა. გასულ კვირას ნეთანიაჰუ იძულებული გახდა განეცხადებინა, რომ მისი მთავრობა მძევლების გათავისუფლების ახალ გეგმაზე მუშაობს.

პოლიტოლოგების შეფასებით, მსგავსი ბინძური საარჩევნო კამპანია, როგორიც 2020 წელს იყო და ახლაა, აშშ-ის ისტორიაში არ ყოფილა. პრეზიდენტობის კანდიდატები, რბილად რომ ვთქვათ, მკვეთრ გამონათქვამებს აღარ ერიდებიან და მალე, ალბათ, უცენზურო ეპითეტებსაც არ დაიშურებენ ერთმანეთის მიმართ. რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტს დონალდ ტრამპს კარგად იცნობს მსოფლიოს საზოგადოება. მოქმედი ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა კანის ფერისა და ლგბტ თემთან ლოიალობის გამო დანიშნა თანამდებობაზე მას შემდეგ, რაც ჯო ბაიდენმა წარუმატებელი ტელედებატები გამართა კონკურენტ დონალდ ტრამპთან, პრეზიდენტობისთვის ბრძოლას ჩამოსცილდა და ის კამალა ჰარისმა ჩაანაცვლა.

თანამდებობაზე ყოფნისას ჰარისმა საზოგადოებას თავი უაზრო სიცილითა და გამონათქვამებით დაამახსოვრა. ამას თავად დემოკრატიული პარტიის წევრებიც აღიარებენ. ტრამპთან გამართული დებატების შემდეგ, დემპარტიის მხარდამჭერმა პრესამ უპირატესობა მას მიანიჭა. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ჰარისი ტრამპს 5%-ით უსწრებდა, ამჟამად ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა. ამის ბევრი მიზეზი არსებობს...

ჰარისს საჯაროდ სუფლიორის გარეშე რომ უჭირს საუბარი, უკვე საყოველთაოდ ცნობილია. ამის გარდა, გაუგებარ პოლიტიკურ სვლებსაც აკეთებს. გასულ კვირას გამოცემა „ბლუმბერგის“ მთავარმა რედაქტორმა ჯონ მიკლეტვეიტმა დონალდ ტრამპთან საუბრის დაწყებამდე განაცხადა, რეომ კამალა ჰარისს შესთავაზეს ინტერვიუს ჩაწერა, მაგრამ უარი მიიღეს. „ჩვენ, ჩიკაგოს ეკონომიკურ კლუბს და „ბლუმბერგს“ გვსურდა, ჩვენი მკითხველისთვის გაგვეცნო მისი ეკონომიკური ხედვები, მაგრამ უარი მივიღეთ“, — განაცხადა მთავარმა რედაქტორმა. იგივე დაიჩივლეს ჟურნალ „თაიმის“ მფლობელებმა, რომლებმაც რამდენჯერმე სთხოვეს კამალა ჰარისს ინტერვიუ, მაგრამ უარი მიიღეს.

სამაგიეროდ, კამალა ჰარისი დათანხმდა რესპუბლიკელების მხარდამჭერ ტელევიზიას „ფოქს-ნიუსს“ ინტერვიუზე. გასულ კვირას შედგა დიალოგი, რომელმაც შოკში ჩააგდო დემოკრატები. საათ-ნახევრის განმავლობაში ჰარისს არცერთ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხი არ გაუცია. როგორც თვითმხილველები ჰყვებიან, ჰარისის თანმხლები პირები ხელების ქნევით ანიშნებდნენ, შეეწყვიტა ინტერვიუ, როდესაც დაინახეს, რომ უაზროდ და გაურკვევლად საუბრობდა. თუმცა ჰარისი გაჩერებას მაინც არ აპირებდა... დონალდ ტრამპმა ისარგებლა კამალა ჰარისის უმწეო ინტერვიუთი და საკუთარ მხარდამჭერებთან შეხვედრისას მკვეთრად მიმართა ოპონენტს: „... კამალა, შენი ატანა აღარ გვაქვს, შენ ყველაზე ცუდი ვიცე-პრეზიდენტი ხარ!“ ამიტომაც ყველა მერყევ შტატში უპირატესობა ტრამპის მხარეს არის.

კვირას მოლდოვაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. პარალელურად, რეფერენდუმი შეკითხვით, სურს თუ არა მოსახლეობას ევროკავშირში გაწევრიანება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, სანდუმ 42,31% ხმების რაოდენობა მიიღო. ამომრჩეველთა 50,42% ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა.

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ფრონტზე და ქვეყანაში არსებული კრიტიკული ვითარების გამო აგონიაშია. გასულ კვირას ევროკავშირის სამიტზე ნატო-ში დაუყოვნებლივ გაწევრიანება ან ბირთვული იარაღი მოითხოვა, რითიც საგონებელში ჩააგდო მსოფლიო. ასე რომ, 5 ნოემბერს გამოჩნდება მსოფლიოს მომავლის ბედიც, რაზეც ღიად საუბრობენ მსოფლიოს წამყვანი პოლიტოლოგები. მანამდე კი ჩვენთან უნდა დასრულდეს ნაცბანდის ბოგინი.

გია ბურდული

ბერთა კლდე – საიდუმლო საქართველოს მიწისქვეშეთში

(დასასრული.
დასაწყისი „სგ“ N34)

გაზეთში პირველი მინიშნება ქვის ვეშაპი იყო – გაწოლილი მთა, რომელიც მდელოდან გამოჩნდებოდა.

უძველეს ხალხთა რწმენა გაიხსენეთ, დედამიწა, ანუ სამყარო ვეშაპზე იდგა; ვეშაპი — მეგალითური ძეგლი, ვეშაპის ქვის ქანდაკება ძვ. წ. II ათასწლეულს მიეკუთვნება. ასეთი ძეგლები არის მხოლოდ საქართველოში, სომხეთში, ჩრდ. კავკასიასა და მონღოლეთში, ქვეყნებში, სადაც ვერაფრით ნახავდნენ ვეშაპს — სად ნახა ამ უძველესმა ხალხმა ვეშაპი?

მართლაც, გამოჩნდა მთა, რომელიც ვეშაპივით იწვა. გაზეთში გარკვევით ეწერა, ბილიკის რომელ მოსახვევში რომელი მხრიდან უნდა მისწვდენოდა მიმსვლელის სმენას ნაკადულის რაკრაკი.

მივდიოდით მწკრივში ჩამდგრები, ხელში გაზეთით და ავედით ბოლომდე. გზაზე რამდენიმე წყარო შეგვხვდა, სუფთა, გრილი და კამკამა, კლდიდან გამოდიოდა პირდაპირ. ჩემსა და მარინეს გარდა, ორი-სამი ქალი იქნებოდა, ისიც ასაკოვანი უცხოელები.

გიორგი იონთა იბერიონის მიპატიჟებამ ქართველებზე დიდად ვერ იმოქმედმა, მაგრამ უცხოელი სწავლული მამაკაცები მრავლად იყვნენ ისრაელიდან, რუსეთიდან, გერმანიიდან, კანადიდან, — ეს, მე რაც მათთან საუბრიდან ვიცი, თორემ ზოგი ენის წარმომავლობას ვერაფრით მივხვდი. დადიოდნენ და ყველა კუთხე-კუნჭულს სურათს უღებდნენ ცალკეული შორისდებულების ამოთქმით. იქვე ითქვა, რომ ნუნისის ვეშაპის შესახებ იცოდა თვით ბრეჟნევმაც; რომ საბჭოთა უშიშროება ვერტმფრენით ჩაფრინდა იმ მდელოზე, საიდანაც ვეშაპისკენ მიდიოდა ერთ-ერთი ბილიკი და სულ ცუხცუხით აათავეს; ბერთა კლდის სანახავად არ ილეოდა უცხოელი მნახველი; პატრიარქმა მისცა კურთხევა მის გამოკვლევაზეო...

ჩვენ, ფაქტობრივად, გაცნობიერებული არც გვქონდა, სად წავედით და რატომ, სიტყვა „საიდუმლომ“ მიგვიზიდა, ამდენად, აბუეტებივით შევცქეროდით ყველას და ყველაფერს. ვეშაპის მუცელში პატარა გამოღრუტნულში წახრილი შევედი. ერთი შეხედვით, არაფერი სანახაობა იქ არ იყო, დაახლოებით ორ კვადრატულ მეტრ ფართობში ლოდი იყო მიწაში თუ კლდეში გაჩრილი. შესასვლელის თაღი დაბალი იყო, მაგრამ შიგნით სიმაღლე ჰქონდა. მივიხედ-მოვიხედე და იმედგაცრუებული გამოვედი, ვერ მივხვდი, რა ვნახე. ვერ აღვიქვი ვერც ლოდის ზომა, რომელიც ჯერ ერთი, ვერანაირად ვერ შეეტეოდა შესასვლელში და მეორე — რა ტექნიკით უნდა აეტანათ საცალფეხო დაგრეხილ ბილიკზე ამ ზომის ლოდი ტყეში, გაუთავებელ აღმართზე?

ადგილობრივ მცხოვრებლებთან საუბრისას გავიგე, რომ გადმოცემის მიხედვით, იმ პატარა ქვაბულში 12 ბერი სახლობდა, რომელთაც არანაირი კონტაქტი არ ჰქონდა მოსახლეობასთან. გადმოცემამ არ შემოინახა ინფორმაცია, საიდან გაჩდნენ ბერები იქ, მაგრამ ერთ დღეს, თურმე, მწყემსმა აღმოაჩინა, რომ ბერებმა ცოცხლად დაიმარხეს თავი ქვაბულში და თავი ამოიგმანეს იმ ლოდით, რომელზეც მოგახსენეთ. მას შემდეგ იმ დღემდე (35 წლის წინანდელ დღეზე ვამბობ), ღამით, არცთუ იშვიათად, თუ ლოდზე ყურს მიადებ, მიწის სიღრმიდან მხიარულების ხმა მოისმის, ლოდის მიღმიდან მამაკაცები მღერიანო, — მიწისქვეშეთიდან ამომავალი ამ სიმღერის მოსმენა მინდოდა...

გარკვეული მიზეზის გამო ღამისთევით ვერ დავრჩით, უკან გამოვბრუნდით. ღამისთევით მიმსვლელები გზად გვხვდებოდნენ, კვლავ ასაკოვანი უცხოელები. ფაქტობრივად, მასპინძლების, „იბერიონთა საძმოსა“ და ერთი-ორი კაცის გარდა, ქართველი არც არავინ დამილანდავს. ერთ-ერთ წყაროსთან გავჩერდი და დავეწაფე წყალს. რაღაც ყვირილი კი მესმოდა, მაგრამ გადაძახილად ჩავთვალე, ყურადღება არ მიმიქცევია. ერთი ის კი ამოვთქვი, რა სხვანაირი გემო ჰქონდა-მეთქი და ჩემსავით წყლის დასალევად შეჩერებულმა ახალგაზრდა ბიჭმა ზევით ამახედა, ვიღაც გიძახისო. წყაროს აყოლებაზე, დიდ სიმაღლეზე გადმომდგარი იყო მამაკაცი და თურმე მიყვიროდა, არ დალიო წყალიო. მერეღა დავინახე ხის ფესვზე გამობმული რვეულის ფურცელი წარწერით — „ეს წყალი არ დალიოთ!“ რაღა დროსი იყო, დავლიე კი არა, გავიჭყიპე, იმდენი დავლიე. რა მომივა-მეთქი, — ავძახე კაცს. მან ხელი ჩაიქნია და არ მიპასუხა, ისე მიტრიალდა. „ეს სპილენძის წყალია, არ ისმება“, — სიტყვა შემაწია დამტვრეული ქართულით აღმა მიმავალმა მამაკაცმა. ადგილზევე გამახსენდა ისევ ქართული ზღაპრები და სპილენძის წყალი, რკინის წყალი, ოქროს წყალი, — მხოლოდ ოქროსი რომ უნდა დალიოს უფლისწულმა.

ფეხით ჩამოვათავეთ გზა მატარებლის ლიანდაგამდე, უკვე ღამდებოდა კიდეც და რაღაც წამიერად შეჩერებული საბარგო მატარებელის მემანქანეს შევუხტით. მხიარული კაცი იყო, ცნობისმოყვარეც, გამოგვკითხა, ვინ ვიყავით, სად ვიყავით, რატომ ვიყავით და დაასკვნა, ახალგაზრდები მოუსვენრები არიანო.

რაღაც, კარგად ვეღარ ვიყავი. ხაშურში ჩამოგვსვა და ლამის დავრჩი კიდეც სამუდამოდ ხაშურის ვაგზლის სკამზე. მუცელი გამებერა, გამებერა და ლამის ცხვირამდე ამომაჯდა, დამძიმდა ისე, ხელში თუ არ ჩავიდებდი, საკუთარ მუცელს ვეღარ ვძრავდი და სასწაულად მტკიოდა, ოღონდ, არა შიგთავსი, არამედ მუცლის ფარი, ლამის გავსკდი. ვიჯექი და სიმწრისგან ვიცინოდი, ვხვდებოდი, რომ ვერაფრით ვერ ავდგამდი ფეხს მატარებელში ასასვლელ კიბეზე.

თვალები სად გქონდა, რაღა სპილენძის წყალი დალიეო, მეჩხუბებოდნენ ამხანაგები. მე ჩემსას ვჩიოდი, რომ გავსკდე, ნეტავ, შესაძლებელია-მეთქი? ნუკრიმ იმარჯვა, არაყი მოიტანა საიდანღაც და პირში ჩამასხა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არ ვიცი, არაყმა მიშველა, თუ სპილენძი გადაამუშავა საბრალო ორგანიზმმა, მაგრამ არ გავსკდი. სამი დღე არაფერი მიჭამია, სასწაული დანაყრების შეგრძნება მქონდა და არც წყალი მომწყურებია.

ბერთა კლდე კიდევ ერთხელ მაშინ გამახსენდა, როცა გავიგე, რომ ედუარდ შევარდნაძეს („ვარდების რევოლუციამდე“ ცოტა ხნით ადრე, „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ძალას რომ იკრებდნენ, დაახლებით 1997-1998 წლები იქნებოდა) იჯარით გადაუცია ის ტერიტორია ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის. მათ იციან, იქ რა არის! — შევყვირე გველნაკბენივით, მაგრამ რადგან ვერავინ ჩასწვდებოდა, რაც უნდა მომეთხრო ბერთა კლდის შესახებ, იქვე ჩავჩუმდი... ორგანიზაცია გერმანული იყო, — ისევ გერმანია!

საქართველოში არაერთი ქვაბულია, რომლის პირდაპირი დანიშნულება დღეს უცნობია, მხოლოდ ვვარაუდობთ რაღაცებს, მაგრამ იქნებ, ეს ჩვენმა გონიერმა წინაპარმა იმ დროს გამოთხარა, როცა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დავიწყებული კოსმიური ცოდნა-მეთქი, ვფიქრობ ხოლმე ბერთა კლდის ნახვის შემდეგ. ამ ეჭვს ისიც მიძლიერებს, რომ კლდეში „გამოთლილ“ ყველა ქვაბულს თუ გამოქვაბულს სასმელი წყლის საკითხი „მოგვარებული“ აქვს...

„გამოცხადებაში“ წერია, რომ ციდან ჩამოვარდნილი დიდი ვარსკვლავი დავარდება მდინარეების მესამედ ნაწილზე და დიდძალი ხალხი დაიხოცება წყლებისგან, რადგან ისინი დამწარდება და სასმელად უვარგისი გახდება.

თუ ჩვენმა წინაპარმა შთამომავლობისთვის არ გამოთხარა ამდენი ქვაბული და ის არ იყო საიდუმლო ცოდნის მფლობელი, რანაირად უნდა გაეთვალა, რომ წყალს აღმა დაეწყო დინება ქვაბულში? როგორ ადის ვარძიაში წყალი ქვემოდან ზემოთ? ქვის ვეშაპის ზემოთ ჰაერია, ქვემოთ — სიცარიელე, შიგ ვეშაპში კი სასმელი წყალი ჟონავს. საიდან? — ალბათ, წარსულიდან...

ნუნისის ბალნეოლოგიურ სამკურნალო დაწესებულებაში ახლა რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ საბჭოთა პერიოდში გამართულად მუშაობდა და მისწრება იყო კანის დაავადებებით შეწუხებული ადამიანებისთვის. ნუნისის ზეციური ველით დამუხტული წყალი შველოდა პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებსა და სისხლნაკლულობასაც.

თუ მიგვაჩნია, რომ „გამოცხადებისეული“ აპოკალიფსი ატომურ აფეთქებას ნიშნავს და ხალხის დახოცვა რადიაციით მოხდება; ამას დავამატებთ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, უფალი არ გაწირავს; კიდევ არაერთ მინიშნებას ქართულ ენაზე — იოანე ზოსიმესა და „ლაზარეს აღდგინებას“; იმასაც, რომ მესია მეორედ ქართული ენით მოვა და დავურთავთ „სადღაციდან“ აღმოცენებულ მრავალსაუკუნოვან შეძახილს, „იბერია გაბრწყინდება!“, — ასეთი საუკუნოვანი ავტორიტეტების გვერდზე ჩემი და ჰიტლერის მისტიკურ საბურველში გახვეული ეჭვები რა მოსატანია.

ზეციური ველით დამუხტული წყალი ძალზე უგემურია, მაგრამ ნახეთ, პირველი წამალია დაწყლულებული კანისა, რაც უპირველესი თანმდევია რადიაციული დასხივებისა. იგივე თვისებების წყალი, ნუნისის გარდა, საქართველოში სხვაგანაც არის და მრავლად. ისევ ქართული ზღაპრები მახსენდება, კვლავ წყალთან დაკავშირებული, — ქართულ ზღაპრებში ხომ უკვდავების წყალს დაეძებენ ზღაპრის გმირები...

ვიცით, რომ ბიბლიური წინაპრები, წინასწარმეტყველები ათას წელზე მეტხანსაც ცოცხლობდნენ, — იქნებ, მათ სწორედ ზეციური ველით დამუხტული წყლების ადგილმდებარეობა და მათი საიდუმლო თვისებები იცოდნენ, მისით იხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს, უკვდავების წყალს ეწაფებოდნენ?

ისევ გერმანიასა და ჰიტლერს დავუბრუნდეთ, საიდან მოიგონეს მისმა ასტროლოგებმა „ღრუ დედამიწის თეორია“, რა მიწისქვეშა ქალაქის შესახებ „ბოდავდა“ ბნედამორეული ფიურერი, რატომ სჯეროდა ასე მტკიცედ მისი არსებობა მიწისქვეშეთში და არა ზეცაში, ქალაქისა, რომელსაც უზენაესი მართავს?

იესო ამბობს: „მე გამოვედი და მოვედი ღმერთისგან...“ (იოანე, 8, 42)

ჩვენ ვიცით, რომ იესო ცად ამაღლდა, ამიტომ მის მოსვლას ციდან ველით, მის სამყოფელს ზეცაში მოვიაზრებთ, თხოვნისას ზეცას შევცქერით, მაგრამ არ ვუკვირდებით, საიდან მოვიდა. იესო არ ამბობს, რომ საიდანღაც ჩამოვიდა, ის ამბობს, რომ საიდანღაც გამოვიდა...

P.S. ხარაგაულის მთებში აღმოჩენილი გიგანტი ადამიანების ჩონჩხებზე შემდეგში ვისაუბროთ...

მაია ჭელიძე

„თეთრი ქარავანი“, „მაია წყნეთელი“, კეთილი დევი და მე...

(დასაწყისი „სგ“ N32)

პლატო ძიას ხშირად ჰქონდა პრობლემა მილიციასთან და ყოველთვის სხვის გამო.

თელავში, ჩვენ მეზობლად ჭიჭიკაანთ კავკასა ცხოვრობდა ოჯახითურთ, მისი შვილები ჩემი თელაველი დაქალები იყვნენ. კავკასა ძიას სამამულო ომის მონაწილე ძმა ჰყავდა, ვახტანგი, რომელმაც ომში, მცირე მიწაზე, ფეხი დაკარგა. ძია ვახტანგს რუსი ფრონტელი მეგობარი ჰყავდა რომელიც ბოლომდე მეგობრად დარჩა.

ერთ წელს, 9 მაისის აღსანიშნად იმ ფრონტელ მეგობართან რომ მიდიოდა სტუმრად თავის ოჯახთან ერთად, სურსათ-სანოვაგით დატვირთულ უმწეო ოჯახს თელავის აეროპორტში უხეირო ბიჭები აჰკიდებიან, სავარაუდოდ, რაც ხელში ეჭირათ, იმის წართმევა ჰქონდათ გუნებაში. პლატო ძია თავის საქმეზე იყო აეროპორტში და რას ხედავს,

გერმანიიდან ჩამოსული როსტომ სეხნიაიძე

კუთხეში მიმწყვდეული ვახტანგი ყავარჯნით იცავს ოჯახის წევრებს, ჯოხით იგერიებს მომხდურ ბიჭებს, იქ მყოფებიდან კი არავინ ესარჩლება. ოთხი ჯანიანი ახალგაზრდა კახელი ბიჭი იყო, ვინ გამოიდებდა თავს? პლატო ძიას შორიდანვე დაუნახავს, რაც ხდება, არაფერი უკითხავს, ორ ბიჭს სტაცა ხელი, მეორე ორს შეახეთქა და დარეტიანებულები აბურთავა, თქვენი პატრონი დედა კი ვატირე, რასა შვრებით, დამეკარგეთ აქედანო. ეს ვინ ყოფილაო, — დაითხილები გაიქცნენ ნაბეთქ-დასისხლიანებული ბიჭები. მილიცია რომ მივიდა, ყველამ უარჰყო, არაფერი მომხდარაო. მათ უკვე იცოდნენ, რაც მოხდა, მაგრამ არ შეიმჩნიეს, მომჩივანი არავინ იყო და „ძია პლატონს“ რაღას შეჰბედავდნენ...

ერთ ზაფხულს, მისმა შვილმა, თინიკომ მისაღები გამოცდები წარმატებით რომ ჩააბარა, აიტეხა, ახლა შამპანური უნდა მოგიტანოთ გოგოებოო. გოგოები იყვნენ: მისი მეუღლე, დედაჩემი, დედაჩემის დაქალი და თინიკო. ვაკეში, იქვე, „ავრორაში“ გადავიდა ორი ნაბიჯის სავალზე და გაქრა კაცი, არ ჩანს. 1980 წელი იყო.

როგორც შემდეგ გავიგეთ, შევიდა პლატო ძია „ავრორაში“ და ხედავს, რომ ორი ბიჭი დასდგომია მოლარეს, ერთ მათგანს იარაღი აქვს მიშვერილი და დაჰყვირის, დროზე ფულიო. შემსწრე მაყურებლები შეშინებულები დგანან და არ იძვრიან. პლატო ძია მისკენ რომ წავიდა, ბიჭმა გააფრთხილა, არ მოხვიდე, ბიძაჩემო, თორემ გესვრიო. სანამ იმან წინადადება დაამთავრა, პლატო ძიამ ერთი ხელი იარაღზე უტაცა, აართვა და მოისროლა, მეორეთი ჩაბღუჯა. მისაშველებლად მივარდნილ მეორე ბიჭს გამოთავისუფლებული ხელი სტაცა და ესენიც ერთმანეთს შეახეთქა იმავე სიტყვებით, დამეკარგეთ აქედანო. მივიდა მილიცია და განყოფილებაში წამოდით დაკითხვაზეო. თვითმხილველების მონათხრობით მილიციას ეჭვი გაუჩნდა, ხომ არ იყვნენ პლატო ძიას ახლობლები, სხვაგვარად ვერ ხსნიდნენ მის უშიშარ საქციელს. კარგახნის საუბრის შემდეგ მიხვდნენ, რომ ეს დევივით კაცი „სხვანაირი“ კაცი იყო და „სხვანაირი“ გაგების გამო „სხვანაირად“ მოიქცეოდა.

გოგირდის აბანოებში გავლის გარეშე თბილისიდან პლატო ძია იშვიათად წავიდოდა, შესაბამისად, მექისეებთანაც დიდი ნაცნობობა ჰქონდა. ერთხელაც, შედის და რას ხედავს, რამდენიმე ბიჭს გამიზნულად ერთად მიუმწყვდევია ასაკოვანი მექისეები და მასხრად იგდებენ, თეძოზე შემოხვეული ნაჭრის მოძრობას ცდილობენ, რომ შიშვლად დარჩენილები კიდევ უფრად მასხრად აიგდონ. მექისეებმა პლატო ძია რომ დაინახეს, აყვირდნენ, გვიშველე, პლატოო. ტანსაცმელი ერთგვარად ფარავდა პლატო ძიას დევკაცობას, ნახევრადსიშიშვლემ კი სრულად წარმოაჩინა მისი ბუმბერაზობა. ეს ამბალი ვინ არის, ტოო, — მხოლოდ ამის დაყვირება მოასწრეს და დაერია იმ ბიჭებს — ვინც ამ დროს გოგირდის აბანოების მიმდებარედ იმყოფებოდა ქუჩაში, ვერაფრით გაიგებდნენ, რატომ გარბოდა რამდენიმე სრულიად შიშველი ბიჭი ქუჩაში...

ერთ დღეს ცხვირსახოცით გადახვეული ხელით მოვიდა, მთლად სისხლიანი ჰქონდა ხელის მტევანი, სამოსი დალაქავებული და უსიამოვნო სუნი ასდიოდა. დედაჩემმა გაუხსნა და მხოლოდ თვალი შევავლე ჭრილობას, ვერ შევხედე, შევედი ოთახში და ვიტირე.

მატარებლით მომავალს ვაგონში შეუნიშნავს, რომ სამი ბიჭი მოსვენებას არ აძლევდა ახალგაზრდა ქალს და მის მოზარდ გოგონას. ამდგარა და დასდგომია თავზე, მოუსვით აქედანო. ერთ მათგანს დანიანი ხელი მოუქნევია და დაუჭირა, ფაქტობრივად, თვითონ გადაიჭრა ხელისგული. დანა ხელში შერჩა, ბიჭები სხვა ვაგონში გაიქცნენ, მოგვიანებით მოსულ მილიციას კი განუცხადა, მე რა ვიცი, ვინ იყვნენ, რანაირად უნდა ვიცნო, იმათ კი არ ვუყურებდიო. იმდენად ღრმა ჭრილობა იყო, რომ დედაჩემმა აღნიშნა, ამხელა ტორები რომ არ ჰქონოდა, ნახევარი მტევანი აღარ დარჩებოდაო... რომ ვიკითხე, ტანსაცმელზე რაღა სჭირს, ან ის ცუდი სუნი რატომ აქვს-მეთქი, მომიყვა — თურმე პირველი ბიჭი რომ გაეჭიმა, შენ ვინ გეკითხება, ბიძაჩემო, გაიარეო, მაღალი ბიჭი ყოფილა, მუცელი მოხვდა ხელში და ეტყობა, ისეთი ძალით მოუჭირა კუჭის მიდამოებში, რომ ბიჭმა წამოაღებინა და ამიტომ გაუშალა მეორემ დანა...

კეთილი დევი იყო-მეთქი...

„დამზადების გაერთიანებაში“ რომ მუშაობდა, კოლექტივის გული იყო, განსაკუთრებით ქალთა სქესი სწყალობდა, თუ სადმე წასვლას დაგეგმავდნენ, ძალით მიჰყავდათ პლატო ძია, მისი „არ მცალიას“ გაგონებაც არ უნდოდათ. პლატო ძია წუხდა, საღამოს დავპატიჟებ ამ გოგოებს რესტორანში და გავიხედავ, ჩემი ყონაღი მოდის, „პლატო, გადახდილია!“, — ეს რა დღეში ვარო. ბესლანი, გროზნო, ხასავიურთი, ბაქო... — ასე მოიარეს კავკასია და ჩავიდნენ სომხეთამდე. დასხდნენ რესტორანში და პლატო ძიას უთქვამს, აი, აქ კი ნამდვილად აღარ შემხვდება ნაცნობი, ერთ სომეხთანაც არ მქონია საქმე და არც ძმობილი მყოლია სომეხი, მე უნდა გაქეიფოთ ახლა ჩემს ჭკუაზეო. გაიშალა სუფრა და ხმა ისმის, ვიღაც ყვირის შორიდანვე „პლატო ძიაააა!“ და გაპრანჭული ახალგაზრდა, „პერსტენიანი“ კაცი მორბის, ეხუტება და ვერ სწვდება, მაგრამ მაინც ჩახუტებას ლამობს. ვინა ხარ, ვერ გიცანიო, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილა პლატო ძია. მიშა ვარ, მიშა, თელავის ბაზარში მეკურტნედ რომ პატარა, გამხდარი ბიჭი მუშაობდა, რომ გეცოდებოდა, არც მძიმეს აზიდვინებდი, მეორე მუშა აგყავდა მისი სისუსტის გამო და ფულს ჩუქნიდი, ის მიშა ვარო. ბალღო, რამხელა კაცი გაზრდილხარ ის გაკნაჭული ბიჭი, რას გიცნობდიო. რაღაც ფრიად მნიშვნელოვანი თანამდებობა ჰქონია მიშას და, ხვალ დილას გელოდები, პლატო ძია, პატივი მინდა გცეო. ვერ მოვალო და ერევანში ახლა იმას გადაუხდია რესტორნის დანახარჯი. ქალები იცინოდნენ, რა კარგია, პლატო ძია, შენთან ერთად სიარულიო...

ალექსა პაპა

მის შვილს, ნინიკოს (ფატი) ზუსტად ახსოვს წელი — 1975 (როგორ დამავიწყდება, იმ წელს დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტიო). პლატო ძიამ გამოაცხადა, რომ 15-20 წელში საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და აღარ იქნებოდა. საიდან მოიგონე, ვინ გითხრაო, — სიცილი დაუწყიათ ოჯახის წევრებს. 1975 წელს საბჭოთა კავშირის დაშლას ვინ წარმოიდგენდა, ან ვინ იტყოდა, მთქმელს გააციმბირებდნენ. წუხელ ვნახე სიზმარში, მაგრამ არ მეძინა და სიზმარი რანაირადღა იყოო... ამის თქმიდან 16 წელში, 1991 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა...

ყოვლად უშიშარი პლატო ძია ერთ დღეს შეფიქრიანებული მოვიდა სახლში, მაგრამ ყურადღება არავის გაუმახვილებია, ჩათვალეს, რომ გროზნოდან შეუსვენებლად მომავალი საჭესთან მჯდომი კაცი დაღლილი იქნებოდა. რამდენიმე დღე ძველებური ხალისი აღარ ჰქონდა, მერე კი, მეუღლეს რომ მოუყვა რატომ იყო შეფიქრიანებული, მოეშვა და ისევ ძველი პლატო ძია გახდა. გროზნოდან ერწო-თიანეთის უკაცრიელი გზებით წამოსულა და გზადაგზა საქმეებსაც აგვარებდა თურმე.

ცნობისათვის, ერწო-თიანეთი არც მთა არის, არც ბარია, მთიდან ბარში გარდამავალი ზონაა, ე. წ. მთისწინეთია. ერწო-თიანეთის დღევანდელი მოსახლეობა კი სულაც არ არის XII საუკუნეში აქ მცხოვრები მოსახლეობის მემკვიდრე — ვინაიდან ვრცელი საკითხია, აღარ განვავრცობ, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ, რომ 1614 წელს, გაზაფხულზე, შაჰ-აბასის ურდოებსა და ქართველებს შორის პირველი შეტაკება სწორედ აქ, ჟალეთში მოხდა.

მოდის თურმე პლატო ძია ნელი სვლით უკუნეთ სიბნელეში, მხოლოდ მანქანის ფარების შუქი რომ ჭრის სიბნელეს და ხან მელა გადმოუხტება, ხან კურდღელი. უცბად არემარე განათდა. ეტყობა მთვარე გამოვიდა ღრუბლებიდანო, — უფიქრია პლატო ძიას, მაგრამ ასეთი რა მთვარეა რომ ასე ანათებსო და უცბად მანქანა ჩაუქრა. აწვალა, აწვალა და არ იქოქება მანქანა. გორაკზე ავალ და გადავიხედავ, სად ვარ, იმას მაინც გავიგებო. გადმოვედი მანქანიდან და ცაში ავიხედე, მაგრამ მთვარე არსად ჩანდაო. რა ანათებდა, იმან უფრო დამაინტერესა და ნათებისკენ წავედი, ავედი გორაკზე, გადავიხედე და მეც არ ვიცი, რა დავინახეო. ტაფობში რაღაც დიდი იყო, ის ანათებდა ისე, რომ თვალს ვერ ვუსწორებდი, რომ გამერჩია, რა იყო, რანაირი და რამხელაო. უცბად მოწყდა ადგილიდან და თვალი ვერ შევავლე, ისე გაქრა და ჩამოწვა ისევ უკუნეთი სიბნელე, ვარაუდით მივედი მანქანამდე, ჩავჯექი, ინსტინქტურად გადავატრიალე გასაღები და დაიქოქაო. ბიჯოოო, იმ რაღაცამ ჩამიქრო მანქანა და რომ გაფრინდა „შამილაც“ დაიქოქაო — ლურჯი „ნივა“ ჰყავდა, რომ მესიამოვნებინა, ზაფხულში ზოგჯერ მე ვურეცხავდი ჩემი ინიციატივით და პლატო ძია სამაღარიჩოს კისრულობდა ხოლმე...

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99